ფორზაცზე: „ი. გრიშაშ. ქ. თბილის, გამოვიდა ხუთჯერ: 1–1870, 2–1873, 3–1875, 4–1895, 5–1912“. იქვე: „ევანგულა – გვ. VI, „ჩანგის წვიპურტი“-IX, შარი–296, სართი–110, „არავის“ (რობერ. ბორნს) – 287“.

ფრონტისპისზე წარწერა: „ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს იოსებ გრიშაშვილს. გ. სკანდარნოვი. 1914. მაისი. 16“.

გვ. VI. სქოლიოში მოხაზულია მე-2–3 აბზაცი, მიწერილია: „ევანგულა, იხ. ევანგულაზე დიუმას წიგნი „Кавказ“, გვ. 534, ნაწ. II“.

გვ. 13. მე-3 სტროფში ხაზგასმულია მე-3 სტრიქონი. „საშიშრად შარას თვალ შემაქვირნი“, გასწვრივ მიწერილია: „შ-ს შრიალი“.

გვ. 46. ა. ჭავჭავაძის ლექსის „არ ვინ მართებს“... არშიაზე მიწერილია: „ეს არ არის ა. ჭ-ძის კრებულში“.

გვ. 47. ა. ჭავჭავაძის ლექსის სათაურთან „ჩარგაის ხმაზედ“ მიწერილია: „ჩოლოყაშვილს აკუთვნებს ა. ხახანაშვილი, გვ. 527“. ამავე ლექსის ბოლო სტროფებთან წერია: „დაბეჭდ. 85. ა. ჭ. (ა. ჭ.–1881 წ. იხ. გვ. 85)“.

გვ. 49. ა. ჭავჭავაძის ლექსის „მასურის ხმაზედ“ არშიაზე: „იოსებ მუშვრებისშვილისაგან თქმული („Описание, стр. 463)“.

გვ. 55. ა. ჭავჭავაძის ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი“ მოხაზულია მე-2 სტროფი, მიწერილია: „მაჯამა აკაკის“.

გვ. 66. ლექსის „საჰარის ხმაზედ“ არშიაზე: „თარგმანია. ი. გრ.“. იქვე ლექსის სათაურის „ქარამის ხმაზედ“ გასწვრივ: „ეს არ არის შესეული ა. ჭ.“

გვ. 70. სათაურთან „შიო მეჭიანურეს (ყარიბის) თქმული სიმღერები“ მიწერილია: „ამ პოეტს ძალიან აქებს ზ. ჭ-ძე. იხ. მისი წიგნი „აკაკი“, გვ. 22“.

გვ. 71. შ. მეჭიანურეს ლექსის „იაცუფის ხმაზედ“ ბოლოს წერია: „შიოზე იხ. პლ. იოსელ. „გიორგი XIII, გვ. 227“. ამავე ლექსში ხაზგასმულია: „დამიპლასტრავს“, არშიაზე: „Пластырь“.

გვ. 73. სქოლიოში მინაწერი: „სად შიო, სად ყარიბი“.

გვ. 83. საიათნოვას ლექსში აღნიშნულია სიტყვა „თუთი“, მიწერილია: „თუთი (სპარსულად) თუთი ყუზ. მფრინავი ზორაბი“.

გვ. 88. ლექსზე „თეჯლისი“ მინაწერი: „სავათნავასაგან ნათქვამი მუხამბაზი ბერად რომ შედგა. სომხის ტერტერა იყო. ეს ლექსი და შენიშვნა მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის ხელთნაწერ სხვადასხვა პოეტების ლექსების კრებულში, რომელიც ინახება ქ. შ. წ. კ. გ. ბიბლიოთეკა-მუზეუმში, № 3723“.

გვ. 89. სქოლიოში: „ეს ლექსი დაბეჭდილია აგრეთვე ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, როგორც ნიმუში („თეჯლისი)“.

გვ. 90. საიათნოვას ლექსში „გული არ მშურს და სული შენთვინა“ გადაშლილია: „ამ“, მიწერილია: „მთელ“, მე-3 სტროფში გადაშლილია: „სინათლე“, მიწერილია „ნათელი“, „კარგ“. სქოლიოში: „ეს ლექსიც მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის ხელთნაწერ ლექსთა კრებულში № 3686“.

გვ. 91. საიათნოვას ლექსთან „ზღვას რას დააკლებს ვარსკვლავის სხივი“ მიწერილია შემცვლელი სიტყვები: „გააშრობს“ და „სიცხე“. ასევე შემდეგ სტროფებთან მიწერილია „თუ გინდ“, „თუ გინდ გაათეთრო“ „ნურვინ მკითხავთ“. სქოლიოში მიწერილია ლექსში გამოტოვებული სტროფი:

„3) ზოგი კაცი არის ეშმაკის მუშა,  
ეშმაკის ნაშენი ღმერთმან დაფუშა.  
გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,  
თუ გინდ მალა თახჩაშიც დაიწყოს“.

გვ. 92. ხაზგასმულია სათაური: „ბუდად-ოღლანის თქმული სიმღერები“. მიწერილია: „ესაც კარგი პოეტია. ძალიან ბევრი და კარგი ლექსები აქვს სომხ. ევანგულას დავთარში, გვ. 68“.

გვ. 96. ბუდად-ოღლანის ლექსების დასასრულს მინაწერი: „აკლია ლექსები (აქვს არტ. გაბუნის). 1. ლალო, უმანკო, ვით შეგამკო. 2. ეშხით დამწველო, ლერწამწელო... 3. ბულბული ხარ, მგალობელი ვარდზედა... ეს სამი ლექსი არის იმ დავთარში, რომელიც შეუძენია ა. გაბუნისა გ. თუმანიშ-ს ოჯახიდან 4. აკლია: ნარგიზ მიემზავსება (იხ. ევანგულას დავთარი, გვ. 79). ი. გრ“.

გვ. 97. სათაურში „სტეფან ფერშანგოვის თქმული სიმღერები“ ჩამატებულია: „გრიგოლიჩი“. იქვე „მუხამბაზის“ პირველი სტროფის: „განიფხიზლე გონებავ, რისთვის მოგიწყენია?“ გასწვრივ მინაწერი: „სკანდარნოვაც, ილია“

გვ. 100–101. არშიაზე მიწერილია გამოტოვებული სტროფი:

„იმან უფრო განმიხშირა ურვილი,  
არ შემაშრო თვალთა ცრემლის წურვილი“.  
„საკვირველი სალხინოა სოფელი  
მაგრამ დიდი ცრუ და წუთის მყოფელი,  
სულისა და ხორცის შუამყოფელი  
მიკვირს ასე და სხვ“.

გვ. 109. გ. ხოსროვის (ალვან-ოღლანის) ლექსში „ვაი რა მეაფსუსები სავსე ტიკო ღვინითა“ ხაზგასმულია: „მანგზილსა“, მიწერილია: „მანძილი? მანგლისი?“

გვ. 141. ლექსის „ახ, დილაჲ, დილაჲ, კვლავ სანატრელო!“ არშიაზე: „ეს ლექსი გ. დვანაძეს ეკუთვნის. ცენტრ-არხივში, ხელთ. № 193, გვ. 16“.

გვ. 142. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ხმა ლოპიანას საფლავიდან“, მიწერილია: „ეს ლექსი ეკუთვნის გიორგი ორბელიანს. იხ. „ივერია“, 1877, № 18“.

გვ. 181. გ. სკანდაროვის ლექსში „ორთავ თვალის სინათლევ“ გადაშლილია: „სხვაფრივ ნურა გგონია“,... მიწერილია: „მეკიდება გენია“.

გვ. 186. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ახ თვალეზო. თვალეზო“, არშიაზე: „ეს ლექსი თორელს მოჰყავს ჟურ. „მნათობში“. (1869 წ., მაისი-ივნისი, გვ. 82)“.

გვ. 262. ლექსთან „ბულბული მწუხარეობს“ მიწერილია: „ზაალ ბარათოვი“.

გვ. 263. ლექსის „ეჰა მთიები მთენია“... ბოლოს მიწერილია: „ბარამ ბარათოვი“.

გვ. 264. ლექსის „ვიხილე საყვარლად ედემის ვარდი“ ბოლოს მიწერილია: „ქობულოვი“.

გვ. 265. ლექსის „აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს“ ბოლოს მიწერილია: „გიორგი ერისთავი“.

გვ. 267. ლექსის „ახ მარალო, მარალო“... ბოლოს: „გ. ყორღანოვი“.

გვ. 272. ლექსის „ახ მთვარევ, მთვარევ“... დასარულს: „გ. რჩეულოვი“.

გვ. 274. ლექსის „თეთრო ბალის კუნწულო“... ბოლოს: „ი. ბაქრაძე“.

გვ. 275. ლექსის „თითონ პატარა, ყური დიდი“... ბოლოს: „ყაზაზ ოსეფასი“.

გვ. 276. ხაზგასმულია სიტყვა: „აჰმაჰუჰი“, მიწერილია: „ლილიპუტა ხალხი“.

გვ. 278. არშიაზე: „იხ. ამ წიგნის 141 გვ.“.

გვ. 280. ლექსის „რომანსი“ დასასრულს მიწერილია: „თარ. მ. ჯორჯაძისა“.

გვ. 283. ლექსის „რა მომწონს შენი? – კარგი ქალობა“... ბოლოს: გრ. აბაშიძე“.

გვ. 285. ლექსის „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“... ბოლოს: „ი. კერესელიძისა თუ აკაკის?“

გვ. 286. ლექსები: „ისევ შენ და ისევ შენ“... და „ღამით ვნახე ჩემი ნინა“... ბოლოს: „ი. დავითაშვი“.

გვ. 287. ლექსის „არავის! (რობერტ ბერნსიდამ“) დასასრულს: „(გ. ქოჩაკიძე). თარგმნა მამია გურიელმაძე. იხ. ლიტ. მემკვ., № 1. (ეს ილიასაც მიაკუთვნა „ქართ. წიგნმა“).

გვ. 288. ლექსის „ლოთის ანდერძი. (რუსულიდან)“ ბოლოს: „გ. ორბელიანი“.

გვ. 292. ლექსის „ჰოი ვითარ ვსთქვა“. ბოლოს მიწერილია: „ქეთევან ბატონიშვი“.

გვ. 293. ლექსის „რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი“... ბოლოს მიწერილია: „თევლე ბატონიშვი“.

გვ. 294. ლექსის „დრო ცვლილო ბუღბუღო“... დასასრულს: „პეტრე ლარაძე“.

გვ. 295. ლექსის „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი“... ბოლოს მიწერილია: „იონა მროველი“. იქვე ლექსის: „მართლად ბაფა არ აქვს“. არშიებზე: „1. ეს ლექსი არტ. გაბუნიასაც აქვს. 2. ევანგელას დავთარშიც არის, გვ. 82. (მე მაქვს ეს დავთ.)“ ამავე ლექსის მე-2 და მე-3 სტრიქონებში მოხაზულია: „არც ჭემმარიტ ძმობასა“ და „არც ფიცით დანდობასა“, არშიებზე მიწერილია: „არც ჭემმარიტ ძმობასა, არც ფიცსა და ნდობასა (არტ გაბუნ. ვარიანტი)“. გვ. 296. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „ამ გვარ ორპირობასა“, მიწერილია: „ამ ცრუ განმამობასა. (არტ. გაბ. ვარიანტი)“ ხაზგასმულია: „შარული!“ მიწერილია: „დრო შეიქნა შარული“ (რუსის შარი ხარ?) – სადაური სიტყვაა?“, ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ქიჩიკნოვ“.

სარჩევში: გვ. 3. მოხაზულია: „სტეფან ფერშანგოვის თქმული სიმღერები“, არშიაზე მიწერილია: „იხ. პ. იოს. „მეფე გიორგ. ცხ.“, გვ. 319 . გვ. 8. ხაზგასმულია: „ახ. ღამევ, ღამევ, იოლჩი-ოღლანისა“ მიწერილია: „ახ დილაგ, დილაგ (იხ. 141)“; იქვე ხაზგასმულია სათაური: „მიყვარს მე ჩემის ქვეყნისა!“, მიწერილია: „განდევგისა“; ხაზგასმულია: „ჩემს ვარსკვლავს“..., მიწერილია: „ვისია? ი. კერესელიძისა?“

წიგნში დევს ანი ლაზარედი-ციციშვილის ხელით გადაწერილი „მუხამბაზი“:

„კრონოზის დარათ დასადარად აღმობრწყინდები  
ედემად ხარობ, შრომან დარობ, ქუფრად ბზინდები.  
კამკაშებ მთვარედ, ყოველს არეს არ დაბინდები  
ეს გვიკვირს, სიდამ მოგიზიდამ მშვილდ რაინები  
ლალ ბროლ შეთხზულო ბაგე  
მკლულო წყნარ მოლიმდები.  
მნათი მდიდარი ხარ ცისკარი განთიადისა  
ღაწვისა ხალნი არს მრავალნი ნარნარადისა  
ტრფიალთ სასურო და საწყურო დღე მარადისა  
ლხინო და შვებავდა გონებაგ გულითადისა  
დაუვიწყარო ირემთ წყარო ტკბილ მოდინდები.  
ნეტარ ვინც ღირსა ტან ალვისა ხელთ შეხებ  
თუ დრო გასტანებს, არ ინანებს მისა თნებასა  
მრავალსა ჭირსა დასატირსა [იხსნის] ვნებასა  
ჩვენ ამათებით მივეცემით უფსკრულებასა

ვინცა მეზრალვის და მეწყალვის მუნ დადგინდები.  
დისკო ცნობილო მნათო ზრდილო (?) მწვამს ციაგები  
ასპიროზ დარო ტანად სარო ხარ ანაგები.  
ვარსკვლავთა რაზმო შეაკმაზო ბგენტ განაგები  
ვითარნო ჩემნო და საჩემნო გამკობს ბაგები  
მნათობის წესად უალრესად აღმოჩინდები.  
სუმბულთა თმანი ფეროვანი ბროლ ყელს შვენია  
მწველობს თვალეზი და ხალეზი დაწვს მოჰვენია  
კავმან კაწაწმან მოსაღვაწმან გვიგზნო გენია  
ცრემლი გვასურნოს მან გაჰკურნოს ეზდენ სენია  
მსწრაფლ განუგეშებ ბუდად ოღლანს ნუ მოსწყინდები“.

ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ანი ლაზარდი. 1935. 25/XII. ევგენი გამრეკელის არქივიდან“. არშიებზე ი. გრ. ხელით მიწერილია ზოგიერთი სიტყვის გასწორება. 1-ლი სტროფის გასწვრივ წერია: „რაინდები“ და „მკულო“. მე-4 სტროფის გასწვრივ წერია: „ბგენტ(?) თუ ბრძენთ“.

მეორე ცალის კანზე: „დედასია. დედაჩემის წიგნებიდან. ჩადებული ქაღალდები იმისია“.

წიგნის ბოლოს: „დედას – ი. გრ“.

მესამე ცალის ყდის მე-2 გვერდზე: „გვ. 167. მაჩხანელის ლექსია“.

ფორზაცზე: „ეს წიგნიც (დუბლ.) შევიდეს ჩემს ძირითად ფონდში: „ჩემი შენიშვნები: გვ. 78, 270, 284, 234, 278, 274, 268, 208–11, 167, 38“.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ბეჭედი: „სამსონ დავითის ძე ცოტაძე“.

გვ. 38. ბესიკის ლექსში მოხაზულია ორი სტროფი: „მე მონად შევექმნილვარ ერთისა მზისა“ და „არც დღეა ჩემთვის დღე-არც ღამე-ღამე“, მიწერილია: „ეს სხვისია“. იმავე ლექსის ბოლოს: „(ეს ლექსი მირზაჯანასიაო!? იხ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1948 წ., № 28, გვ. 3)“.

გვ. 78. შიო მეჭიანურის თქმულ ლექსს „ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს“... მიწერილი აქვს: „ამ ლექსს მიბაძა რ. ერისთავმა“.

გვ. 167. ლექსს „ნუ მეტრფი“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მგონი დ. მაჩხანელისაა (უნდა შევამოწმო!). ი. გრ.“.

გვ. 204. ლექსს „შენ ჩემი ხარ, მე შენი“ მიწერილი აქვს: „(იხ. სპ. ჭელიძეს გამოცემა „სალამური“, გვ. 37 ი. გრ)“.

გვ. 212. სკადარნოვას ლექსში „ეჰა, ვარდო, არ გამცვალო სხვაზედა“... სტრიქონი: „ვიცი, ბევრნი იზმენ შენზედ ცოლობას, ხოლოდ ვერსად ჰპოვებ ჩემებრ ხმოსანი“... შესწორებულია და მიწერილია:

„ვიცი შენზედ შეექმნებად ცილობა(?)

სად იქნება ჩემნაირი ხმოსანი?“.

იქვე სქოლიოში: „ვითარც მიყვარხარ შენა“... შესწორებულია: „როგორ მიყვარხარ შენა“.

გვ. 262. ზ. ბარათოვის მუხამბაზის ბოლო სტროფი ხაზგასმულია და მიწერილი: „ხომ არ აკლია“. ხაზგასმულია სახელი: „ზაალი“, მიწერილია: „ზაალ ბარათაშვილი“.

გვ. 263. ლექსში „ეჰა მთიები მფენია“ ხაზგასმულია სახელი: „ბარამი“, მიწერილია: „ბარამ ბარათაშვილი“.

გვ. 265. ლექსთან „საარის ხმაზედ“ მიწერილია „გ. ერისთავი“.

გვ. 267. ლექსის „რასტის გუმას“ ბოლოს მიწერილია „გ. ყორღანოვი“.

გვ. 268. „მუხამბაზის“ სტრიქონში „დღე და ღამე ვდგევარ შენი კარზედა“ – გადახაზულია სიტყვა „შენი“ და მიწერილია: „მე შენს“. ხაზგასმულია სტრიქონი: „ჩემგნით ნუ იღებ ხელი“ და შესწორებულია: „გთხოვ არ ამაღო ხელი“. ხაზგასმულია: „შამჩი – მელქო“, მიწერილია: „შამჩი მელქო (გულქანოვი)“.

გვ. 271. ლექსის „ახ ღამევ ღამევ“... ბოლოს ხაზგასმულია: „აღაზადა მე...“ მიწერილია: „აღაზადე-ბატონისშვილია ი. გრ“.

გვ. 272. ლექსის „ახ მთვარევ მთვარევ“... ბოლოს მიწერილია: „გრ. რჩეულიშვილი“.

გვ. 273. ლექსში „ახ წვიმავ, წვიმავ“... ხაზგასმულია სტრიქონი: „წვიმავ მაისი, შენ გელოდებ“... და წერია: „ი. გრ. იხ. ბარნოვის მოთხრობა „ხურდა“. მე-2 სტროფში ხაზგასმულია „ყოველთა ყვავილს“ და შესწორებულია: „ყველა ყვავილი“.

გვ. 284. ლექსის „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“... ზემოთ წერია: „ი. კერესელიძე (?)“.

გვ. 285. ლექსს „ისევ შენ და ისევ შენ“ მიწერილი აქვს: „ლაღო აზაშვილის ლექსი, ნინო ორბელიანის ძმისა. ი. გრ“.

6835–6836. სკანდარ-ნოვა გ. სალხინო სუფრის მოსიმღერე ანუ ორთაჭალის თარფი-თაიგული. საინტერესო წასაკითხი ახალი ლექსები, სატირები და სიტყვა-მოსწრებული კუპლეტები ძველი და ახალი ოჯახის შესახებ. რძალ-დედამთილის ვითარება და ქებინით ცოლ-ქმარის გაყრა. („რაზვოდი“). ტფ., 1914.

კანზე: „იმისი ლექსი გავარჩიე – ეხლა მლანძღავს, გვ. 18 და 28. ი. გრ“.

გვ. 18–20. ლექსს „მომილოცავს ქალებო თქვენი გაბედნიერება!“ სათაურის წინ მიწერილი აქვს: „გრიშაშვილზე“. მე-8 სტროფში ხაზგასმულია: „ტ. კ.“, მიწერილია: „ტერ-კოსტუა-სუფსარქისის მღვდელი იყო (ხარფუხში). ი. გრ“. ლექსის „ბოლოს მიწერილია: „იხ. ჩემი წერილი გ. სკანდაროვზე „სახალხო გაზეთი“, № 984, 1913 წ., (4 სექტ.)“.

გვ. 28. „სიტყვა მოსწრებულ კუპლეტებში“ მოხაზულია 3 კუპლეტი დაწყებული: „აგერ ნახეთ მოდისო“..., მიწერილია: „ესეც ჩემზეა“. იქვე ხაზგასმულია: „დაწყლებული შლიაპითა“, ქვემო არშიაზე მიწერილია: „მაშინ დაწყლებულ ქუდს ვიხურავდი“.

გვ. 30. ლექსის „ქვეყანაზედ ნაქები კაცის „სვინდისია“ მე-5 სტროფთან მიწერილია: „ეს ამისია?“

6837–6839. სკანდარნოვი გ. სამეჯლისო-ობუნჯი, სასაცილი და საოხუნჯო ლექსები, სიმღერები და კუპლეტები და აგრეთვე თელავის სიმღერა თავის დარცკალურითა. თფ., 1912.

გვ. 3. არშიაზე: „სამეჯლისო ოხუნჯი“. ეს ლექსები სკანდაროვისაა 1912 წ.“.

6840. სკანდარ-ნოვა გ. სამი პურის ისტორია. (ხალხური ზღაპარი-ლეგენდა) და ორი სხვა ხალხური გადმოცემა ზოგიერთი მღვდლების გაუმადრობის შესახებ. თბ., 1913.

6841–6842. სკანდარნოვა გ. სამწუხარო ამბავი სოსო მირზუას-ძე თათულოვისა, თქმული გიორგი სკანდაროვისაგან. თბ., 1888.

მეორე ცალის კანზე: „ბელგა, გვ. 4. ი. გრ“.

6843. [სკანდარ-ნოვა გ.] საშინელი ომის ლექსები. სამთა მოკავშირეთა და ავსტრო-გერმანიის და სერბია-ჩერნაგორისა და აგრეთვე ოსმალეთისა. ეს ამბები დაწვრილებით შედგენილია დარსკანისა. ვილჰელმის უსამართლო ბაშიბუზუკობა და მისი მხეცური ჩინგის-ხანობა. თბ., [წ. ა.].

კანზე ხაზგასმულია „დარსკანისა“ და მიწერილი: „გ. სკანდაროვისაგან“. ტეხილ ფრჩხილებში დადგენილია გამოცემის წელი: „1915“.

- გვ. 1. არშიაზე: „იშვიათია! ეს წიგნი თბილისის მუზეუმებში არ არის! ი. გრ“.  
6844–6845. სკანდარნოვა გ. უბედური ქალაქი. ჩარჩების თავგადასვლა და მათი ვითარება. თბ., 1909.
- გვ. 16. ხაზგასმულია: „ხატის“ და მიწერილია: „ხატისოვი – ი. გრ“.  
6846–6849. [სკანდარ-ნოვა გ.]. უცნაური ამბავი ორსულთა და მშობიერთა კასისა. კეთილშობილური შანტაჟი და გასაკვირელი აფერა. თქმული ქეთევან რუთიას-შვილისა. ტფ., 1908.
- ავტორის ფსევდონიმი გახსნილია: „გ. სკანდარნოვასი“. იქვე: „როცა ამ წიგნს ბიჭები ქუჩაში ჰყიდნენ, ჰყვიროდნენ და ამ წიგნის სათაურს უმატებდნენ – შეიტანეს, აღარ გამოიტანეს. – ი. გრ“.
6850. [სკანდარ-ნოვა გ.] უძღვნი პასუხს თელაველ მწყერაძეს. [ლექსი]. თბ., 1880  
ტექსტის ბოლოს ავტ.: „თბილისელი“.
- ფსევდონიმს „თბილისელი“ მიწერილი აქვს: „გ. სკანდაროვი“.
6851. სკანდარ-ნოვა გ. ქართული კლუბის „ლოტოს“ ამბავი. ქალ-ვაჟის თავგადასვლა და ოჯახების დაქცევა. გამოც. 1-ლი. თბ., 1912.
6852. სკანდარნოვა გ. ჩემი საკრავი. სხვადასხვა „ახალ-თაობის“, სახალხო ლექსები და სატირები. გამოც. 1-ლი. თბ., 1906.
6853. სკანდარნოვა გ. წითელი დროშა და მისი ახალი მთავრობა. მუშა ხალხის აღდგომა. ახალი მთავრობის ლექსი. თბ., 1917.
- კანის მე-4 გვერდზე: „10 მან. დუბლ. – ი. გრ“.
- 6854–6855. სკანდარნოვა გ. ხუმარა მესტვირე. საინტერესო ლექსები: თელაურ „თხაზე“ და სიღნაღურ „ვირზე“ და აგრეთვე რჩეული საარშიყო ლექსები, დაღუპული გემი (ტიტანიკი), სიმღერები და გამოცანები. თბ., 1912.
- კანზე: „I. გამოცემა. აქ მექათმე სარქისოვის ლექსებიცაა“.
- წიგნში ჩადებულია ქალაღდის ნაჭერი წარწერით: „ასოთამწყობი ბეგუა ფილინოვი“. დასმულია შენიშვნის ნიშანი: „თუ ფუდინოვი“, მიწერილია: „ტატო წულუკიძეც ამის გამოცემა“.
6856. სკანდარ-ნოვა გ. ხუმარა მესტვირე. საინტერესო ლექსები: თელაურ „თხაზე“ და სიღნაღურ „ვირზე“ და აგრეთვე რჩეული საარშიყო ლექსები, დაღუპული გემი (ტიტანიკი), სიმღერები და გამოცანები. გამოც. მე-2. ტბ., 1913.
- კანზე: „ი. გრ. II გამოც“.
- გვ. 32. წიგნის ბოლოს მიწერილია: „იხ. პირველი გამოცემა! ეს უკანასკნელი სამი ლექსი ეკუთვნის მექათმე გეურქ სარქისოვს“.
6857. სრული აღწი ჰორომ და შეგუას სიმღერა და ყომარბაზის დღე. ლექსები [თბ.], 1914.
- გვ. 3. ლექსს „მმის სიმღერა“ მიწერილი აქვს ავტორი: „შ. მღვიმელი“.
- გვ. 6. ლექსს „ვითომდა იგიც ქრისტიანია“ მიწერილი აქვს: „ვ. რუხაძე“.
- გვ. 7. უსათაურო ლექსის ბოლოს: „აკაკი“.
- 6858–6859. სტეფანოვი ა. ახალი ანბავი შედგ. ა. სტეფანოვისა (ჩაქუჩ-ოღლანისა) ტფილისის ქება და სხვა სიმღერები. თფ., 1878.
- კანზე: „წიგნი. იოსებ მამულაშვილი 1905 წ.“
- ყუა გაკეთებულია ი. გრ. მიერ.
- გვ. 17. ლექსს „მუხამბაზი“ მიწერილი აქვს „აკროსტიხი“. ასევე: გვ. 18, 20.
6860. სტეფანოვი ა. (ჩაქუჩ-ოღლანი) სიმღერა კნ. დათიკო ბებუთოვზე მთვარის ხმაზე. ტფ., 1877.

6861. სხვადასხვა ლექსები და სიმღერები. ავარას სიმღერა. სამიჯნურო მიწერ-მოწერა. [შეკრებ.] ზარიძისაგან. თბ., 1901.
6862. ფარადაშვილი გ. ხოლერის ლექსი. (ვუძღვნი გორელ კინტოებს). ტფ., 1892
6863. ქალ-ვაჟიანი. მეხუთეთ გამოცემული მიხ. ახპატელოვისაგან. თფ., 1882.
6864. ქალ-ვაჟიანი. მეორედ გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან. (მე-11 გამოცემაა ეს). თფ., 1887.
6865. ქალ-ვაჟიანი. (მოთხრობა). მეორედ გამოც. მ. ს. (ზაქ. ჭიჭინაძისა მეორედ გამოცემიდამ. მე-13 გამოც.). ტფ., 1890.
- თავფურცელსა და 1-ლ გვ. ბეჭედი: „Тифл. Публ. Библ.“
6866. ქალ-ვაჟიანი. გამოც. მესამე ზაქ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1891.
- კანზე: „არ არის ქართულ წიგნში“.
6867. ქალ-ვაჟიანი. მეშვიდეთ გამოცემული ლიზა მარჯანოვისაგანა. შედგ. აღპატელოვისაგან. ტფ., 1891.
- კანზე: „მჭირია. ეს მინდა, არა მაქვს. ი. გრ“.
6868. ქალ-ვაჟიანი. (მოთხრობა). პირველი გამოცემული მ. ს. გამოც. წოვინარაშვილისაგან. (მე-13 გამოც.). თბ., 1892.
6869. ქალ-ვაჟიანი. მერვედ გამოც. ლიზა მარჯანოვისაგან. შედგ. აღპატელოვისაგან. ტფ., 1892.
6870. ქალ-ვაჟიანი. ბერძნულიდამ ნათარგმნი მე-17 საუკუნეში დიდის მეფის თეიმურაზის დროს. 23-ე გამოც. ტფ., 1892.
6871. ქალ-ვაჟიანი. (მოთხრობა). მესამედ გამოცემული ს. მ. (მეთოთხმეტე გამოცემაა ეს). ტფ., 1893.
6872. ქალ-ვაჟიანი. 23-ე გამოცემა. ახალი სენაკი, 1893.
- 6873–6874. ქალ-ვაჟიანი. (მოთხრობა). პირველად გამოც. მ. ს. გამოც. წოვინარაშვილისაგან (მე-14 გამოცემაა ეს). ტფ., 1896.
- თავფურცელზე: „ეს წიგნი არ არის აწერილი „ქართ. წიგნში“. ი. გრ“.
6875. ქალ-ვაჟიანი. ბერძნ. ნათარგმნი მე-17 საუკუნეში დიდის მეფის თეიმურაზის დროს. 30-ე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1897.
- 6876–6877. ქალ-ვაჟიანი. ბერძნ. ნათარგმნი მე-17 საუკუნეში დიდის მეფის თეიმურაზის დროს. 33-ე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1898.
- თავფურცელზე: „ეს აკრები [!] არ შეიძლება, ახპატელოვ“! და ცოტა ქვემოთ: „გასწორებული ახპატელოვისაგან. ამან იცოდა შესწორება ძველ ხელთნაწ. იხ. კეკელიძე, ტ. II, გვ. 287“.
6878. ქალ-ვაჟიანი. ბერძნ. ნათარგმნი მე-17 საუკუნეში დიდი მეფის თეიმურაზის დროს. 35-ე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1900.
6879. ქალ-ვაჟიანი. ბერძნ. ნათარგმნი მე-17 საუკუნეში დიდის მეფის თეიმურაზის დროს. მე-40 გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. თფ., 1901.
- თავფურცელზე ხაზგასმულია: „დიდის მეფის თეიმურაზის დროს“ და მიწერილი კითხვის ნიშანი. იქვე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ“.
6880. ქალ-ვაჟიანი. (მოთხრობა). პირველი გამოც. მ. ს. წოვინარა-შვილისაგან. (მე-17 გამოცემაა ეს). ტფ., 1902.
- კანსა და 3 გვ. ბეჭედი „Тифлисской публичной библиотеки“.
6881. ქალ-ვაჟიანი. მოთხრობა. მეორეთ გამოც. თბ., ალ. შახზარათოვის გამოც. № 24, 1906.
6882. ქალ-ვაჟიანი ანუ ლექსთბაასი. [ტფ.], 1907.
- კანსა და გვ. 3 ბეჭედი: „Тифлисской публичной библиотеки“.

6883. ქალ-ვაჟიანი. მოთხრობა (სურათებით). თბ., გამოც. აღ. შახზარათოვისა № 120, 1913.

თავფურცელზე: „მხოლოდ ლენინგრადშია“. იქვე: „რა შუაშია ამ წიგნში (გვ. 7) სურათი ელისაბედ ორბელიანისა? ი. გრ.“

გვ. 7. სურათზე: „ეს ხომ ელისაბედ ორბელიანია?“

6884. ქალ-ვაჟიანი. ზღაპრული მოთხრობა. ძველებური ამბავი. მე-X-ე გამოც. შედგენილი მიხეილ ახმეტელოვისა. ქუთაისი, გამოც. ალექს. შახზარათოვისა № 146, 1927.

კანზე ხაზგასმულია შემდგენლის გვარი: „ახმეტელოვი“ და მიწერილია: „ახპატელოვისა“.

თავფურცელზე: „ი. გრ. წაღვ. 1927. 17/IX“.

6885–6888. ქალ-ვაჟიანი. ზღაპრული მოთხრობა, ძველებური ამბავი. მე-10 გამოც. შედგ. მიხეილ ახპატელოვისაგან. ბათომი, გამოც. ა. შახზარათოვისა № 146, 1928.

6889–6890. ქალ-ვაჟის სამიჯნურო მიწერ-მოწერა. ორი ძმის სიყვარული. ავარა. თბ., 1901.

წიგნის ბოლო გვერდზე: „ავარა ვასოას ნათქვამი. ი. გრ.“.

მეორე ცალის კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის! ი. გრ.“.

6891. ქალ-ვაჟის სამიჯნურო მიწერ-მოწერა და ამირანი. თბ., 1909.

6892. ქალ-ვაჟის სამიჯნურო მიწერ-მოწერა და სხვადასხვა ლექსები. თბ., 1901.

6893. ქალ-ვაჟის მიწერ-მოწერა და სხვადასხვა ლექსები. მე-5 გამოც. ლ. ახპატელოვისაგან. ტფ., 1904.

გვ. 15. არშიაზე წერია: „ეს ლექსები მგონია ა. განჯისკარელისა“.

გვ. 18. ლექსის ბოლოს: „ან განჯისკარელი“.

გვ. 33. ლექსში „კინტოს სიმღერა“ გადახაზულია: „ყრმასო“ და მიწერილია: „რომ არ იყოს“.

6894. ქალაქელი. წითელი ოთახი ანუ უცნაური ამბავი ტფილისში. ტფ., 1911.

6894ა ქვრივის სიმღერა და სხვები. გამოც. მე-2. ტფ., 1878.

გვ. 6. არშიაზე: „ავტორის ნასწორები“.

1-ლ, მე-4, მე-8, მე-11 სტრიქონებში გადაშლილია სიტყვები და ჩასწორებულია ავტორის დ. ლაზარევის მიერ.

6895. ღვინოევი წ. ახალი ლექსები. გამოც. წ. ღვინოევისაგან № 1. თფ., 1883.

გვ. 13. მოხაზულია: „მარად ეხლა აღმოვსთქვამ ამ ბურვალის ქებასა“..., მიწერილია: „ტფ., ბულვარის ქება“.

6896. ყაზარა ახალგორელი. ლექსთა კრება. თბ., 1897.

კანზე ავტორის გვარის შემდეგ მინაწერი: „დალ. ჩოხატაურელისა. ი. გრ“.

თავფურცელზე: „ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1936. 11/I“.

6897–6899. [ყაზაროვი დ.]. ამბავი მექელეხე ქალებისა (რამდენიმე სურათი თბილისის ცხოვრებიდან) და ზარმაცი კაცის ცხოვრება. შედგ. და გამოც. დ. ა. ყა-ისა. ტფ., 1910.

კანზე: „ი. გრ. თბილისში არ არის. იქვე: „ისტილათი, 4; არა მაკლისანთ, 4“.

მეორე ცალში ავტორის კრიპტონიმთან მიწერილია: „ყაზაროვისა“.

6900. [ყაზაროვი დ.]. ამბავი მექელეხე ქალებისა (რამდენიმე სურათი თბილისის ცხოვრებიდან) და ზარმაცი კაცის ცხოვრება. შედგ. და გამოც. დ. ა. ყა-ისა. ტფ., 1916.

6901. [ყაზაროვი დ.]. კინტოს საუბარი. ქვეყანაზე სიტყვა ფულია! (თბილისის ცხოვრებიდან). ა. დ. კ-ვი. თბ., 1912.



6902. [ყაზაროვი დ.]. ობა თქვენკენ არის ანუ საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. (თბ. ცხოვრებიდან). თბ., 1913.

6903. [ყაზაროვი დ.]. ობა თქვენკენ არის ანუ საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. (თბილისის ცხოვრებიდან). თბ., 1916.

6904. ყარაგოზოვი. ნ. ლექსები. თფ., 1880.

კანზე: „ი. გრ. დვანამეზე, გვ. 29“.

6905. ყასაბი მიხუას დახრჩობა მტკვარში. (ლექსი). ტფ., 1902.

კანზე: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“.

თავფურცელზე: „წიგნები ჩემი პირველი ბიბლიოთეკიდან 1905 წლიდან. – ი. გრ“.

6906. ყაჩაღის ამბავი და სასიმღერო ლექსები. თბ., [1917].

თავფურცელზე: „ი. გრ. – სახსოვრად დედიჩემისაგან“.

წიგნში ჩადებულია ი. გრ. დედის მიერ ჩაწერილი ლექსი:

„ლამაზების ხელმწიფევ  
შემკობილო სრულათა,  
ლამაზ საქართველოში  
შენ ხარ თაიგულათა.  
ედემისა ყვავილო  
ქვეყნათ გადაშლილი ხარ,  
ჩემსა წველათ ვინ გშობა  
ამ გულის დასაწველათა.  
რათ გაგიცან პირველათ  
ეხლა რო მემალევი,  
შენი ცქერით გამაძლე  
გაგიშავდეს თვალები.  
შენზე მღერა მომინდა  
გრილ ადგილას ვტირი მე.  
შენი გაცნობისათვინ  
ამერია ტვინი მე“.

იქვე: „ხელი დედიჩემისა. 1941, 23/VII. დედიჩემის მიერ ჩაწერილი ქალაქის ფოლკლორი. ი. გრ“.

ქაღალდის მეორე მხარეს: „ლიზა კაკაჩოვა“.

6907. ყორხმაზოვი ხ. ქალი ნაწვალ ავლაბარში დავით ჯავახოვისაგან. თბ., 1885.

კანზე: „ი. გრ. 1944. 2/2“.

გვ. 11. ტექსტის ბოლოს ხაზგასმულია მთარგმნელის გვარი და მიწერილია: ყარაგოზოვი ნინო. ი. გრ“.

6908. შახ-ბარათოვი ა. ლექსები. ჰაჯი-ბაბას ქმნილება. თბ., 1913.

კანზე: „ყანაოზი, 14, ი. გრ“.

6909. შაჰპარუნოვი ა. ლექსათ თქმული ახალგაზრდა ქალის მშობიარობის დროს გარდაცვალებაზედ. ანნა იოსების ასული ალექსი შავერდოვისა 1914-სა წელსა აპრილის 4-სა დღესა. გორი, 1914.

6910. შესაზარი სურათი ყუმბარით დახოცილნი შოფერი და მისი თანაშემწე - ვასიკო და შალიკო. 13 სექტემბერს მომხდარი უბედურობა. [ლექსი]. თბ., 1919.

თავფურცელზე: „ამ წიგნის ავტორია რუბენ ვახტანგოვი. ი. გრ“.

6911. შიხიანი გ. აკაკის დასაფლავება, აკაკი დამესიზმრა და აკაკიზე ლექსები. თბ., 1915.

კანზე: „სახალხო ფურცლის რედაქციაში ავტორისაგან“. იქვე: „გ. სკანდ. დ. გივიშვილი, გვ. 5“.

გვ. 5. მოხაზულ-ხაზგასმულია ადგილები. რკალშემოვლებულია „გასწი, გამშორდი, აღარ მიყვარხარ“ და მიწერილი არშიაზე: „ეს ჩემი ერთი ლექსის სათაურია“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „შენი სამარე ჩვენი გულია“ და მიწერილი: „განდეგილი“.

წიგნში დევს ამავე გამოცემის მეორე ცალი, უფრო გაცვეთილი, რომლის კანზე წერია: „შეინახეთ ჩემზედაც“?

გვ. 5. ხაზგასმულია ლექსების სათაურები და მიწერილია: „ჩემი ლექსებიდან. ი. გრ“.

6912–6913. შიხიანცი გ. ალლავერდი. *Cyrcota* ქართულათ და სხვა რჩეული სასიმღერო ლექსები. გამოც. მე-2. თბ., 1912.

გვ. 13. ლექს „დილა“ მიწერილი აქვს: „ა. ჯორჯიაშვილს (?)“.

გვ. 14. ლექს „მუშის სიმღერა“ მიწერილი აქვს: „ჰაზირა“.

6914. შიხიანცი გ. დილა. საამდროო ლექსები. თფ., 1908.

კანზე: „ი. გრ. I“.

გვ. 9. ლექსში „ახალი ხმა“ გადახაზულია სტრიქონი: „როგორც ხვთება შე-ორგულო“ და წერია: „ვით სალოცავ ღვთაებადა“. მომდევნო სტრიქონში სიტყვა „პირველათ“ გადახაზულია და მიწერილი: „შენ მე“. სტრიქონი: „მთლათ ცხოვრებით გამატყავე“ შესწორებულია: „მთლათ ცხოვრება შემატყვე“.

6915. შიხიანცი გ. დილა. ჩამატებული სასიმღერო საამდროვო ლექსებით. მე-2 გამოც. თფ., 1909.

თავფურცელზე: „უღძვნი ჩემ გულითად მეგობარ გრიშაშვილს. ავტორი“.

კანზე: „ი. გრ. II“.

6916–6917. შიხიანი გ. დილა. სასიმღერო საამდროვო ლექსები. მე-3 გამოც. თბ., 1913.

კანზე: „ი. გრ. III“.

6918–6919. შიხიაშვილი გ. ტურფა ბალი და სხვა სასიმღერო ლექსები. თბ., 1905.

6920. შიხიაშვილი გ. ტურფა ბალი და სხვა სასიმღერო ლექსები. გამოც. მე-2. თბ., 1907.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ“.

6921–6922. შუმანიკიანი. მე-2 გამოცემული იაგორ ნერსესოვის და ვანო სულხ-საგან. თბ., 1893.

6923. ანგური ანუ სალხინო მეჯლისი, ტფილისის ძველი და ახალის დროის სიმღერებისა. – ჭიდაობის სცენები ჩვენი ძველი ფალევანის ხიზამბარელის. ტფ., 1905.

წიგნი შეკეთებულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელზე მესაზანდრეთა დასტის ფოტოსურათზე ერთ-ერთ მესაზანდრეს მიწერილი აქვს: „ჯივანა“.

გვ. 10. ლექსს „კინტოს სიმღერა-ორი ძმობილის სიყვარული“ მიწერილი აქვს: „ავარა“.

გვ. 11. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „პემტარხნის სიმღერა“, ლექსის ბოლოს მიწერილია: „ბეჩარა“.

გვ. 27–28 მოთავსებულ ლექსის ბოლოს: „გ. სკანდარ“.

გვ. 31. მოხაზულია ლექსი „ნეტარ ერთი მამკლას ვინმემ“ და მიწერილია: ხალხური?“.

გვ. 32. ხელმოუწერელ ლექსს „ლოთური მუხამბაზი“ მიწერილი აქვს: „ო. ამიროვი“.

გვ. 47. ხაზგასმულია სათაური: „ჭიდაობის სცენები“, მიწერილია: „ხიზამბარელი“. ეს პიესა ეკუთვნის ვანო ლუარსაბიძეს, იხ. 1893 წ. გამოცემა. ი. გრ“.

6924. ჩანგური ანუ სალხინო მეჯლისის ტფილისის ძველი და ახალის დროის სიმღერებისა. ჭიდაობის სცენები ჩვენი ძველი ფალევანის ხიზამბარელის ცხოვრებიდან. მე-2 შევსებ. გამოც. ტფ., 1910.  
კანზე: „ი. გრ. აკლია: 7–10, 15–6, 19–28“.

6925. ცაფცას ზანგი. პირველი ნაბიჯი. (ლექსები). ტფ., 1907.  
კანზე ავტორის ფსევდონიმის ქვეშ: „არშაკ ვარნაზოვი. სირაჩხანის აღმართში რამკებსა ჰყიდდა. სინათლის რედაქტორი იყო“.

თავფურცელზე: „იშვიათია. ი. გრ“.

6926. ძამუკოვი გ. გაზაფხულის მშვენიება ანუ ახალი ლექსები. თელავი, 1911.

6927–6928. ძამუკოვი გ. ლახტი. (ლექსები). თბ., 1916.

6929. ძამუკოვი გ. ლექსი ნიკოლოზ ჯიმუხაძის მოკვლაზე. აზრი მელანია ჯიმუხაძისა, გალექსილი და გამოც. გეურქა ძამუკოვისა. მომხდარი უბედურება ქ. თელავში. თბ., 1915.

6930. ძამუკოვი გ. სიმართლე ანუ ახალი (ლექსები). ტფ., 1912.

6931–6932. ძამუკოვი გ. ხმა ცხოვრებისა. ლექსები. [ა-ელის წინასიტყვაობით.]. ტფ., 1913.  
კანზე და გვ. I უწინდელი მფლობელის ბეჭედი: „И. Т. Полумордвинов“  
კანზე: „ბ. ახოსპირელის წინათქმით“.

6933. წითლავიშვილი მ. ახალი სიმღერები და ვოდელია რანუნი. თბ., 1904.  
კანზე ავტორის ფსევდონიმთან „ვერლისციხელი?. იხ. თავფურცელი“.

თავფურცელზე: „ამ ლექსის ავტორია მნაცაკან ივანეს-ძე ისაკოვი. წითლავიშვილს ეძახის სოფელი. ეხლა თანამშრომლობს თელავის რაიგაზეთში. მისი ფსევდონიმი იყო მ. ველისციხელი (1906). მათე წითელის ფსევდ. (21 წლიდან). ი. გრ“.

6934. ჭემმარიტი ახალ თაობის ლექსები. თბ., 1907.

6935. ხალათოვი ა. ჭირიმე. სიმღერები. ტ., 1909.

6936–6937. ხითაროვი გ. ფათერაკი და სხვადასხვა ლექსები და მუხამბაზები. თფ., 1893.

გვ. 2 და 14. ყოფილი მფლობელის ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

მეორე ცალის კანზე: „რბილი მათრახი“, გვ. 12“.

6938–6940. ხითაროვი გ. ფომინო და სხვადასხვა ლექსები და მუხამბაზები. აგრეთვე პროზა. ტფ., 1901.  
თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს. გ. მსხილაძე 7/XII-54 წ“.

6941–6942. ხითაროვი ი. ჩიორა-ჩიტი და სხვადასხვა ლექსები. მდივან ბეგი (სოფლის ცხოვრებიდან). თბ., 1904.  
კანზე: „აქ თარგმანია სომხურიდან. ი. გრ.“.

მეორე ცალის ყუა გაკერილია საკერავ მანქანაზე ი. გრ. მიერ.

6943. ხოშტარია ა. ლექსი ფალევან ნესტორ ესებუაზე და სხვა ლექსები. თბ., 1886.

6944. ხუსკივამე ს. ლექსი ჩინოვნიკობის ნატვრაზედ. არგანჩიკების სიმღერა და ტუსადის ვითარება. ტფ., 1880.

6945. ხუსკივამე ს. ლექსთა კრება დღიურ ვარამზე. ტფ., 1898.

6946. ჯიგი, ჯიგი და ვახე ვახე!... ახალ ნახალი სიმღერები. ქართული [კრებული]. შედგ. გ. ი. ს. თბ., 1913.

კანზე: „ამ წიგნში ჩემი ძველი ლექსი საიდან მოხვდა? (ჩემს ზურნაში იყო დაბეჭდილი). ი. გრ.“ ხაზგასმულია: „გ. ი.“ და მიწერილი: „გიორგი ივანეს-მე სკანდარ“.

გვ. 1. ხაზგასმულია: „ამის პლასტინკა გრამაფონში ნახეთ“, მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 13. ლექსს „მოგონება“ მიწერილი აქვს: „ეს ხომ ჩემი ლექსია? ი. გრ.“

გვ. 14. „ი. გრ. ჩემი ძველი ლექსია. 1907“. [დანარჩენი სიტყვები აღარ იკითხება]. 6947. ჯიგი-ჯიგი, ვახე-ვახე და სხვა ლექსები. [კრებული]. შვედ. შედ. ბ. ა. თბ., 1913.

გვ. 10. ლექსში. „ქვრივის სიმღერა“ ხაზგასმულია სიტყვა: „ჩემი“ და მიწერილია: „ის“, ამავე ლექსის ბოლოს: „გრი-გრი“.

გვ. 15. ლექსის „სიმღერა“ ბოლოში: „გ. სკ“.

6948. ჯიგი-ჯიგი და სხვა ახალი ლექსები. [კრებული შედგ.] ა. კ-ან. თბ., 1913.

6949. ჰაზირა. ახალი ლექსები. სხვადასხვა. თბ., 1894.

კანზე: „ი. გრ. – ჰაზირას ლექსები“.

გვ. 4. სტრიქონთან „მამაჩემი მოკვდა, დედაჩემიც სხვასთანა“, მიწერილია: „მამა მოგვიკვდა, დედა სხვას გაჰყვა“. ხაზგასმულია: „აწუხებს“. მიწერილია: „აწვალებს“.

გვ. 12. სტრიქონთან „ერთ ლოდსა ყველა მხრიდან გაწევით“ მიწერილია: „რად გინდათ რომ ლოდს ყველა მხრიდან ეწევით“.

6950. ჰაზირა. ახალი ლექსები. სხვადასხვა. თბ., 1895.

ხელნაკეთ ყდაზე: „ჰაზირა. მეორე გამოცემა, 1895 წ. ი. გრ“.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს გ. მსხილაძისაგან. 7./ XII 54 წ“.

6951–6952. ჰაზირა. ბელადი. სხვადასხვა ახალი ლექსები და სიმღერები. ტფ., 1896.

6953–6954. ჰაზირა. ბელადი. სხვადასხვა ახალი ლექსები და სიმღერები. თბ., 1904.

კანზე სათაურს ქვემოთ: „პირველი გამოცემა გამოვიდა 1896 წ. ი. გრ“.

გვ. 28–29. ლექსს „მარტის თვე“ მიწერილი აქვს: „აშუღ ჰაზირას მუხამბაზი“. მე-3 სტრიქონში გადახაზულია სიტყვა: „გმირთა“, არშიაზე: „გმირებს“. მე-4 სტროფში გადახაზულია სიტყვები: „კეთილი დღე და“. მის მაგივრად: „დღე კეთილი და მზიანი“. მე-5 სტროფში გადახაზულია სიტყვა „სასწაულში“, მიწერილია: „სასწავლებლად“.

6955–6957. ჰაზირა. გამგელებული ბატკანი ანუ ომი ბალკანეთისა და რამდენიმე ძველი და ახალი ლექსები. თფ., 1914.

კანზე: „სონა სოსო, 1914 წ. 30 ოქტ“.

გვ. 9. ლექსს „სირუნერ-მიქნელანალის ხმაზე“ მიწერილი აქვს „ეს ლექსი სომხურადაც არის. ეკუთვნის აშუღ შერამას ი. გრ“.

გვ. 18. მოხაზულია „ამაყო, ამოყო“, მიწერილია: „ასონანსი“.

გვ. 19. „ზარბაზს“, მიწერილი აქვს: „ატლასს“. ლექსს „მუხამბაზი“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი ბეჩარას სახელით დაბეჭდილია „კოლექტივიზაციაში“ № 244. 1934“.

გვ. 20. არშიაზე წერია: „ეს ლექსი ჰაზირამ დასწერა სომხურად 1872 წ. 10 ივლისს, მერე თითონვე თარგმნა. ი. გრ“.

გვ. 22. არშიაზე: „ეს ლექსი თარგმნილია სომხურიდან ჰაზირასაგან“.

გვ. 25. ლექსის ბოლოს: „ხმა არა ჰქონდათ, მგლის კილო ჰქონდათ შერჩეული-ექსტაზში მოჰყავდათ ხალხი“?

გვ. 25–26. გასწორებულია სიტყვები: „გზაზედა-გვარზედა“, „კმარებზედ-კარზედა“, „რჯულზედა-სულზედა“.

6953. ჰაზირა. პატარა აშული. ახალი სიმღერები და მოდა. თბ., 1911.

გვ. 13. ლექსში „მუხამბაზი“ ხაზგასმულია: „ჩვენი მხარე აიკლეს ახმახებმა“, მიწერილია: „ახმახები – ლექები, (ყაზახებმა) ცენზორმა არ გაუ“...

6959–6961. ჰაზირა. ყბედი. ჰაზირას რჩეული სიმღერები, მუხამბაზები და სხვადასხვა ჰანგები. თბ., 1903.

ცალკე, თავისუფალ ფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ალ. ბუხნიკაშვილის წიგნებიდან. 1924. 16/VI“. იქვე: „გუგული ბუხნიკაშვილმა გადმოცა თავის მამის არხივიდან. ი. გრ. 1950. 5/V“.

მესამე ცალის თავფურცელზე: „მის ბრწყინვალეობას კნიაზ ლევან მელიქოვს ავტორისგანა“.

თავფურცელის მეორე გვერდზე და ტექსტის ბოლოს ყოფილი პატრონის ხელწერა: „პ. გუგუშვილი“.

6962–6963. ჰაზირა. ყბედი. (დამატებით). ჰაზირას რჩეული სიმღერები, მუხამბაზები და სხვადასხვა ჰანგები. თბ., 1911.

წიგნს აკლია ბოლო ფურცელი. ბოლოში ჩაკრულ ფურცელზე ი. გრიშაშვილის ხელით აღდგენილია გვ. 29-ის ტექსტი და მიწერილია: „ი. გრ. 1928. 26/VI“.

## ქართული ლიტერატურის ისტორია

6964. აბაშიძე ი. პალესტინის დღიური. თბ., 1961.

6965–6970. აბაშიძე კ. ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ქუთაისი, 1911–1912.

ტ. 1. 1911.

აკინძულია მე-2 ტომთან ერთად, ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „თხზულებანი კიტა აბაშიძისა. 1–2. ი. გრიშაშვილი“.

თავფურცელზე: „პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს, ენატკბილსა მგოსანს. კიტა. 1912, მარტი 10“.

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით: „კიტა აბაშიძის „წერილები უცხოეთიდან“ – „სახალხო გაზეთი“, 1912, № 710 და სხვა № 719 და სხვა“.

მესამე ცალის თავფურცელზე: „დუბლ. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან. ი. გრ“.

ტ. 2. 1912.

6971–6974. აბაშიძე კ. თ. აკაკი წერეთელი. (სალირიკო პოეზია). ქუთაისი, 1908.

თავფურცელზე: „პატივისცემით სოსოს გ. მსხილაძე-20/I 56 წ“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ჩემს საყვარელს მწერალს, ძვირფას შიოს. კიტა“.

კანზე: „ავტორს მიუძღვნია შიო არაგვისპირელისათვის. – ი. გრ. – 1953. 6. III. იმის შვილმა გაყიდა“.

მესამე ცალის კანზე: „შიგ მინაწერები მგონი იაკობ ფანცხავასია. ი. გრ“.

6975–6978. [აბაშიძე კ.] ერთი პილატეთაგანი. „ჯვარს აცვ. ჯვარს აცვეგე!“ (გადმობეჭდილი გაზ. „ერი“-დან) ქუთაისი, 1913.

კანზე ავტორის ფსევდონიმის ქვემოთ: „კიტა აბაშიძე, ი. გრ. გვ. 15“.

მე-15 გვ. ხაზგასმულია: „1900 წ. „კვალის“ მე-19 ნომერს ნახავს“, მიწერილია: „წერილი კ. ი. ჯაფარიძისა. ი. გრ.“.

კანის მე-3 გვ.: „უკვდავი ბოროტება (პასუხად ფ. მახარაძეს) ფ. გოგიჩაიშვილისა. (იხ. „სახალხო საქმე“, 19...). ი. გრ“.

მეორე ცალის გვ. 10. მოხაზულია: „იმედია, ამას არ დაივიწყებს ასე ყბათ აღებული ქართველი ხალხი“, არშიაზე: ჰმ!“

6979. აბაშიძე კოკი. აკაკი წერეთელი. ნაწყვეტები მოგონებიდან. ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1933, № 6–7.

გვ. 173. ხაზგასმულია აბზაცი, სადაც ავტორი წერს აკაკის მიერ გ. აბაშიძის საფლავის ნახვის შესახებ, არშიაზე მიწერილია: „ლენინგრადშია“?

გვ. 175. მოხაზულია ბოლო აბზაცი, მიწერილია: „ბოჰემა“.

გვ. 177. ხაზგასმულია სიტყვა: „შარჟი“, მიწერილია: „პაროღია“.

ხელნაკეთ კანზე: „კოკი აბაშიძე. აკაკი წერეთელი, (მოგონებანი). „მნათობი“, 1933, № 6–7. იქვე: „ჩემზე, გვ. 167–168. ი. გრ“.

6980. აბაშიძე კოკი. გრიშა აბაშიძე. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1934, 10.

6981. აბზიანიძე გ. ია ეკალაძე. (კულტურის მატთან). – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1933, 11.

6982–6983. აბზიანიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1955.

თავფურცელზე: „ჩვენ სასიქადულო პოეტს და მოღვაწეს, იოსებ გრიშაშვილს, მეგობრული პატივისცემით. გიორგი აბზიანიძე. 27. 1. 56“.

6984. აბზიანიძე გ. ქართველი კლასიკოსები [ნარკვევები]. თბ., 1950.

ფორზაცზე: „დიდ ქართველ პოეტს და მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით და სიყვარულით. გიორგი აბზიანიძე. 20 იანვარი. 1951 წ.“

გვ. 178. ხაზგასმულია ქვემოდან 7 სტრიქონი, არშიაზე: „იხ. ჩემი III ტ“.

6985. აბრამიშვილი ე. ზურაბ ანტონოვი. ბათუმი, 1958.

კანის მეორე გვერდზე: „სიყვარულისა და სილამაზის განუმეორებელ მგოსანს უდიდესი მადლობის გრძნობით ელ. აბრამიშვილი. 20/XII-1958 წ.“.

გვ. 104. ხაზგასმულია სიტყვა: „კვერნაკი“ და მიწერილია: „კვერნაკი-მადლობის ვაკე. ი. გრ“.

კანზე: „ი. ანდრევსკი – მსახიობი, გვ. 112; „გინდ მეძინოს“, გვ. 113; შახიანი, გვ. 115; გოძიაშვილი, გვ. 116“.

6986–6987. აბულაძე ი. ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი“-ს რედაქცია. შესწორებანი და შენიშვნანი „ვეფხის ტყაოსანი“-ს 22-ე გამოცემის შესახებ. პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით. მე-2 სერია. გადაბეჭდილია 1917 წ. ჟურნალ „განათლები“-ს აპრილის ნომერში მოთავსებული წერილითგან შესწორებულად. ტფ., 1920.

თავფურცელზე „პატივისცემით სოსოს გ. მსხილაძე. 8/VI 55 წელი“.

6988. აბულაძე ი. „ვეფხის-ტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელის „ტარიელ“ და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის. – ცალკე ამონაბეჭდი „ტფილ. სახელმწ. უნ-ტის შრომებიდან“, 1936, ტ. 3. გვ. 182–184.

წარწერები: „მეცნიერ მეგობარს პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილს ღრმა პატივისცემით. ი. აბულაძე. 3/XI. 36 წ“. იქვე: „საყვარელ პოეტს. მეგობარს სოსოს ი. აბულაძე, 11/V 1943 წ.“

6989. აბულაძე ი. „ვეფხის-ტყაოსანი“-ს სიუჟეტისათვის. ტფ., 1936. – ცალკე ამონაბეჭდი „ტფილ. სახელმწ. უნ-ტის შრომებიდან“, 1936, ტ. 1, გვ. 141–150.

6990–6991. აბულაძე ი. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია წიგნზე: ვისრამიანი. ალ. ბარამიძის, კ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედ-ით და შესავ. წერილით. ტფ., 1938. ამონაჭერი: თბილისის სახელმწ. უნ-ტის შრომები, ტ. 27b, 1946.

ტექსტის დასაწყისში: „წარჩინებულ სახალხო მგოსანს ი. გრიშაშვილს ი. აბულაძე 12/VIII-46“.

6992. აბულაძე ი. მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“. თბ., 1908 „ცალკე ამონაბეჭდი „ძველი საქართველოს“ ტ. 1-დან.

6993–6994. აბულაძე ი. მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხის-ტყაოსანი“ ლექსიკონითა და წერილებით: პოემის ხალხურობის, ძველის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ. ტფ., 1922.

კანზე: „ი. გრ. 1923 7 ივნის“.

თავფურცელზე: „ძვირფას მეგობარს სოსო გრიშაშვილს უძღვნის უღრმესი პატივისცემით იუსტ. აბულაძე 7/VII. 1923 2. ქ. ტფილისი“.

6995. აბულაძე ი. შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ. კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით. პირველი სერია. ტფ., 1914.

კანზე! „ძვირფას მეგობარს ი. გრიშაშვილს შემდგენელისაგან. 17. 10. 15“.

6996–6997. აბულაძე მ. ტიცვიან ტაბიძის პოეზია. თბ., 1961.

6998. ავალიანი ს. გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თბ., 1954.

6999. ავალიშვილი ზ. თეიმურაზ- I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. დამატება: სამი ისტორიული საბუთი. პარიზი, 1938.

7000. 1837–1957. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების გაერთიანებული საიუბილეო-სამეცნიერო სესია მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., თელავი, 1957.

7001. აკაკი წერეთელი. საიუბილეო კრებული. თბ., 1940.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1940. № 6. VII“.

ყდის მეორე გვერდზე: „ჩემი წერილი, 399. ი. გრ; ეს არაკი სპარსულია. იხ. დ. გივიშვილსაც აქვს გალექსილი, გვ. 242; შეცდომა: 1. გრიშა აბაშიძე? გვ. 412. 2. გ. ტაბიძის ჟურნ., 437“.

ფორზაცზე: „ირაკლი ბატონიშვილზე, გვ. 121, გვ. 344, 350; სერგო ბახტაძე, 439; აკაკის „ღალატი“ მოსწონდაო, 437; შეცდომანი, 355, 366, 412, 437; ბაზილევსკი...; აკაკის ცოლი, გვ. 431“. იქვე ჩადებულია ბლოკნოტის ფურცელი წარწერით: „კურიოზი: 1. გ. ტაბიძის ჟურნალი და ივ. ელიაშვილი (გამოვიდა 1929). 2. გრ. აბაშიძე და ექიმი ჭოლოშვილი. გრ. აბაშიძე გარდაიც. 1903 წ. 3. „დედა ენას“ ბეჭდავდა ილიაო. (იხ. „Дружба народов“, № 4)“.

გვ. 241. სქოლიოში შენიშვნას: „სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, გვ. 24 – მიწერილი აქვს: „გამოცემა?“

გვ. 242. დაბეჭდილია არაკი „ვირი და ძველის“ აკაკისეული და ხალხური ვარიანტები, მოხაზულია და მიწერილი: „საბასაც აქვს ეს არაკი. დ. გივიშვილმაც გალექსა“.

გვ. 250. ტექსტში მოყვანილია აკაკისეული და ხალხური ვარიანტები ლექსისა „პატარა ბიჭი ვიყავი“. ხალხურ ვარიანტს მიწერილი აქვს: „არ რითმა აკაკურია. აკაკისეულ ვარიანტს – „აქ-არა.“

252–253 გვერდებს შორის ჩადებულია საკატალოგო ბარათი, რომლის თავისუფალ გვერდზე წერია: „გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო!“ აკაკის ლექსი: „ჯეჯილი“, 1905, № 1“.

გვ. 353. ხაზგასმულია „ღმერთმანი“ და მიწერილია: „ღმერთთან. ი. გრ“.

გვ. 366. მოხაზულია „სისხლიდან“ და მიწერილი: „სასახლიდან. ი. გრ“. მოხაზულია: „გადარევდა“ და მიწერილი: „გადრევდა. ი. გრ“.

გვ. 412. მოხაზულია: ნიცას ოჯახში აკაკის საუბრებს ...გრიშა აბაშიძე ესწრებოდა“... არშიაზე: „ამ დროს გრიშა აბაშიძე მკვდარი იყო. გარდაიცვალა 1903 წ“. ამავე გვერდზე მე-4, 8 აბზაცები, სადაც ისევ გ. აბაშიძეზეა ლაპარაკი, მოხაზულია და კითხვის ნიშანი აქვს დასმული.

გვ. 413. „1913 წ... ნიცა წერეთლის დიასახლისობით საჩხერის საავადმყოფოს ეზოში გაიმართა... საქველმოქმედო საღამო“ – მოხაზულია და არშიაზე: „ნიცა როდის გარდაიცვალა?“

გვ. 430-სა და 431-ს შორის (სადაც იწყება ივ. ელიაშვილის მოგონება – „აკაკი“) დევს ფურცელი წარწერით: „ი. ელიაშვილმა აკაკიზე მოგონება წაიკითხა 1916 წ. (იხ. „საქართველო“, 1916 წ., № 21, 28 იანვარი) დ. კასრადის ანგარიში – აუგად იხსენებს. ეს ის მოგონება ხომ არ არის?“

გვ. 436. მოხაზულია მესამე აბზაცი და მიწერილი: „იხ. „კიტა აბაშიძე და მისი ფარხმალი“.

გვ. 438. მესამე აბზაცში: „აკაკი და ექიმბაში“ წინადადებას „აიღებდა ხოლმე საანგარიშოს“... ჩამატებული აქვს: „გრიგოლ ვოლსკი“.

7002–7009. აკაკის საიუბილეო კრებული. ტფ., 1908.

კანის მე-4 გვერდზე: „პატივცემულ და საყვარელ იოსებ გრიშაშვილს – გიორგი გიორგიძე. 1947 წ. 27/XII“.

კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „გრიგოლ დიასამიძე“.

თავფურცელზე ავტოგრაფები: „მოქანდაკე ი. ნიკოლაძე“ – „ვაჟა-ფშაველა“ – „ა. ყანჩელი“ – „შ. არაგვისპირელი“ – „კიტა აბაშიძე“ – „ვალერ. გუნია“. – „დ. ვედრებისელი“ – „ნ. ჯანდიერი“. – „ქეთო ანდრონიკოვა-კახიძისა“. „ვახტანგ ღამბაშიძე“ – „გიორგი ლასხიშვილი“ – „თ. რაზიკაშვილი“ – „ს. ფირცხალავა“ – „სოსიკო მდივანი“ – „პ. აკობია“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან. ი. გრ“.

წიგნში ჩადებულია გადაბეჭდილი პასიკო ლორთქიფანიძის ლექსი: „საბჭოთა ხალხის ზეიმი“.

„ზეიმი ვარდათ გაშლილა  
დროშა ფრიალებს ბანზედა  
რამდენი კარგი რამ თქმულა  
ბრძოლების მონაგარზედა.  
ჩვიდმეტი წელის ნაზარდი  
დგას სწორუპოვარ გზაზედა  
სადარაჯოზე ბელადი  
არ გაიცვლება სხვაზედა.  
მეცა მწყურია ჭაღარას  
ვიდრე ვარ კიდევ ჯანზედა  
ამ მზე მოსწრებულ განთიადს  
ვუმღერო ახალ ჰანგზედა.

პასიკო ლორთქიფანიძე“.



7010. აკობია პ. უდროოდ დაკარგული შესანიშნავი ნიჭის პატრონი ალექსანდრე მესხია, როგორც მსხვერპლი საერთოდ მთელი ქვეყნის უკუღმართობისა და განსაკუთრებით კი ქართველთა შეუგნებლობისა. თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები ალექსანდრე მესხიასი და საუბარი თვითშემეცნებაზე პავლე აკობიასი. თბ., 1905.

7011–7012. ალავიძე მ. აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლე ჩხუმში. თბ., 1947.

კანზე: „ი. გრ. გვ. 71“.

7013. ალავიძე მ. ნარკვევები აკაკის მოგზაურობიდან. ქუთაისი, 1958. ცალკე ამონაბეჭდი ჟურნ. „რიონი“-დან, 1958.

კანზე: „სახსოვრად ძვირფას სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 6 X. 59“.

7014. ალავიძე მ. ქუთაისი ქართულ პოეზიაში. ქუთაისი, 1947.

კანზე: „ჩემს საყვარელ პოეტსა და მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს. ავტორი. 1. III. 48“.

7015. ალანია ნ. ქართული საბჭოთა პოემა. თბ., 1959.

7016. ანთაძე ი. დიდებული აკაკის ხსოვნას. – ამონაჭერი ჟურნ. „ნაკადული“-დან, 1915, № 1.

გვ. 43. „კურიოზი, გვ. 45“.

გვ. 45. ტექსტში ხაზგასმულია, რომ ბავშვი ეროვნულ შემეცნებას – აკაკის „მე პატარა ქართველ-ით იწყებს“. – გვერდით არშიაზე: „ეს ლექსი ეკუთვნის დუტუ მეგრელს“.

7017. ანტონ I კათალიკოსი. მზა-მეტყველება. პ. კარბელოვის რედ-ით. ტფ., 1892.

კანზე: „ი. გრ. თვითება, გვ. V“.

გვ. V. ხაზგასმულია: „ბრგვილი“ და მიწერილია: „ბლაგვი“. იქვე ხაზგასმულია: „თვითება“ და მიწერილი: „იხ. „ივერია“. სიტყვასთან „ინახითჯდომა“, მიწერილია: „მოინახე“.

გვ. VII. ხაზგასმულია: „მზის პირველი სხივი“ და მიწერილია: „ციაგი“.

7018–7019. ანტონ I კათალიკოსი. წყობილ-სიტყუაობა, თფ., 1853.

ყდის მე-2 გვ. და ფორზაცზე: „ანგელი, გვ. 98. ი. გრ“.

გვ. 318. ხელწერა: „ეს წიგნი ეკუთვნება იობა ყრუიშვილსა, ვინც, ეს წიგნი გამოსწიროს გაუწყრეს მამა ანტონის მადლი“. იქვე მეორე უცნობის ხელით მიწერილია: „ფული მიმიცია, ღმერთიც მომხმაროს და მამა ანტონიც“.

7020. ასათიანი ვ. აკაკი-ბელეტრისტი, ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1935, № 5.

7021. ასათიანი ლ. რჩეული ნაწერები. ტ. 1. თბ., 1958.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1958 წ. 17-V“.

ყდის მე-2 გვ.: „მე“, გვ. 352, 401, 434, 554, 659“.

7022. ასათიანი ლ. აკაკი წერეთელი. 1840–1915. თბ., 1945.

7023–7024. ასათიანი ლ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. 1796–1846. თბ., 1945.

7025. ასათიანი ლ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. ამონაჭერი ჟურნ. „მნათობიდან“, 1946, 9–10, გვ. 206–222.

წიგნის ბოლოს: „მნათობი“, 1946, 9-10, [გამოვიდა. 1947. 28 იანვ.]“.

გვ. გვ.: 207, 210-ხაზგასმულია ადგილები, რომელიც ი. გრ. ეხება.

7026. ასათიანი ლ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. თბ., 1949.

კანზე: „გვ. 5. ი. გრ“.

7027. ასათიანი ლ. გრიგოლ ორბელიანი. ნარკვევი. თბ., 1946.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 4/X. ჩემიდან, 125“.

გვ. 109. ხაზგასმულია: „მადათაშვილს“, მიწერილია: „მადათოვი“.

გვ. 125. ხაზგასმულია: „გრ. ორბელიანის ლექსი „დიმ. ონიკ-ის დარდები“, მიწერილია: „(ი. გრიშაშვილი)“. გვერდით არშიაზე: „იხ. ჩემი ილია ჭ-ძე და ქართ. თეატრი“.

7028–7030. ასათიანი ლ. ვოლტერიანობა საქართველოში. ნარკვევი. ტფ., 1933.

თავფურცელზე: „შესანიშნავ პოეტს, საინტერესო მკვლევარს და მეგობარს იოსებ გრიშაშვილს – ლევანისაგან. 3/XII 33 წ“.

ფორზაცზე: „1. 23 იანვარს, 1934. ელხში იყო ამ წიგნზე ა. ბარამიძის მოხსენება. 2. „სალიტ. გაზეთში“, 1934 წ., № 5, გვ. 4. 3. „მნათობი“, (ა. ბარამიძე) 1934, № 7–8. 4. „ლიტ. გაზეთი“, (ს. დევდარიანის) 1934, № 25. 5. „კომ-განათლება“. 1935, № 5“.

გვ. 83. ქვემოდან მე-2 სტრიქ. ხაზგასმულია: „ესტატეს-ძე“ და მიწერილი: ევსტატის ძის“, იქვე მიწერილია: „იასონი ამის შვილი იყო. მუსიკაზე აქვს წერილი“. ხაზგასმულია უკანასკნელ სტრიქონში „ქარელში“ და მიწერილი არშიაზე: „იხ. „ივერია“, 1889, № 233. ეს წიგნი შეუწირავს წ. კ. სახ. დავით როსტომის-ძე წერეთელს“.

გვ. 95. ხაზგასმულია: „ედიპი“, „ზაირა“, „ალზირა“ „ფრაგმენტალური“ და არშიაზე: „რატომ“.

გვ. 132. „კათალიკოსნი“, გვ. 204.

წიგნში ჩადებულია კონვერტი შემდეგი მასალით:

1. გაზეთიდან ამოჭრილი სეით დევდარიანის წერილი „საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. 1. ერთი ლეგენდა (ლევან ასათიანის – „ვოლტერიანობა საქართველოში“) მინაწერით: „ლიტ. გაზეთი“, 1934 წ. № 25“. 2. ამონაჭერი ჟურნალიდან ალ. ბარამიძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „მნათობი“. 1934, № 7–8“. 3. ქალაქები მინაწერებით: „1. ა. ჭ-ძე თარგმნიდა ალზირას და მამ რატომ თარგმნიდა? რა აზრი ჰქონდა, ვოლტერი უყვება ხომ. 2. დავით ესტატეს-ძე ციციშვილმა თარგმნა აგრეთვე „რობინზონ კრუზო“, 1861 წელს. (იხ. ცნობა „ივერია“, 1890 წ., № 28) და წ. კ. ხელნაწერი № 1475. კარიჭ. კატალ., გვ. 124. 3. ესტატე ციციშვი., იხ. კრებული წ. კ. ს. № 1512. ესტატე ციციშვი. და დავით ციციშვი. თარიღისათვის, იხ. პ. კარბელაშვილის „კათალიკოსნი“. 1900 წ., გვ. 203–204. 4. „ვოლტერიული კრესლა“. ეს სიტყვა ნახმარია მოთხრობებში („საქ. მოამბე“, 1863, H VII, გვ. 51. 5. ლევ. ასათიანის წიგნისთვის. ვოლტერი. 1889 წ. ამ სათაურით გამოვიდა ზ. ჭ.-ძის წიგნი. შიგ მოყვანილია ამბები ვოლტერისა საქართველოს შესახებ და მიწერ-მოწერა ეკატერინე მეორესთან (სადაც „საქართველოს“ ხსენებაც არის). „ივერ.“, 1889, № 213. 6. დავით ციციშვილი „სტროციის მღვიმე“, თარგმანი დავით ესტატის-ძის ციციშვილისაგან. ეს ხელთნაწერები იასონ დავითის-ძე ციციშვილს შეუწირავს წ. კ. ს-თვის (იხ. „ივერია“, 1890 წ., № 28)“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „თანშეზრდილ მეგობარს, საყვარელ ადამიანს – ბიჭიკო ყიფიანს ლევანისაგან. 15. III. 34“.

7031. ასათიანი ლ. ი. სტალინი და ქართული რევოლუციური პოეზია 1901–1907 წლების არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში. თბ., 1950.

კანზე: „ი. გრ. საკამათო, გვ. 28“.

გვ. 3. სქოლიოში ხაზგასმულია: „ცის ნამი“, (1907 წ.)“. არშიაზე: „იყო ორგანო ანარხისტებისა. (გ. გორდუხიანი და სხვ.). მეპურე სხირტლაძე ფიქტ. რედაქტორი“. ამავე გვერდზე სქოლიოში ხაზგასმულია: „მუშა-ბოლშევიკს დ. ხანდამაშვილს“. მიწერილია: „ვანო ხანდამაშვილი და არა დ. ხანდამაშ. იგი მუშა არ იყო, არც ბოლშევიკი. მასწავლებლობდა. საეჭვო კაცი იყო“.

გვ. 31. ქინძისთავით დამაგრებულია ქალაღდის ნაჭერი მინაწერით: „ინტერნაციონალი“. თარგ. განდგეილი. „ცნ. ფურცელი“, 1905, 2069, 11015“.

გვ. 39. ბოლოში ქინძისთავით დამაგრებულია ქალაღდის ნაჭერი, რომელზედაც წერია:

„[მზე ამოდის და ჩადის],  
მზე შუქს ჰფენს არემარეს  
ჩემს საკანში კვლავ ბნელა,  
დღე-ღამ მცველი ჩემს ფანჯარას  
გარს უვლის ნელ-ნელა.  
ნუ მდარაჯობთ... მე ისეც  
სად წაუვალ თქვენს ბრჭყალებს,  
მინდა თავისუფლება,  
მაგრამ ვერ ვლენ ბორკილებს.  
ეხ, ბორკილო, ბორკილო  
რკინავ შენ ჩემო მცველო  
ვაჰმე მე შენ ვერ დაგლენ  
ჩემო დამღონებელო.

თარგ. ბ. ახოსპ.

(„ფსკერზე“, 1907, გვ. 29–31)“.

ლექსის დასაწყისში: „ეს სიმღერაზეა“.

ქალაღდის მეორე მხარეს: „ამხ. ბუხნიკაშვილო გადაუბეჭდეთ და 1 ეგზემპლ. მიეცით ამხ. ი. გრიშაშვილს. ზ. კეცხოველი. 3/X“.

წიგნში დევს ქალაღდის 2 ნაჭერი წარწერებით: 1. „მიმინოს“ პატარა ფელეტონი და ლექსი „კადეტების თათბირი“, (სცენა) „მიმინო“ (იხ. „დრო“, 14. 27 მარტი). აკროსტიხი (ამხანაგ გიორგი თელიას) „მიმინო“, „დრო“, 1907, 18)“. 2. პატარა ფელეტონი [...ძან ყარაჩოღელი გამოდგა ი. ნაკაშიძე]. „ნესტარისა“. „ნესტარი“ (უეჭველად ი. ევდოშვილია). იხ. „დრო“ (ბოლშევიკების), 1907, 5“.

7032. ასათიანი ლ. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ., 1955.

ფორზაცზე: „მე და ჭიაურელი, გვ. 171, ი. გრ“.

7033. ასათიანი ლ. სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები. ნარკვევები. [თბ.], 1954.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 10/III“.

7034. ასათიანი ლ. ქართული მწერლობა. წერილების კრებული. თბ., 1949.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს, სახელოვან პოეტს და მკვლევარს – პატივისცემისა და მეგობრობის ნიშნად უძღვნის ამ მცირე შრომას ავტორი. თბილისი. 25. II, 49“.

7035. ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბ., 1940.

შმუცტიტულზე: „ქართული პოეტური სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, საქართველოს სახელოვან მგოსანს ი. გრიშაშვილს მეგობრული პატივისცემით და სიყვარულით ლეგან ასათიანისაგან. თბილისი, 10 დეკემბერი, 1940 წ.“.

ფორზაცზე: „ი. გრ. მე-გვ. 433, 449, 458, 481. 1. აკაკის „ხუმარა“ ჩემი წერილიდან გაუკეთებია, გვ. 433. 2. ვორონცოვი, გვ. 449. ვ. გილიაროვსკი – აკაკის მთარგ., გვ. 473“.

ფორზაცის მე-2 გვ.: „შევიჩენკოზე, 143; შეცდომა 209, 328, 245, 382. ბაზილევსკი, 212; იარანალო ხარაბუზა, გვ. 258; ამ საღამოზე პირველად მე დავილაპარაკე, იხ. ჩემი „ილია და თეატრი“ (გვ. 291); „ბუტიაობა?“ 292; აკაკის ლექციები შოთა რუსთ., 326;

„იავნანა“ რუსულად, 381; „გოგია მეჩონგურე“ რუსულად და მისი მთარგმნელი ო. ტიბლენი, გვ. 382. „მედეია“, 404“.

ამონაჭრები გაზეთიდან: 1. ლ. ასათიანის წერილი „აკაკი და სხვიტორელი გლეხები“, იქვე მიწერილია: „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 6“. 2. ვლ. ნორაკიდის რეცენზია ლ. ასათიანის წიგნზე „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, მიწერილია: „ლიტ. და ხელ“, 1944 წ. № 23“ 3. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის კ. კეკელიძის მიმართვა ი. გრიშაშვილს, 1945 წლის 30 მარტს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დასასწრებლად, მინაწერით: „ლევ. ასათიანის არხივში! ი. გრ“.

გვ. 89. „ჩემგან“.

გვ. 105. სქოლიოში მიწერილია: „იხ. ანდრეევსკის „მოგონებანი“. ეს წიგნი იშვიათია, მე ძლივს შევიძინე. ი. გრ“.

გვ. 131. ქვევით არშიაზე: „კავკაზი“.

გვ. 193. აკაკის ლექსის „სალამურის“ სტროფის გასწვრივ მიწერილია: „ი. კერესელიძის მიბაძვაა. ი. გრ“.

გვ. 209. მოხაზულია სიტყვა: „გაზ“, მიწერილია: „ჟურნ“.

გვ. 234–235. ხაზგასმულია „1868 წელს მას ცოტაოდენი უსიამოვნება მოუხდა „დროების“ რედაქციასთან“, მიწერილია: „ბ. ჯორჯაძე, მ. ბეთანელის გამო“.

გვ. 238. ხაზგასმულია: „კომედია „ძველსა და ახალს შუა“ (დაიბეჭდა „ცისკარში“, 68 წ. № 3), მიწერილია: „№ 6 (ივნისი). ი. გრ“.

გვ. 239. მე-5 აბზაცში მოხაზულია გვარი: „მუხადის“, მიწერილია: „მუხადის“.

გვ. 241. პირველი აბზაცი მოხაზულია, არშიაზე: „სიმ. ხუნდაძე“.

გვ. 258. სქოლიოში პირველი შენიშვნა მოხაზულია, ხაზგასმულია სიტყვა: „გამოაქვეყნა“, მიწერილია: „პირველად“.

გვ. 291. მოხაზულია აბზაცი, ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე მიწერილია: „ჩემით“.

გვ. 292. ხაზგასმულია და დანიშნულია ადგილი, ქვევით არშიაზე: „იქნებ „ბუტიაობა“, ი. გრ“.

გვ. 309. ხაზგასმულია: „დროების“ ერთი რეცენზენტი წერდა“... მიწერილია: „ეს ერთი რეცენზენტი მგონი ნ. ნიკოლაძეა ი. გრ“.

გვ. 310. დანიშნულია: „უ-ს“, არშიაზე: „პეტრე უმიკაშვილია. ი. გრ“.

გვ. 322. ბოლო აბზაცში დანიშნულია: „გ. არწრუნის შენობა“... არშიაზე: „ეს იყო მისი მამის იერემია არწრუნის შენობა“. იმავე აბზაცში ხაზგასმულია: „რომლის საკონცერტო დარბაზიც“... არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 332. ქვემოდან მე-2 აბზაცის გასწვრივ: „მიხაილოვი?“.

გვ. 333. ქვემოდან მე-3 აბზაც. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „წელი?“

გვ. 347. არშიაზე: „იხ. ჩემი რედაქციით, აკაკი, ტ. 3, ი. გრ“.

გვ. 361. ხაზგასმულია ფსევდონიმი: „კავთელი“, მიწერილია: „ივ. ჯაჯანაშვილი. ი. გრ“.

გვ. 377. ხაზგასმულია: „21 ნოემბერს ქართულმა დასმა პირველად წარმოადგინა აკაკის დრამატული პოემა „პატარა კახი“, მიწერილია თარიღი: „1890“.

გვ. 382. სტრიქონის „იმ გაზაფხულზე ქუთაისში დაარსდა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა“, გასწვრივ არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 396. ხაზგასმულია: „ილიამ, „ფირუზას“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა“... მიწერილია: „მერე მეც ვწერდი ამ ჩემთვის შერქმეულ სახელით! „ფირუზა, ი. გრ“.

გვ. 449. მოხაზულია ბოლო აბზაცი, არშიაზე: „ჩემი თარგმანია“.

გვ. 475. აბზაცში: „ამ ხანებს ეკუთვნის აკაკის ერთი შესანიშნავი ლექსი „მომაკვდავის ფიქრები“, ჩაწერილი გრამაფონის ფირფიტაზე“, ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 487. ჩამოთვლილია პოეტთა გვარები, წიგნის ავტორის მიერ ჩაწერილია მელნით: „ი. გრიშაშვილი“, მიწერილია: „ლ. ასათიანის ხელია. ი. გრ. P. S. ტფ. ოთხი პოეტი გაგვგზავნეს აბაშელი, შანშ., ქუჩ. და მე“.

ფორზაცის მე-4 გვ. „მე-გვ. 481, 433, 449, 258 – ი. გრ“. იქვე ამონაჭერი გაზეთიდან, მ. დავითაშვილის რეცენზიით ლ. ასათიანის წიგნზე „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, მიწერილია: „Заря“, 1941, № 36, 13 თებ“.

7036. ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ჩემი-გვ. 493, 494“.

გვ. 493. მოხაზულია გრიშაშვილის მოგონება ტარას შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საღამოს შესახებ, რომელზედაც აკაკი წერეთელიც გამოვიდა.

7037. ასათიანი ლ. ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გამოკვლევა და ტექსტები. [თბ.], 1936.

გვ. 34. არშიაზე: „თუ ერთი რუსეთს ჰბაძავს, მეორეც ხომ ჰბაძავს? – ქართულს? ბაძვა-ბაძვაა“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „ელგუჯას შესავალი და ბოლო კი ეხება ბატონყმობის გადავარდნილ ხანას“ – არშიაზე მიწერილია: „პროლოგი და ეპილოგი“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „ჩვენი და უცხო მწერლების გავლენის ქვეშ...“ და მიწერილი არშიაზე: „მამის მკვლელიც“ ხომ „ვეფხისტყაოსნის გავლენით დაიწერა?“

გვ. 43. ხაზგასმულია: „დილა ქორწილის შემდეგ“ და არშიაზე მიწერილი: „ეს ვოდევილი თარგმანია იხ. Список пьес, გვ. 68. ურუსოვისაა“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „ქიარიმ ბორჩალოელი ყაჩაღი“ და მიწერილი არშიაზე: „მერე დასწერა ივ. მჭედლიშვილმა. ჰაზირას სიტყვით კი – მჭედლიშვილმა ითხოვა, ჰაზირასაგან პიესა და აღარ დაუბრუნა“.

გვ. 44. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია „მან“ და მიწერილი: „შეიძლება ეს მოთხრობაც დიმიტრის მივაკუთვნოთ – იმანაც ვერ დაამთავრა“.

გვ. 48. ხაზგასმულ-მოხაზულია 4 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ცოლი მან ერთხელ სიზმარში ნახა“... არშიაზე მიწერილია: „კაცო, ეს პიესაა, პიესაა, აქ ათასი კაცი ლაპარაკობს და ყველა ხომ ავტორი არ არი?“ მოხაზულია ბოლო აბზაცი, ხაზგასმულია: „დილა ქორწილის შემდეგ“ და მიწერილი არშიაზე: „ეს კომედია სანდრომ თარგმნა რუსულიდან დ. აწყურელის საბენეფისოდ. მისი ავტორია ურუსოვი (გვ. 68 список пьес).“

გვ. 49. მოხაზულია 15 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ავიღოთ, თუ გნებავთ, „არსენა“-დან“... და მიწერილი არშიაზე: „მალიან სუსტი საბუთია“.

გვ. 56. ხაზგასმულია: „მამულისადმი სიყვარული“ და მიწერილი არშიაზე: „კონსტანტინე ბატონიშვილში ცოტაა მამულის შესახებ ლაპარაკი?“.

გვ. 57. მოხაზულია პირველი ორი აბზაცი და არშიაზე მიწერილია: „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების განმეორება“.

გვ. 59. მოხაზულია 5 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „პოეტი ფერადებს ართმევს ცისარტყელას“... და მიწერილი არშიაზე: „აკაკის ლექსიც ასეთი სურათოვანია, ბელინსკის მიბაძვით?“

გვ. 62. ხაზგასმულია „პოლი“ და მიწერილი არშიაზე: „თაბუნი რუსული სიტყვააო, პოლი?“

გვ. 67. ხაზგასმულია: „მტრედი, გვ. 936“ და მიწერილი: „ავტორის ნაკლი ის არის, რომ მოთხრობების გადაჯგუფებაში სცდება. სწორი ანალიზის შემდგომ შეიძლება, რომ მტრედიც დიმიტრის ეკუთვნოდეს, მაგრამ სანდროს დაემახინჯებინოს, მაშასადამე, გადაჭრით თქმა ეს პირველს ეკუთვნის, ეს მეორესო – ნაადრევია“.

გვ. 73. ხაზგასმულია: „მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა“... და არშიაზე: „თუ მოკლე ხანში შევადგინა 21 პიესა და თქვენ ეს გჯერათ, მაშინ რა გასაკვირველია, რომ ამავე მოკლე ხანში დაეწერა ბევრი მოთხრობებიც. პიესებში დამარცხდა, მოთხრობებში გაიმარჯვა. სანდრო ნაყოფიერი მწერალი იყო“. რკალშემოვლებულია სიტყვა: „დანარჩენი“ და მიწერილი: „სიცრუეა! 21 პიესა არხივში არ არის“...

გვ. 74. მოხაზულია 9 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „1880 წლის „133 №-ში“... და არშიაზე წერია: „რა ქართული დალაგებაა“. იქვე მოხაზულია 6 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „შეუძლებელია და წარმოუდგენელიც“... და მიწერილი არშიაზე: „რატომ? აქ რომ გააბრაზეს, სხვა თემა აიღო სახელის მოსახვეჭად... და ვისაც თავისი ზვიადობა არა სწამს, ის ვერაფერს შეჰქმნის“.

გვ. 75. მოხაზულია 4 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ასეთი ინტენსიური“... – არშიაზე მიწერილია: „21 პიესის დაწერა“?

გვ. 78. ხაზგასმულია: „კლეპტომანია mania grandiosa“ და მიწერილი არშიაზე: „ნუთუ ამ დროს ერთხელ მაინც არ წამოსცდა: „მე გატყუებთ! ელგუჯა სხვას ეკუთვნის“...

გვ. 80. მოხაზულია 7 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „თუ მივიღებთ მხედველობაში“... და მიწერილი არშიაზე: „რა ამის საქმეა (ექიმის)? ვინ უთხრა, რომ მის ნაწერებზე ილაპარაკოს?“

გვ. 81. ხაზგასმულია: „ცნობილია, რომ ასეთს დეგენერაციის პერიოდში შემოქმედებითი ნიჭი შესამჩნევლად ჩლუნგდება“ – მიწერილია არშიაზე: „ზოგი ექიმი ამბობს, პირიქით ძლიერდება და მალე კი ჰქრებაო“.

გვ. 82. მოხაზულია პირველი აბზაცი და არშიაზე: „თუ ასე იყო ავად, მაშინ ვერც გადაწერას მოახერხებდა“. ხაზგასმულია: „იმ ლიტერატურულ პერიოდში (1880–1885)“ – არშიაზე: „თუ ამ წლებს შორის არ იყო – უფრო უკეთესი – ჩანს ელგუჯა დიმიტრის სიცოცხლის ბოლოს იწერებოდა“.

გვ. 84. უკანასკნელ სტრიქონში ხაზგასმულია: „ა. ახნაზაროვი“ და მიწერილი: „სულ სხვას წერდა“...

გვ. 85. არშიაზე ტექსტის წინ „თუ არხივის ქაღალდებს თარიღი არ უზის – როგორც ამას ზევით ამბობთ – მაშ რა იცით, რომ ეს ნაწერები 1880–1885 წელს ეკუთვნის? იქნება პირველად დაწერილი შემოქმედება?“

გვ. 85. ხაზგასმულია: „გ. თუმანიშვილი, ეკატერინე მესხი, ა. ახნაზაროვი“ და არშიაზე: „დ. კლდიაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი“.

გვ. 86. მოხაზულია მუხლი ა და ბ და არშიაზე: „კარგია“.

გვ. 87. ხაზგასმულია: ...“შინ გამზადებულ მასალითა სცვლიდა... სპეციალური ეჭვი მის ნაცნობებს ამ დროს აღძრული არა ჰქონდათ, რასაკვირველია, ამ მიზნით ისინი მას არ ადევნებდნენ თვალს“ – არშიაზე მიწერილია: „თუ შინ გამზადებული მასალით სცვლიდა“. ნუთუ მელანი და ქაღალდი რედაქციის და სახლის ერთნაირი იყო, რედაქცია არ მოტყუვდებოდა“. იმავე გვერდზე, ხაზგასმულია: „გარკვეული ცნობებია 1881 წლიდან“, არშიაზე მიწერილია: „ვითომ?“

გვ. 109. ხაზგასმულია: „შვილსაც კი არა სცოდნია გასაღების ხერხი“, არშიაზე: „რა გასაკვირველია, რომ არ იცოდეს, 11 წლისა ყოფილა“. ხაზგასმულია: „...უდოკუმენტებოდ დარჩა“ და მიწერილია: „ეს სისხლის სამართლის საქმე, ნუ თუ ცოლმა, შვილმა შეარჩინა შემდეგში? იქნება ფულსაც ინახავდა ოჯახისთვის, რატომ მაშინვე არ გამოიძიეს „დოკუმენტები“, ხომ საჭირო იყო დამარხვისათვის?“

გვ. 110. რკალშემოვლებულია თარიღი – „1894 წ“. და მიწერილი: „ეს მოხდა დიმიტრის გარდაცვალების 14 წლის შემდეგ“.

გვ. 111. ხაზგასმულია სიტყვა: „შემდეგში“ და არშიაზე მიწერილია: „აღსრულდა“.

გვ. 113. ხაზგასმულია: „დამსწრე და მოწმის“ და არშიაზე: „ზევით ამბობთ, რომ დიმიტრი რომ გარდაიცვალა დიმიტრისიანი არავინ იყო და ალექსანდრემ გატეხა განჯინაო, თუ არავინ იყო ალექსანდრესი და ორი მსახურის გარდა, მაშინ ეს ელისაბედ როგორღა იქნებოდა „მოწმე და დამსწრე?“

გვ. 114. ხაზგასმულია: „გოლიათს ჭკუას ვერ მისცა საზრდო ნაყოფის გამოცემისათვის“ და არშიაზე: „ნაყოფი რომ ჰქონოდა, მაშინ თავის „მავნე სულთან“ ერთად სხვა მოთხრობებსაც დასწერდა. წერდა და არავის უკითხავდა. განა ფიქრად არ გაგზავნა უმიკაშვილთან „მავნე სულელები“. ხაზგასმულია: „სანდროს ცხოვრება... ჩვენის მწერლობის... დიმიტრის ცხოვრება მინდა გავიგო, როგორც კაცისა...“

ნაკლულევანებით“... არშიაზე მიწერილია: „სანდრო როგორც მწერალი და დიმიტრი როგორც კაცი“ – დააკვირდით ამას“.

გვ. 115. ხაზგასმულია: „რასაკვირველია, პატივის ღირსია, ვინც რომ შეჰმატა ქვეყანასა და დაუტევა ნამუშევარი“... არშიაზე: „სანდრო“. ხაზგასმულია: „ცხოვრების უკულმართობამ გზა შეუკრა ნათელისა და სიკეთის გამოშუქებისათვის“, არშიაზე მიწერილია: „დიმიტრი“.

გვ. 116. ბოლოში ხაზგასმულია: „საინტერესოა მისი კარგა მოზრდილი ლექსი, ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების გამო დაწერილი – ეს ლექსი მოყვანილი აქვს ელისაბედ ყაზბეგს“, არშიაზე მიწერილია: „რატომ არ მოგყავს ერთი ორი ნიმუში?“

გვ. 117. ხაზგასმულია: „მიხეილი“ და არშიაზე მიწერილია: „სანდროს მამა“.

გვ. 118. ხაზგასმულია: „ძალუა კეკე“ და მიწერილია: „სანდროს დედა?“.

გვ. 122. მოხაზულია 14 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „ყველამ შინაურმა და გარეულმა“ და მიწერილია: „ვინაიდან ეს „მემუარები“ დაწერილია ორი კაცის სიკვდილის შემდგომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ზანდუკელისთვის“.

გვ. 125. ხაზგასმულია: „ჯვარს თუმცა არ დავიწერ“, არშიაზე მიწერილია: „ეგრად ვაშკაცობაა? მერე მაშინდელ პატრიარქალურ დროს. თუ ჯვარი არ დაიწერა ტასოზე ხალხს მარტო ამით უნდა შესძულებოდა“.

გვ. 126. მოხაზულია 9 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ფიზიკურად მართალი დედაკაცი“... და არშიაზე მიწერილია: „კარგია“.

გვ. 129. ხაზგასმულია: „არაყს ისე არ დაღვევენ“... და არშიაზე: „დიმიტრი, ამბობენ, არყის ლოთი იყოვო, მართალია, ზანდუკელო? ეს სილოთე სანდროს რომ ჰქონოდა ქვეყანას შესძრავდი“. ხაზგასმულია: „ხელნაწერები კი იატაკს ახადეს და იმის ქვეშ დამალეს“, არშიაზე მიწერილია: „ელგუჯაში და სხვაგან, რომ რუსებზეა ლაპარაკი, შეიძლება ეს ხელნაწერებიც დასწვა ან ჩაჰყარა იატაკს ქვეშ და დაიღუპა“? – იმავე გვერდის ბოლოს არშიაზე: „იქნება ნაწერებიც დასწვა – თუ ჰქონდა“...

გვ. 130. ხაზგასმულია: „... იმისი მამა-ბიძათ, მიხეილმა და ნიკოლოზმა“... – არშიაზე მიწერილია: „ნიკოლოზიც. (დიმიტრის მამაც. ავი არაო... მიხეილი ცუდათ გაქვთ დახასიათებული, ნიკოლოზი კარგათ.)“.

გვ. 131. რკალშემოვლებულია სიტყვა „ხელნაწერები“ და არშიაზე წერია: „ხელნაწერს, რომელზედაც მერე „იწუხებს“ პოეტი, ჩამადანში არ ჩასდებს, თუ ჩასდებს თითონაც თან გაჰყვება – შეიძლება წიგნები იყო და იმას სწუხდა“, იქვე მიწერილია: „ხან ამბობთ, რომ მთის ცხოვრება შეისწავლა და იმიტომ შექმნა მოთხრობებიო, თუ მართლა ჩამადანში ხელნაწერები ჰქონდა, ჩანს ელგუჯა და სხვა ჰაიდელბერგში შეიქმნა. „ხელნაწერები“ ჩამატებულია“. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „ყველა ნაცნობი აღნიშნავს“ და მიწერილია: „ზეპირად?“

გვ. 132. მოხაზულია მთლიანად პირველი აბზაცი: „ხევისბერი გოჩას ამბავი“ და არშიაზე: „ეს ამბავი შეიძლება დიმიტრიმ ამბად დასტოვა და ალ. ყაზბეგმა გაამოთხრობა. განა „თქმულებანი“ ყაზბეგს კი გამოეპარებოდა?“

გვ. 133. ხაზგასმულია მესამე აბზაცში: „იმავე ოთახში“... და მიწერილი არშიაზე: „ე. ი. დუქნის (მიკიტნის ოთახში). ეს რომ სანდროს ჩაედინა, თქვენის ლოდიკით „ისეთი კარგი ნაწარმოები, როგორც ელგუჯაა“, დუქანში არ დაიწერება. მაშ რას უსაყვედურებთ სანდროს რედაქციაში წერასა. თუ გეგმა გაქვს, გაგრძელება ამისი ყველგან შეიძლება“. იმავე გვერდზე რკალშემოვლებულია სიტყვა „მან“ და მიწერილი არშიაზე: „ჰო შვილმა“.

გვ. 134–135. ხაზგასმულია 4 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „ოთახჩიგა და არავის იკარებდა“... მიწერილია არშიაზე: „ამ გზით სანდროცა წერდა. ჩაჰკეტავდნენ რედაქციაში და წერდა“.

გვ. 135. ხაზგასმულია: „მავნე სულები“ – არშიაზე: „ძაან უნიჭო ნაწარმოებია“. მოხაზულია სქოლიოში მოთავსებული შენიშვნა და არშიაზე მიწერილია: „შეიძლება აღმოჩენა თუ დააკვირდები, მაგრამ ტყუილია“.

გვ. 137. ხაზგასმულია: „დ. ყაზბეგი წერდა“ – არშიაზე: „მერე? წერდა, ჰო, წერდა, თუ ამით დაკმაყოფილდები – წერდა“.

გვ. 138. მოხაზულია 5 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „დიმიტრის ნაწერი სცენა“... – არშიაზე მიწერილია: „ამის შემდეგ უნახავს ჩანს და მოსწონებია, დაბეჭდა“. – იქვე ხაზგასმულია: „ფიდოსაგან... რომელმაც გადმომცა დიმიტრის ხელნაწერი“... არშიაზე მიწერილია: „თუ არ აქვეყნებდა, მაშ ფიდომ საიდან ჩაიგდო?“ იმავე აბზაცში მოხაზულია 5 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ნუთუ ეს მოწმობა“... და არშიაზე: „საიდან – შემთხვევით ხომ იმავე კრებულში წერია“ ითანამშრომლებს ამიერიდან დ. ყაზბეგიცო“. იქვე ხაზგასმულია: „ავტორის დაუკითხავად და ნებადაურთველად“ და მიწერილი: „მერე ხომ მოიწონა სათაური“.

გვ. 138. უკანასკნელ სტრიქონს: „ალბად, ელოდა უკეთესს და შესაფერს დროს“ – მიწერილი აქვს: „შესაფერი დრო იყო ჩხრეკის ხანა – როცა ვილაცას გაატანა თავის წიგნები და მან დასწვა“.

გვ. 139. ხაზგასმულია: „მისი ცხოვრება და მოქმედება“ და მიწერილი: „მავნე სული!“ იმავე აბზაცში ხაზგასმულია: „გაუვალ ბურუსს ვერა ძლევს“ და მიწერილი არშიაზე: „შენ?“

გვ. 147. მოხაზულია 4 სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „მომძეთ მოლალატე“... და არშიაზე მიწერილია: „ეს კი გოგოლის „ტარას ბულბას“ მიზაძვა არ არის?“

წიგნის ბოლოს სუფთა გვერდზე წერია: „1. რატომ არაფერს ამბობს იმ ფაქტის შესახებ, რომ ელგუჯას გაგრძელება მოხდა ასოთაამწყობთა მიმართებით? 2. ნამწყემსარის მოგონებანი ვისია? ფრანგების შეხვედრა მთაში, უვაროვი და სხვ. (იხ. ხახანაშვილის წერილი „Новое обозрение“)“.

კანის მე-3 გვ. წერია: „Утро после свадьбы. Вод в 1 д. Уварова, пер. А. Казбек. გვ. 68. Список пьес на груз. языке, 1927.“

7277. ზანდუკელი მ., ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი? კრიტიკული გამოკვლევა. ტფ., 1925.

კანზე: „ი. გრ. 1925. 28. XII“.

კანის მე-2 გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი „დამსწრეს“ წერილი „ერთი ფუჭი ლექციის გამო“ მინაწერით: „კომ.“ 1938 წ., № 120. 28 მაისი“.

7278–7282. ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა. ტფ., 1932. 1934.

ტ. 1., 1932.

სუპერზე: „ბოლოში ამ წიგნის კრიტიკაა; ა. ჭ-ძე, გვ., 149, 161, 206; სოლომონ რაზმაძის თარგმანი „ფარისი“, გვ. 270“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1933, 30/III. მივეცი (ბუკინისტებთან ვიყიდე) 15 მან. გვ. 189. პ. ინგოროყვა, ს. ჩიტორელიძე და მე“.

გვ. 175. მოხაზულია თარიღი: „1800“, გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშანი და მიწერილია: „გრიგოლ ზურაბის-ძე, დაიბადა 1804 წელს“.

გვ. 233. წინადადებაში: „ნ. ბარათაშვილი ამ ჟურნალის აქტიური თანამშრომელი ყოფილა“, ხაზგასმულია: „აქტიური“ და არშიაზე მიწერილია: „არა“.

გაზეთიდან ამოჭრილი გ. საამოვისა და ვ. აქბარდიას რეცენზია „მავნე ღუმილი“ მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937 წ., № 208, 10 სექტ.

წიგნში დევს გაზეთ „კომუნისტის“ 1937 წ. 21 აპრილის ნომერი წარწერით „იოსებ! გიგზავნი საუკეთესო სურვილებს და „ფარის“ დაპირებისამებრ. იასამანი, 30/XI, 37. „ფარისი“ (ჩემი თარგმანი). გაზეთის ამ ნომერში დაბეჭდილია ა. მიცკევიჩის ლექსი „ფარისი“.

ტ. 2. 1933 [კანზე: 1934].

თავფურცელზე: „დიდად პატივცემულ ნიჭიერ მგოსანს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 5. IV–34“.

კანზე: „ი. გრ. 1934. 5 აპრ“.

ტ. 3. ნაწ. 1. 1936.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1936-28-V“. იქვე: „1. შეცდომა, გვ. 172. ზაქ. გულისამვილი გარდაიც. 1914 წ. 2. ტატალა სტ. ჭრელაშვილიაო, გვ. 40 გრ. ყიფშიძეც ამას ამბობს: იხ. „საქართველო“, 1917, 5. მე მგონი ს. მგალობლიშვილიც წერდა ამ ფსევდ“.

გვ. 422. სარჩევის ბოლოს: „აკლია 8. მელანია (ნათიძე)“.

წიგნის ბოლოს: „ამ დღეებში გარდაიცვალა მიხ. გიორგის-მე გურგენიძე რედაქტ. „იმედისა“, („დროება“, 1885 წ. 4. გვ. 4). იხ. ს. მგალობლიშვილის მოგონება „ლომისი“, „ქართული სიტყვა“.

7283–7285. ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა უმაღლ. პედ. სასწავლებლებისათვის. მე-2 შესწ. გამოც. ბათომი თბ., 1935–1939.

ტ. 1. 1935.

კანზე: „ი. გრ. ჩემი შენიშვნა, 209“.

გვ. 209. სქოლიოში ხაზგასმულია: „გამოცემებში იელვა – ეს გაუგებრობაა. იელვა აქ უადგილოდ არის ნახმარი უნდა იყოს ილვეა“... მიწერილია: „რომელში? ყველაში? მხოლოდ ერთ პატარა გამოცემაშია (იხ. ცოდნას-გამოცემა 1904) და ღირდა ამის თქმა. ძველ დანარჩენის 5 გამოცემაში ყველგან „ილვეაა ი. გრ“.

ტ. 3. [ნაწ. 1–2]. 1939.

7286–7287. ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა. მე-3 შესწ. გამოც. თბ., 1954–1955.

ტ. 2. 1954.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 1. XII“.

ბოლო ფორზაცზე: „შენი შეცდომა სჯობია, (აკაკი) – 369“.

ტ. 3. 1955.

7288. ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა. მე-4 შევს. და შესწ. გამოც. ტ. 1. თბ., 1956.

7289. ზანდუკელი მ. ახალი (მე-XIX-ე საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორია. განაკვეთი 4–8. ტფ., 1932. – ტექსტი ლითოგრაფირებულია.

7290. ზანდუკელი მ. ახალი (მე-XIX საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორია. განაკ. № 1–5 ტფ., 1933–ტექსტი ლითოგრაფირებულია.

კანზე: „ი. გრ. ა. ჭ-ძე, გვ. 8“.

7291. ზანდუკელი მ. გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება. [თბ., 1926]. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან. 1926, № 8–9, გვ. 177–209.

აკინძულია ი. გრ. მიერ.

გვ. 199. ხაზგასმულია: „ლხინის პაპა სახით არაბისტნელი“, მიწერილია: „– მირზაჯანა“.

გვ. 201. ხაზგასმულია: „ამიტომ შეძლო მან ასეთის ოსტატობით განეჭვრიტა ყარაჩოდელთა გულის მოძრაობა“... მიწერილია არშიაზე: „ეს სიტყვები ეკუთვნის ნ. ნიკოლაძეს, იხ. „კრებული“, 1873, № III, გვ. 169. აღებული, აქვს ჩემი საიათნოვადან, გვ. 56“.

7292. ზანდუკელი მ. გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან 1926, № 7(27) გვ. 47–64.

შეკერილია წიგნად ი. გრ. მიერ.

გვ. 59. ხაზგასმულია არაკის „დათვი და ცხვარი“ – სათაური და მიწერილია: „ეს ლექსი უეჭველად ეკუთვნის სოლომონ რაზმაძესო. ასე ამბობს ს. ხუნდაძე, იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 14. ი. გრ“.

გვ. 62. „ეს ლექსი აკაკისაა, გვ. 63. გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წელს. ვოსტორგოვი? გვ. 64. ლექსის ბოლოს: „აკაკი“. იქვე: „მნათობი“, 1926 წ., № 7. (ეს ლექსი აკაკისაა და დაბეჭდილი იყო ქუთათურ ჟურნალ „თავისუფლება“-ში, 1917. № 1), P. S. მ. ზანდუკელის ამ წერილზე შენიშვნა ჰქონდა P-ს (ქრისტ. რაჭველიშვილს) „ზარია ვოსტოკაში“ სადაც პირველმა მიუთითა, რომ ეს უკანასკნელი ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“ ეკუთვნის აკაკის და არა გრ. ორბელიანსო, იხ. „Заря Востока“, 1926 წ. 15 სექტემბრის №-რი“.

7293. ზანდუკელი მ. ვაჟა-ფშაველა. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 17 IX. შუშპარო, 287, ქიზიყური და ფშაური; პ. მირიანაშვილი, 249“.

გვ. 286. მოყვანილ ლექსში ხაზგასმულია: „არაგვო, უყარაულე ომში მიმდინარს ლაშქარსა“, შემდეგი ოთხი სტრიქონი მოხაზულია და მიწერილი არშიაზე: „შესანიშნავია. ი. გრ“.

გვ. 289. ხაზგასმულია პირველ სტრიქონში: „ხალხში გავრცელებული აფორიზმი“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „შოთა“.

7294. ზანდუკელი მ. თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში. (ისტ.-ლიტ. გამოკვლევის ცდა). ტფ., 1928.

კანზე: „ი. გრ. გვ. 66. ჩიტორელიძე: გვ. 201. ტატალა“?

თავფურცელზე: „ი. გრ. 1929. 16. I“.

გვ. 67. სქოლიოში მოხაზულია მეორე შენიშვნა და არშიაზე მიწერილია: „ეს მე ყველაზე უწინ ვსთქვი. ამ წიგნის ავტორს უნდა სცოდნოდა, იხ. „ბოჰემა“, გვ. 13, 148“.

გვ. 200. სქოლიოში, მესამე შენიშვნაში გახსნილია ინიციალები: „ნ-ო ხ-ი“: „ნიკო ხიზანიშვილი“.

გვ. 201. სქოლიოში ხაზგასმულია მესამე შენიშვნა და მიწერილია: „მე ხომ გამოვარკვით ვინც იყო: ტატალა იყო სტ. ჭრელაშვილი, იხ. „ბოჰემა“, გვ. 148“.

წიგნის ბოლოს თავისუფალ გვერდზე: „რეცენზია იყო „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1929, № 457, 23 მარტი გ. მეზუკესი“.

კანის მეოთხე გვერდზე: „სადავსიტყვაობა (პროზა) სადავო“.

7295–7296. ზანდუკელი მ. ლიტერატურული ნარკვევები, წ. 1. თბ., 1957.

7297. ზანდუკელი მ. რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში. [თბ., 1927] – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1927, № 1, გვ. 194–221.

აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ და ხელნაკეთ კანზე: „ა. ჭ-ძე, 206“.

7298. ზანდუკელი მ. ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგია. სახელმძღვ. უმაღლ. სასწავლ. ტფ., 1934.

კანზე: „ი. გრ. 1937. II X“ №. იქვე: „სახელგამში (ოლგას ქუჩა) ვიყიდე. ილიას პიესა „კაცია-ადამიანი“, გვ. 96“.

7299–7300. თავაძე ა. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. თბ., 1954.

7301–7303. თავზიშვილი გ. ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხის ტყაოსანში“. თბ., 1937.

შმუცტიტულზე: „ძვირფას მეგობარს სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 28. IV. 38“.

ფორზაცზე: „ხანაგა-45“.

წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი შ. ჯიქიას წერილი „მახინჯი ციტატები“, მინაწერთა „კომ“, 1938, № 64, 20. III“.

7304. თავზიშვილი გ. იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება. თბ., 1949. კანზე სათაური: „იაკობ გოგებაშვილი“.

კანზე: „იაკობი თავს იხრჩობდა. გვ. 15. ი. გრ“.

7305. თავზიშვილი გ. სოფრომ მგალობლიშვილი. თბ., 1956.

7306. თაყაიშვილი ე. ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი. – ამონაჭერი.

7307. [თაყაიშვილი ე.] მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა? – ამონაჭერი ჟურნ. „მომბე“-დან, 1900, № 2.

გვ. 56. ტექსტის ბოლოს ავტორის ინიციალებთან „ე. თ“ – ექვ. თაყაიშვილი. ი. გრ“.

7308–7309. თევზაძე დ. სამი რომანი საკოლმეურნეო სოფელზე (კრიტიკული მიმოხილვა) სოხუმი, 1956.

ფორზაცზე: „ქართული წიგნის დიდ ქომაგს, მარად საყვარელ პოეტსა და ადამიანს იოებ გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. 1957 წ. ქ. სოხუმი“.

7310–7314. თორაძე ა. (ბესარიონ გაბაშვილის) ბესიკის ცხოვრება და შემოქმედება. ქუთაისი, 1919.

თავფურცელზე: „P. S. ეს წერილები, იბეჭდებოდა ქუთათურ გაზ. „ჩვენს ქვეყანა“-ში, 1919 წ., № 170, 171. ი. გრ“.

გვ. 4. მოხაზულია აბზაცი: „გერონტის სიტყვებია“, მიწერილია: „გ. ქიქოძე, „საქართველო“, № 267, 1916. წ“.

გვ. 20. მოხაზულია სტრიქონი „დავკარგე მთოვარე, – ვის ემთვარება?“, მიწერილია: „რა ემთვარება სჯობია“.

7315. თოფურია ა. ლეო ქიაჩელი. (კრიტიკულ-მეთოდ. ნარკვევი). თბ., 1954.

7316. თოფურია ა. ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში. თბ., 1952.

7317–7318. თოფურია ა. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია (III–X-კლ.). პედ. ინ-ტების ქართ. ენისა და ლიტ. ფაკ-ბის სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის. წ. 2. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959. 5/VIII. ბორჯომი. ჩემზე – 308 და სხვა“.

7319. თოფურია ა. წერილები ლიტერატურულ საკითხებზე. თბ., 1960.

7320. ილია ჭავჭავაძე. პორტრეტები და ილუსტრაციები. [ალბომი. შემდგ.: ნ. ალანია, ლ. მახარაძე, ჯ. დადიანი. რედ. ი. გრიშაშვილი. გრაფიკულად გააფორმა ლ. გრიგოლიამ]. თბ., 1959.

7321–7323. ილია ჭავჭავაძე საიუბილეო კრებული. [რედ.: მ. ზანდუკელი, ვ. კაკაბაძე]. თბ., 1939.

ფორზაცზე: „ჩემი წერილი, 81. ი. გრ. 1. „მე“-23, 27 (აკაკი შანიძის წერილში). 2. ბერანჟეს ლექსი მგონი გიორგი ორბელიანის თარგმანი, 210. (მართალია: იხ. „ცისკარი“, 1864 წ., ნოემბ). 3. ა. ჭ-ძე და „სინნა“, 209. 4. ცახელი–ცალხელი. 5.

ბაზალეთის ტბის აკრძალვა, 205. 6. გორკი, 221. 7. „სამშობლო“ და ილია, 146. 8. მაქსიმე შარაძე, 300“.

გვ. 164. სიტყვასთან: „ფედერაციის“ მიწერილია: „თუ „ქართ. წიგნის?“

გვ. 205. მესამე აბზაცის დასაწყისთან მინაწერი: „1883. ბაზალეთისა ტბა“.

გვ. 209. ხაზგასმულია: „მელანიას“ „მოთხრობა“, მიწერილია: „ბნელო“ აკი დაიბეჭდა „ივერიაში“

გვ. 210. დაბეჭდილია ბერანჟეს მიბაძვით დაწერილი ლექსი „შეგირდი გრ. ორბელიანისა“ „გრ“. ჩასწორებულია – „გიორგი“. იქვე მინაწერი: „ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში“. 1864 ნოემბერი, გვ. 139. ი. გრ“.

გვ. 298. პირველ აბზაცთან მინაწერი: „იხ. გვ. 321“.

გვ. 355. ი. ჭავჭავაძის „მაჭანკლის“ ხელნაწერის შესახებ ი. გრ. შენიშვნებს აქვს მინაწერი: „კორექტ. შეცდომა: სადაც „დაუჟინია“ უნდა დაუნიჟია, სადაც „უყალმაცალოდ“ უნდა უყალმაცოდ“.

გვ. 391. მოხაზულია ბოლო აბზაცი და მიწერილია: „გრ. ორბელიანიც მასხრად იგდებს ილიას ამ ბანკის თაობაზედ“.

გვ. 400. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „სალამს გიყევავ“, მიწერილია: „სალამი დაგიყევო“ (ვაჟა)“...

გვ. 408. მინაწერი, რომელიც ამ გვერდზეა ეხება ი. ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიას მოთავსებულს გვ. გვ. 409–419. „სადაც წითელი ხაზია – ჩემი რედაქცია იმაში გამოიხატება. ი. გრ. 1939. 23/II“.

გვ. 419. წერია: „ასე, რომ მე გავხსენი შემდეგი ფსევდონიმები:

1. პ. უმიკაშვილისა, (მ. პეტრიძე) 2. ი. მაჩაბლისა, (უსახელოდ იყო წიგნი). 3. ილია ჩიქოვანისა, (ი. პონტელი.) 4. მ. ნასიძისა, (მე გახლავარ) 5. ნადიკვრელი (ი. ზარაფიშვილი) და სხვა შესწორებანი. ი. გრ“.

ამონაჭრები ჟურნალიდან: 1. კ. გოგიავას რეცენზია „ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულზე“ მინაწერით ტექსტის ბოლოს: „ბოლშევიკი“, 1939, № 5“. 2. წერილი „ისევ „ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულისა“ და პროფ. მ. ზანდუკელის შეცდომების შესახებ“ მინაწერით: „ბოლშევიკი“, 1939, № 8, აგვისტო“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის უთანხმოება ჩამოვარდა 1891 წლიდან. 1892 წელს ივ. მაჩ-მა გამოსცა უსახელოდ წიგნი ილიას წინააღმდეგ. ვესალმები, 397; აქამოდე, 398, 396, 394; სალამი დაგიყევო, 400; ლირი, 400; ილიას – 1886 წ. ივერიის ბინა, ახალი ბეჭუთ. ქ. № 9, ზუბალაშვილის სახლი, გვ. 294“.

შმუცტიტულზე ბეჭედი: „სასიგნალო ეგზემპლარი“.

გვ. 289. არშიაზე მიწერილია: „აქ რაფ. ერისთ. ექსპრომტი“.

გვ. გვ. 394–395 ჩადებულია ქალაღდის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „დღეს სადილად გელოდები, ისეთი გოჭი მაქვს, რომ სიხარულით შეხტები და შემოტრიალდები თუ შენი სიდარბაისლე არ დაგიშლის“. ილია ჭავჭავაძის წერილი ნიკო ხიზანაშვილისადმი, ზეპირად მითხრა ელ. ჩერქეზიშვილმა – ი. გრ“.

გვ. 395. წერილს, რომელიც იწყება სიტყვებით: „ბატონო ალექსანდრე დიმიტრიჩი!“, მიწერილი აქვს: „ალექსანდრე საგინაშვილი ხომ არ არის?“

წიგნში ქალაღდის ნაჭერი მინაწერით: „ილიაზე მასალები. წიგნი ჩემი შენიშვნებით“. იქვე გაზეთები: 1. „ბახტრიონი“, 1922 წ., 3 დეკემბ., № 21, რომელშიაც მოთავსებულია პუბლიკაცია „დოკუმენტები და მოგონებები. გრ. ორბელიანის წერილები ილ. ჭავჭავაძესთან“. 2. „ბახტრიონი“, 1922 წ., 13 ნოემბერი, № 19, რომელშიაც მოთავსებულია პუბლიკაცია „გ. ლ. – დოკუმენტები და მოგონებები.“



ილია ჭავჭავაძის წერილები“. 3. გაზეთი „პოეზიის დღე“, 6 მაისი, № 2, და 4. გაზეთი „ბახტრიონი“, 1922 წ., № 20, რომელსაც მიწერილი აქვს: „დ. ყიფიანზე“

7324. ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. თბ., 1957.

ფორზაცზე: „აქ ჩემი წერილია გადაბეჭდ. ი. გრ. 1957. 22/X. ოპერა. ილიას იუბილე“. ქვევით მიწერილია: „ილიას ოთხი ბიძა ომში მოუკლავთ, 361–362“.

7325–7326. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. [კრებული] შეადგ., წინასიტყვაობა, შესავ. წერილი და შენიშვნები დაურთო ი. ბოცვაძემ. თბ., 1957–1958.

წ. 1. 1957.

ფორზაცზე: „მ. ტ-მე, გვ. 193“.

გვ. 193. ტექსტში და შენიშვნაში ხაზგასმულია: „მ. ტ-მე“, მიწერილია: „მალაქია ტორომელიძე“.

გვ. 558. ხაზგასმულია: „დავით სოსლანი“, არშიაზე: „ოთარაანთ ქვრ“. უნდა იგულისხმებოდეს დ. სოსლანის კრიტიკული წერილი „ოთარაანთ ქვრის“ შესახებ. ამავე გვერდზე ხაზგასმულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით: „რ. ჩხიკვაძე. (ალისუბნელი)“, რადგანაც ალისუბნელი იყო რაჟდენ ჩიკვაძის ფსევდონიმი.

გვ. 559. გახსნილია ფსევდონიმი. „ნადიკვრელი“ – „ზარაფოვი“.

წ. 2. 1958.

7327–7328. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. ტფ., 1907.

გვ. II. სარჩევში წერია: „აკლია გვაზავას ლექსი, იხ. „ისარი“, 1907“.

კანის ბოლო ფურცელზე, რომელიც აღდგენილია ი. გრ. ხელით წერია: „1. ორასი ლექსი დაგვრჩა – „ლექსებს ვერ ვათავსებთო“, გვ. 272. 2. ი. გოგებაშვილის აზრი, ქარხნები, მუშების ხელში უნდა გადავიდესო, გვ. 220. 3. აკაკის სიტყვა, 184. 4. აკაკის ლექსი, გვ. 121“.

7329–7331. ილიას დღე ჭიათურაში. 27 ოქტომბერი 1907 წ. ტფ., 1908

კანზე: „ბატონი და ყმა (პიესაა)“.

7332. იმედაშვილი გ. რუსთველოლოგია. ისტ.-კრიტ. მიმოხილვა. თბ., 1941.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 12/VIII“.

გვ. 51. ხაზგასმულია: „Д. Ч“ და მიწერილია კითხვის ნიშნით: „Д. Чкотуа“.

გვ. 58. იქ სადაც წერია: „ეს წერილები იმავე წელს დაიბეჭდა „დროებაში“, დასმულია ისარი და მიწერილია: „ივერია?“

გვ. 62. წინადადებაში: „ვაჰან ტერიანის თარგმანები“ – მოხაზულია „თარგმანები“ და მიწერილია: „ერთი ნაწყვეტი (შესავალი)“.

7333. იმედაშვილი გ. რუსთველოლოგიური ლიტერატურა. 1712–1956 წლები. თბ., 1957.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1957. 21. X“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1957. 15. X“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ფსევდონიმები გამოვარკვე. 1. გვ. 266, 267. 2. გვ. 349 ილიკო მობურთალი (ჯიშკარიანი). გვ. 901. შოტლანდიური(?) „ვ.-ტყ“. გვ. 154. ნ. მარი ამბობს მალე აღვაჩენ სპარსულ „ვ.-ტ“-სო, გვ. 261; გვ. 153, კ. მესხი და ვ. ტყაოსანი; გვ. 340, კუპრინი და ქართველი“. იქვე დევს ბლოკნოტის, ფურცელი. წარწერით: „აკლია: 1. ბარბარე თუმანიშვილის ცნობა, რომ ილია წერს „შექსპირის ჰამლეტი, ვ. ტყაოსნის ტარიელი“. (იხ. ჩემი „ლიტ. ნარკვევი“ ი. ჭ. და თეატრი). 2. მარჯანიშვილი დგამდა ვ.-ტყაოსანს“.

ქვემოთ მოყვანილი მინაწერები წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებში ავტორის ინიციალების ან ფსევდონიმების გახსნას:

„აღწერილობა № 385. არტემ ახნაზაროვი. ი. გრ; № 420 კარბელაშვილი. ი. გრ. № 487 მ. კელენჯერიძე? ი. გრ.; № 492 ეპ. კირონი; № 521 ან ბოსლეველი – მჭედლიძე, ან ს. ქვარიანი, ან ი. მეუნარგია ი. გრ.; № 530 ნიკო., № 546 მიხ. ნასიძე. ი. გრ; № 554–556 მ. ჯანაშვილი; № 557 მ. ჯანაშვილი(?) ი. გრ. № 559 „ანის მამა“. იგულისხმება ანა ვარდიაშვილი. № 562 კელენჯერიძე. № 597 ყიფიანი. ი. გრ.; № 599. ივ. მაჭავაძე?; № 613 ალ. ყიფშიძე, ი. გრ.; № 640 არშიაზე: „არაყიშვილი?“, № 689 პეტრე ქავთარაძე. ი. გრ. № 690 ისიდორე კვიციანიძე ი. გრ. № 705 [ბატონი] მიხ. წერეთელი. ი. გრ; № 708. შოთა დადიანი (?); № 725 მიხ. წერეთელი. ი. გრ.; № 728 შიო დავითაშვილი. ი. გრ.; № 750 გიორგი სალარიძე. ი. გრ.; № 751 სამსონ დადიანი. ი. გრ.; № 776 დიასამიძე; № 778 ჩერქეზიშვილი; № 786, არისტო ჭუმბაძე ი. გრ.; № 792 მიხ. ქაიხოსროს ძე. ი. გრ.;“ № 852 ავტორის სახელის აღმნიშვნელი ინიციალის შემდეგ: „[იხილ]“; № 888 დომინიკა ერისთავი. ი. გრ.; № 910 რომანოზ ფანცხავა; № 913 არჩილ ჯაჯანაშვილი; № 933 ჯიშკარიანი ი. გრ.; № 942 იოსებ ყიფშიძე. ი. გრ.; № 1018 რ. ფანცხავა; № 1023 П. Бедухтов. ი. გრ.; № 1028 მ. ბოჭორიშვილი; № 1063 გ. ნუცუბიძე. ი. გრ.; № 1145 „გიორგი“; № 1158 ტონკმელი(?); № 1172 ა. სვანიძე“;

გვ. 239. აღწ. № 629 გახსნილია ფსევდონიმი, მიწერილია: „სწორია“.

გვ. 267. ტექსტში მოყვანილ ლექსში ხაზგასმულია „ჭიტუასაო“, არშიაზე: „წყალობასო. ი. გრ“.

გვ. 362. ავტორის, ილიკო აბაშიძის შესახებ მიწერილია: „მუსიკოსი. ცალთვალა. ი. გრ“.

გვ. 924. საძიებელში ხაზგასმულია: „ილიკო, მობურთალი“, მიწერილია: „ჯიშკარიანი“.

გვ. 932. საძიებელში ხაზგასმულია „ელიოზოვი იოსებ“, მიწერილია: „ეთერიანის ავტორი“.

7334. იმედაშვილი გ. ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა. თბ., 1942.

თავფურცელზე: „ქართული სიტყვის ოსტატს და ქართული პოეზიის სიამაყეს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემის გრძნობით გ. იმედაშვილი. 1924. 6. XI“.

7335. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ., 1954.

ფორზაცზე: „საყვარელ პოეტს, ჩვენი სამშობლოს ერთგულ მსახურს ი. გრიშაშვილს, გულითადის პატივისცემით პავლე ინგოროყვა. 28. V. 1955. ქ. თბილისი“. ქვემოთ: „P. S. ეს ეგზემპლარი სხვა ქალაქდზეა დაბეჭდილი. ი. გრ“.

7336. ინგოროყვა პ. გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები. – ამონაჭერი: „ქართული მწერლობა“, 1928, № 6–7.

გვ. 228. არშიაზე: „ალ. ჭ-ზე, 246. ი. გრ“.

გვ. 241. მოხაზულია სქოლიო, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“ მ. ზანდუკელმა შეცდომით მიაწერა გრ. ორბელიანს. არშიაზე მინაწერი: „ეს პირველად ქ. რაჭველიშვილმა აღნიშნა. ქრ. რაჭველიშვილმა პავლეზე ადრე შეამჩნია ამ ლექსის ცრუდ მიკუთვნება გრ. ორბელიანისადმი. იხ. „Заря востока“, 1926 წ. 5 სექტ. № 60 №. ი. გრ.“

გვ. 256. ხაზგასმულია: „დანამდვილებით ირკვევა, მას შეთქმულობასთან უშუალო კავშირი ჰქონია“. ლაპარაკია ბირთველ თუმანიშვილზე, მიწერილია: „სისულელეა. იხ. ჩემი მასალები“.

გვ. 257. ხაზგასმულია: „დასასრული შემდეგ ნომერში“, მიწერილია: „აღარ ყოფილა „შემდეგი“.

გვ. 261. ლექსში „ს-სა“ ხაზგასმულია „მერცხალნი-თვალნი შენნი“ და მიწერილია: „ეს შედარება გრ. ორ-ს აქვს თავის კერძო წერილში, იხ. ი. მეუნარგიას წიგნი“. სქოლიოში ხაზგასმულია: „ეს ლექსი მიძღვნილი უნდა იყვეს სოფიო ორბელიანისადმი. იხ. ამის შესახებ ჩვენს წერილში“, მიწერილია: „არ დაბეჭდილა“.

გვ. 267. ლექსში „მასვე“ ხაზგასმულია: „მხოლოდ ესე სატანჯველი“ გასწვრივ: „მე მხოლოდ ეს სანატრელი“. ვარიანტი იხ. გრ. ორბ. რვეული გვ. 20. არტ. გაბუნიას აქვს. მ. თუმანიშვილის ნაქონია. ი. გრ“. ქვედა არშიაზე: „დაიბეჭდა „ქართულ მწერლობა“-ში, 1928 წ. № 6–7“.

კანის მეოთხე გვერდზე ფურცელი მინაწერებით: „პ. ინგოროყვას წერილები. 1. სასულიერო პოეზია. (დაიბ) 2. რუსთველიანა (დაიბ). 3. ჩახრუხაძე („კავკასიონი“). 4. ძველქართული წარმართული კალენდარი („საქ. მუზ. მოამბე“ ტ. VI). 5. გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები „ქართ. მწერლობა 1928 წ., № 6–7. 6. ვეფხის-ტყაოსანი (ტექსტი) დაიბ. ერთი ფორმა (არ გამოსულა). 7. საქ. ტერიტორიის საზღვრები („პრომეთე“, 1917... № 8 ნ. ბარათაშვილი („მნათ.“), 9. საქ. ისტ. მოკლე ისტ. მნათ.“).

7337. ინგოროყვა პ. ილია ჭავჭავაძე. ნარკვევი. თბ., 1957.

7338. ინგოროყვა პ. ილია ჭავჭავაძე თბ., 1962.

7339. ინგოროყვა პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. [ბიოგრ. ნარკვევი]. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1938, № 9–10.

ხელნაკეთ კანზე მიწერილია: „მე ავკინძე, ი. გრ“. იქვე: „1. ნინო ჭ-ძე, 17. 2. დელფინა, გვ. 166“.

ფორზაცზე: „1. გოგჩას ტბა, 92 (II)“.

გვ. 124. არშიაზე: „მნათობი“, 1938 წ., № 9“.

გვ. 166. ხაზგასმულია: „დელფინა ლაბიერი“, არშიაზე: „ამის შესახებ თუ ვინ იყო დელფინა იხ. მ. ხელთუბნელის წერილი „ლიტ. საქართ., 1940, № 3“.

გვ. 170. ხაზგასმულია: „გადმოგვეცემენ, რომ დელფინა იყო კონდიტერის ქალი“, მიწერილია: „ეს მიხ. ხელთუბნელის ნაამბობია“.

გვ. 171. ხაზგასმულია: „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს“?, არშიაზე: „ეს საიათნოვას ლექსიდანაა“.

კანის მეორე გვერდზე გაზეთიდან ამონაჭერი საქდესის ცნობა „ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღი“, არშიაზე მინაწერი: „ახალგ. კომ.“, 1940 წ. № 40, 18/II“.

7340–7343. ინგოროყვა პ. Rusthveliana. [წ.] 1. ვეფხის-ტყაოსნის თარიღი. შოთა რუსთაველის ვინაობა. ტფ., 1926.

შმუტიტულის მეორე გვერდზე დაბეჭდილია: „იოსებ გრიშაშვილს“.

შმუტიტულზე: „ი. გრ. 1926. 26/XII“. იქვე: „შავთელის შესახებ იხ. მურავიოვის „Грузия и Армения“ ტ. I, გვ. 1“.

კანზე: „იხ. დ. კარიჭაშვილის შენიშვნები. (იხ. გვ. 1). ი. გრ“.

შმუტიტულის მეორე გვერდზე: „P. S. დავით კარიჭაშვილის ეგზემპლარზე, – რომელიც პ. ინგოროყვას უჩუქებია შემდეგი წარწერით: „ძვირფას დავით კარიჭაშვილს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა“ – (1926 წ. 28/XII), – არის რამდენიმე შენიშვნა მიწერილი დავით კარიჭაშვილის ხელით. ვინაიდან დ. კარიჭაშვილის ეგზემპლარი გაიყიდა (ამჟამად გავბედე და დ. კარიჭაშვილის შენიშვნები ჩემს წიგნში გადმოვიტანე პ. ინგოროყვას საჩვენებლად: აქვე ავლნიშნავ იმ გვერდებს, სადაც კარიჭაშვილის შენიშვნები იყო. ჩვენ, რასაკვირველია, სიტყვასიტყვით გადმოვწერეთ

გვ. 15, 33, 63, 66, 67, 68, 188, 213, 214, 339, 344. – სხვა გვერდებზე გასმული ხაზი და კითხვის ნიშანი მე და მარიჯანს გვეკუთვნის. ი. გრ. 1934. 10/II“.

გვ. 23. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია სიტყვა: „მაქანია“, არშიაზე მინაწერი: „მაჰანა-ვარგისი (სომხ.)“.

გვ. 61. ტექსტში მოყვანილია ორი სტრიქონი „ვეფხის. ტყაოსნიდან“ „მიმავალი ცასა შესტირს“... გასწვრივ არშიაზე: „რუსულად: „Видим красное солнышко“.

გვ. 75. ხაზგასმულია სიტყვები: „პროტოკოლური სტილი“, იქვე მინაწერი: „ეს სიტყვა ნახსენები აქვს ალ. სარაჯიშვილს. იხ. „მომბე“, 1897, № 2, 0,3. 9“.

გვ. 81. ხაზგასმულია: „[ავთანდილ მისი] მოყმე“, იქვე მინაწერი: „მოყმე რას ნიშნავს? რატომ არის“.

გვ. 88. არშიაზე მინაწერი: „რატომ შეიძლება ზოგან რითმის შეცვლა? გვ. 67“.

გვ. 111. მე-4 აბზაცის გასწვრივ მინაწერი: „რატომ „სამთა“.

გვ. 122. მე-4 და მე-5 აბზაცების გასწვრივ მინაწერი: „შეიძლებოდა უკეთესი ნიმუშის მოყვანა. ბევრი არაფერი ალიტერაციაა“.

გვ. 139. მე-4 აბზაცის გასწვრივ მინაწერი: „იმეორებს. იხ. გვ. 106“.

გვ. 166. მე-3 აბზაცის გასწვრივ მინაწერი: „მანიქეიზმი უარყოფდა ეკლესიებს თუ არა?“

გვ. 196. ბოლო აბზაცის გასწვრივ არშიაზე მინაწერი: „ამას იმეორებს. იხ. გვ. 147“.

გვ. 218. მინაწერი ბოლო აბზაცის მიმართ: „ეხლაც. ბევრია ამის მაგალითები?“

გვ. 248. გენეალოგიურ ტაბულაში შ. რუსთაველის წლების: „1159–1245 წ“ გასწვრივ მინაწერი: „1168–69“.

გვ. 285. მე-6 აბზაცის გასწვრივ არშიაზე: „რატომ პომას და არა ხოტბას?“.

გვ. 303. ზოგიერთი სიტყვა ხაზგასმულია, წერია: „ჩემი ხაზია. ი. გრ.“

გვ. 345. მე-5 აბზაცის გასწვრივ მინაწერი: „ეს მეექვსეა ცოტათი. (მარიჯანის შენიშვნა). ი. გრ.“

წიგნში მრავალი ხაზგასმული ან მოხაზული ადგილია. ბოლო გვერდზე დაკრულია გაზეთიდან ამონაჭერი ალ. აბაშელის წერილი „ვეფხის-ტყაოსანი“-ის გარშემო“ მინაწერით: „დროშა“, („კომ“. დამატება). 1930 წ., № 3, ი. გრ.“

მეორე ცალის ყდაზე: „რუსთველიანა. დუბლ. ი. გრ.“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941-15-IV“.

7344–7345. ინგოროყვა პ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. ტფ., 1938. – ცალკე ამონაბეჭდი „რუსთაველის კრებულიდან“.

ფორზაცზე: „ჩემს ძვირფას ძმას ი. გრიშაშვილს სიყვარულით. პავლე ინგოროყვა. 7. VI. 1938 წ. ქ. ტფილისი“.

ფორზაცზე: „1. ეთერიანი, 37“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ჩემს ძვირფას სოსოს უგულითადესი სიყვარულით პავლე ინგოროყვა. 2. II. 1940 წ“.

7346. ინგოროყვა პ. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. წერილები 1–3. თბ., 1939. – ამონაჭრები: ჟურნ. „მნათობი“, 1939, № 1, 2, 4, 9.

აკინძულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელი შედგენილია პ. ინგოროყვას მიერ. მისივე ხელით წერია: „პავლე ინგოროყვა. ქართული. მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. წერილები პირველი და მეორე. ჩემს ძვირფას სოსოს. პ. ი.“ ქვევით მიწერილია: „აჰკინძა გრიშაშვილმა 1939 წელს, 23 ნოემბერს. დაიბეჭდა „მნათობი“, 1939, № 1, 2 და 4“.

ჩადებულია მე-3 წერილი აუკინძავად, მასზე წერია: „წიგნი მეორე. „მნათობი“, 1939 წ., № 9. ი. გრ“.

7347–7349. ინგოროყვა პ. შოთა რუსთაველი. ბიოგრაფიული ესკიზი. ტფ., 1938.  
ფორზაცზე: „სოსო გრიშაშვილს სიყვარულით პავლე ინგოროყვა. 25. III. 1938. ქ.  
ტფილისი“.

მეორე ცალის ფორზაცზე: სოსო გრიშაშვილის წიგნთსაცავს ავტორისაგან. 25. III,  
1938 წ. ქ. ტფილისი“.

წიგნში ამოჭრილი ჟურნალიდან პ. ინგოროყვას წერილი: „შოთა რუსთაველი და  
მისი პოემა“. მინაწერით: „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 6. გამოვიდა 1938 წ.  
მარტში“.

7350–7351. ინგოროყვა პ. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. წიგნი 1.  
ტექსტები. VIII–X საუკუნეები. ტფ., 1913.

თავფურცელზე: „ძვირფასს მგოსანს იოსებ გრიშაშვილს. 5 აპრ. 1915. მ.  
ჯანაშვილისაგან“.

იქვე: „იხ. რეცენზია ამ წიგნზე „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. №-რი. ი. გრ“.

7352. იორდანიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის თარგმანები ევროპულ ენებზე. ტფ.,  
1938.

7353. იორდანიშვილი ს. „ვეფხისტყაოსნის“ ეგრეთწოდებულ „უძველეს“  
ხელნაწერის შესახებ. [თბ. 1940]. – ამონაჭერი: საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, X,  
1940, გვ. 225–243.

7354–7355. იორდანიშვილი ს. ნარკვევები ქართული ლიტერატურის  
ისტორიიდან. თბ., 1953.

თავფურცელზე: „ძვირფასო ძია სოსო, უღრმესი პატივისცემითა და  
სიყვარულით გიძღვნიტ მამიკოს ნაშრომს. მანანა და ნესტან იორდანიშვილები, 20-  
I 54 წ“.

7356. იორდანიშვილი ს. რუსთაველის ჩვენამდე არმოდღეულ პოემა-რომანის  
შესახებ. – ამონაჭერი „ლიტ. მატთანე“-დან, 1942, 3–4.

7357–7358. კაკაბაძე ს. ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი? თბ.,  
1913.

7359. კაკიაშვილი გ. არსენა ქართულ ლიტერატურაში. [თბ.], 1955.

თავფურცელზე: „ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს პატივცემულ სოსოს  
მცირე ძღვნა ავტორისაგან გ. კაკ[იაშვილი]. 21. X. 55 წ“.

7360–7361. კაკიაშვილი გ. დრამატურგთა პორტრეტები. თბ., 1961.

კანის მეოთხე გვერდზე: „აკლია: 1. ვალ. შალიკაშვილი. 2. სევედია (ქალია). 3. ივ.  
გომართელი. 4. ვასილ ყიფიანი. 5. სიმონ ყიფიანი“.

7362. კალანდაძე ა. მასალები ივანე კერესელიძის ლიტერატურული  
მოღვაწეობისათვის. თბ., 1956.

კანზე: „ი. გრ. 22. XI.“.

7363. კალანდაძე ა. ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმებში. თბ., 1959.

7364. კალანდაძე გ. ეგნატე ნინოშვილი. მონოგრაფია. თბ., 1959.

7365. კალაძე რ. 1905 წელი და ქართული მწერლობა. – ამონაჭერი ჟურნ.  
„მნათობი“-დან. 1925, № 11–12, გვ. 272–284.

7366–7367. კალაძე რ. ანტონ ფურცელაძე. (მონოგრაფია). [თბ.], 1929.

გვ. 3. „ეს წერილი დაიბეჭდა „მნათობი“, 1927 წ., № 8–9, გვ. 229. ი. გრ“.

გვ. 145. ხაზგასმულია: „1882 წელს (მეორეთ დაბეჭდილს წიგნს – „ავაზაკებს“)..  
მიწერილია: „არ გამოსულა“. იქვე ხაზგასმულია: „ავაზაკები“ ნამეტურ გავრცელდა  
მუშა და ხელოსან ხალხში“, მიწერილია: „იხ. ბოჰემა“.

7368. კალაძე რ. ეგნატე ნინოშვილი. ბიოგრაფია. [თბ.], 1927.

- კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1927. 7. IV“.
- კანზე: „საათნოვა, გვ. 111“.
- გვ. 186. მოხაზულია გვარი: „ურუშაძე“, არშიაზე მიწერილია: „ურატაძე“.
- გვ. 190. მოხაზულია ჟურ. „ჩირაღდანის“ გამოც. ადგილი: „ქუთაისი“, ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ტფილისი, „კომ-ს“ დამატება“.
- გვ. II. გაზეთიდან ამოჭრილი ვ. პ-ს რეცენზია „რაჯდენ კალაძე ეგნატე ნინოშვილი“, ამონაჭერზე: „კომ“, № 96, 1927. 30. IV“.
7369. კანდელაკი ნ. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1961.
7370. კანდელაკი ნ., კვასხვაძე ა. და მჭედლიძე ბ. აკაკი წერეთლის შესწავლა საშუალო სკოლაში. თბ., 1940.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 21 XI“.
- 7371–7373. კაპანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. კაპიტალიზმი და გლეხი ქართულ ლიტერატურაში. თბ., 1928.
- შმუცტიტულზე: „ჩემს საყვარელ მგოსანს ი. გრიშაშვილს გულწრფელი პატივისცემით. ქ. თბილისი, 1928, 8/XII. კონსტანტინე კაპანელი“.
- კანზე: „ი. გრ. გვ. 97. ჩემზე: 1928. 12/XII“.
- გვ. 95. ხაზგასმულია: „ტიატრისათვის“ და მიწერილია: „ტიატრი, ამ სიტყვას ეხლაც ასე წერენ, იხ. „ქართული მწერლობა“, № 10, 11 1928. ვ. მესხიშვილის წერილი“.
7374. კაპანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. პრინციპული ნარკვევი. მე-2 გამოც. ტფ., 1931.
- კანზე: „ა. ჭ-ძე, გვ. 74; სუნიანი, 193“.
- 7375–7376. კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. წ. 1. ქართული ლიტერატურა. თემატიური ანალიზი სოციოლოგიური თვალთახედვით. ტფ., 1926.
- შმუცტიტულზე: „ქართული სულის დიდ ტრუბადურს, ჩემს საყვარელ მგოსანს ი. გრიშაშვილს – გულწრფელი პატივისცემით კონსტანტინე კაპანელი ქ. თბილისი. 29/IX 1926“.
- გვ. 193. ხაზგასმულია: „დახროხნილი, „გველის პერანგი“ და „სანავარდო“, მიწერილია: „იხ. გვ. 253“.
- წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი „მოლი“-ს რეცენზია „მწერლობა და ცხოვრება“ მინაწერით: „კომ“, 1927, 26/I“.
- მეორე ცალის თავფურცელზე „ვიყიდე ბაზახხანაში ებრაელის საწვრილმანოში. 1940. 12/III. ი. გრ“.
- 7377–7378. კარიჭაშვილი დ. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის რეცენზიის გამო. – ამონაჭრები ჟურნ. „მომბე“-დან, 1904, № 3, 4, გვ. 13–62.
7379. კარიჭაშვილი დ. ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, – ამონაჭერი ჟურნ. „განათლებიდან“.
7380. კარიჭაშვილი დ. ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი. – ამონაჭერი „საქართველოს არხივი“-დან, 1927 წ. II.
- გვ. 29. „შესანიშნავი წერილი „საქართველოს არხივი“-დან 1927 წ. წიგნი II, გვ. 30“.
- გვ. 47. ტექსტის ბოლოს „P. S. იხ. მეორე გვ“.
- შემდეგ გვერდზე „დამატებითი შენიშვნა – („საქართველოს არხივი“, 1937 წ., წ. II, გვ. 187)“.
- 7381–7382. კარიჭაშვილი დ. საქებართა ქებანი. წერილი პირველი. თბ., [1886]. გაკერილია ი. გრ. მიერ.

- კანზე: „ჰამლეტ“, გვ. 28. ი. გრ“.
7383. კაჭახიძე გ. შიო მღვიმელი. (კრიტ. ნარკვევი). თბ., 1938.  
ფორზაცზე: „შეცდ. 88“.
- გვ. 88. ხაზგასმულია: „წვიმის“, მიწერილია არშიაზე: „წვიმის კი არა აქ  
ღრუბლებზეა ლაპარაკი“.
7384. კაჭახიძე გ. შიო მღვიმელის ცხოვრება. თბ., 1939.  
კანზე: „ჩემზე, გვ. 21, 57. ი. გრ“.
- კანის მე-4 გვერდზე: „გოგებაშვილი, თედო რაზიკაშვილი“.
7385. კველიძე კ. ანტონ კათალიკოზის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან. [თბ.,  
1914].
7386. კველიძე კ. ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია. თბ.,  
1947. – ცალკე ამონაბეჭდი: უნ-ტის შრომები, ტ. 30–31b, 1947.
7387. კველიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.  
[ნაწ.] 1. – თბ., 1956.  
ფორზაცზე: „ჩვენს სასიქადულო მგოსანს, იოსებ გრიშაშვილს, პატივისცემით  
ავტორი“.
- იქვე: „1956 წ. 30/XII“.
- 7388–7389. კველიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის  
ისტორიიდან. [ტ.] 2. თბ., 1945.  
ფორზაცზე: „სასიქადულო მგოსანს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 1945, IX,  
12“.
- გაზეთიდან ამონაჭრები: „1. ბრძანებულება კ. კველიძის შრომის წითელი  
დროშის ორდენით დაჯილდოვების შესახებ“. 2. ტრ. რუხაძის წერილი კ. კველიძის  
„ეტიუდების შესახებ, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1945, 11 ნოემბ“. 3. გაზ.  
„ლიტერატურა და ხელოვნება“-ს 1945 წ. 18 ნოემბ. № 39, რომელშიც მოთავსებულია  
კ. ჭიჭინაძის წერილი „ვეფხის-ტყაოსნის“ გეოგრაფიისათვის“, დაწერილი კ.  
კველიძის საპასუხოდ.
7390. კველიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.  
თბ., 1955. [ტ.]-3.
- ფორზაცზე: „ქართული პოეზიის „ოქრო აედონს“, ჩემს მეგობარს, პატივცემულ  
იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1955. X, 14“.
7391. კველიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.  
თბ., 1957.  
ტ. 5.
- ფორზაცზე: „ჩემს მეგობარს, ქართველ ორფეოსს. საყვარელ სოსოს, ავტორი. 1958.  
1. 6“.
7392. კველიძე კ. თარგმანებად ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმვრნელ  
მიტროპოლიტისაჲ. ტფ., 1920.
7393. კველიძე კ. იოანე ქართველის კალენდარი (XL) შესწ. ტექსტი და  
გამოკვლევა. თბ., 1950 – ამონაჭერი: თბილ. სახელმწ. უნ-ტის შრომები, 39, 1950, გვ.  
23–76.
7394. კველიძე კ. კიდევ „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო. – ამონაჭერი ჟურნ.  
„მნათობი“-დან, 1927, № 5–6, გვ. 167–188.
7395. კველიძე კ. კომენტარები „აბდულ-მესიანის“ ზოგიერთი ტაეპისა. [თბ.]  
1947. – ამონაბეჭდი „ლიტ. ძიებანიდან“, ტ. 3, 1946.

7396. კეკელიძე კ. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში. თბ., 1949.

7397. კეკელიძე კ. მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ. – ამონაჭერი „ლიტ. მატთანე“-დან, 1942, 3–4.

7398. კეკელიძე კ. რეცენზიები. ტფ., 1926. – ამონაბეჭდი: „მიმომხილველი“, I. 1926. გვ. 267–284.

7399. კეკელიძე კ. უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში. ტფ., 1927. – თბილ. უნ-ტის მოამბე, ტ. 8. 1927–ცალკე ამონაბეჭდი.

თავფურცელზე: „ჩვენს ნიჭიერ არა მარტო მგოსანს, არამედ მკვლევარსაც. ავტორისაგან. 15. II. 1928“.

7400–7401. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტფ., 1923–1924.

ტ. 1. ძველი მწერლობა. 1923.

თავფურცელზე: „ახალი პოეზიის ქურუმს, ძველი მწერლობის ემბაზში ნათელდებულს, მარუთა შუამდინარელს. ავტორისაგან. 20. 11, 1924“.

კანზე და თავფურცელზე: „მარუთა შუამდინარელის ფსევდონიმით ვწერდი საპოლემიკო წერილებს. ი. გრ“.

კანზე: „ფილიპე, გვ. 176“.

გვ. 9. ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე მიწერილია: „იხ. საიათნოვა, გვ. 61. სხოლიო“.

გაზეთის ამონაჭრები“ 1. „შ. კაშმაძის წერილი „კორნელი კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი 1“, მიწერილია: „საბჭოთა აჭარა“, 1941 წ. № 81, 6 აპრილი ი. გრ“. 2. განცხადება იმის შესახებ, რომ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, არშიაზე მიწერილია: „კომ“, 1924 წ., № 124, 1 ივნ“. იქვე გაზ. „ლიტ. საქართველო“-ს 1941 წ. 9 მაისის № 19. გაზეთზე მიწერილია: „კ. კეკელიძის წიგნზე“. დაბეჭდილია ტრ. რუხადის წერილი „მონუმენტალური წიგნი ძველ ქართულ ლიტერატურაზე“.

ტ. 2. საერო მწერლობა XI–XVIII ს. 1924.

თავფურცელზე: „დიდად პატივცემულს პოეტს ი. გრიშაშვილს – ავტორისაგან. 1. II, 1925 წ“.

კანზე: „ი. გრ. – ა. ჭ.-ძე, 500; შვიდვეზირიანი, გვ. 304; საიათნოვა, 485; თეატრი, გვ. 492“.

გვ. 216. ტექსტში ხაზგასმულია: „პროზითი ნათარგმნი ალექსანდრიანისა“... და სქოლიოში მიწერილია: „პროზით თარგმნა მ. ახპატელოვმა და დაბეჭდა „ალექსანდრე ლუდვიკიანის“ სახელწოდებით. ეს არის თუ არა? მე არა მგონია“. იქვე ხაზგასმულია „ალექსანდრიანის“ შესახებ: „სად იმყოფება ის დღეს არ ვიცით“ და მიწერილია: „ვ. კოტეტიშვილს რომ აქვს? ი. გრ“.

გვ. 249. მოხაზულია სტროფი: „მუტრიბთა მორთეს საკრავნი, ტურფად სასმენი ყურისა“... და არშიაზე მიწერილია: „კონ. ჭიჭინაძეს-თუ შოთა ვარსკვლავანს კარგად აწყობს კოპერნიკივით – მაშინ აქაც ხომ დაწყობილია მუსიკალური იარაღები? ი. გრ“.

გვ. 266. სქოლიოში შენიშვნას: „პოემა [სარიდონიანი] ორჯერაა გამოცემული ტფილისში: 1879 წ. ქ. ჩარექოვის მიერ და 1902 წ. ფამბაკელის მიერ“ მიწერილი აქვს: „რატომ არ ამბობთ, რომ ერთს სხვა გვარი აწერია ავტორად, მეორეს სხვა გვარი?“.

გვ. 286. სქოლიოში მოხაზულია: „ათასერთლამიანი. ვილაც ლეონიდ ბარათაშვილს გადმოუღია ის რუსული თარგმანიდან“, მიწერილია: „ეს ბარათაშვილი თანამშრომელი იყო „ცისკრისა“, ის „ვილაცა“ არ არის. „ცისკარი“, 1863“. იქვე



მოხაზულია: „ვიღაც ს. ს.-ძეს მ-ს“. მიწერილია: სერგეი მდივანოვია, ცნობილი კალენდრის შემქმნელი“.

გვ. 316. სქოლიოში ხაზგასმულია: „თაფლის წვეთი“ ქართულად უთარგმნია ი. გრიშაშვილს“, არშიაზე მიწერილია: „ერთი წვეთი თაფლი“. იქვე, ხაზგასმულია შენიშვნა „თიმსარიანი“-ს შესახებ და მიწერილია: „ბერძნული სახელებია შიგ“.

გვ. 345. ტექსტში მოხაზულია სიტყვა „ლიტრიანი“ და მიწერილია: „ლიტრა-რკინის კეტი“.

გვ. 346. სქოლიოში ხაზგასმულია შენიშვნა: „ჯავახიშვილებისა და იორამ სააკაძის დამოყვრების წიგნი დაწერილია 1663 წელს“ და მიწერილია: „არის“.

გვ. 477. შენიშვნაში ხაზგასმულია: („მშვენიერთა ხელმწიფავ“ გვ. 206) ხელნაწერში აქვს აღნიშნული ბესიკის სახელი“ და მიწერილია: („ალ. ჭავჭავაძესაც აქვს)“.

გვ. 485. ტექსტში ხაზგასმულია: „საიათნოვას დავთარს ან კრებულს თავიც აკლია და ბოლოც, დარჩენილია მხოლოდ სპარსული ლექსები“, მიწერილია: „თურქული“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია ლექსის ბოლო: „მა რა ყოფილა?“ და მიწერილია: „აკლია სტრიქონები, მე მახსოვს კიდევ: „შარა ყოფილა“.

გვ. 486. ლექსის – „თუ მიჯნურს ერთწამს მოშორდე, ტანს შავად შევიღებ“... შენიშვნას სქოლიოში: „წერა-კითხვის ხელნაწერი № 1543, გვ. 36, 37“, მიწერილი აქვს: „ეს ლექსი სხვა ხელნაწერშიცაა. 3686“.

გვ. 496. გიორგი ავალიშვილის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, არშიაზე მიწერილია: „სახელდობრ“?

გვ. 499. ტექსტში ხაზგასმულია: „დავით ჯიმშერის-ძე ჩოლოყაშვილს გადმოუკეთებია ტრალედია რასინისა „ეჭიღენია“ და მიწერილია: „იბეჭდებოდა „საქართველოს დამატებაში“, 1916 წელს, № 30, 31“

კანის მე-4 გვერდზე: „ამ წიგნის შესახებ იხ. რეცენზია გ. ლეონიძესი „დროშაში“, მაქვს“.

7402–7403. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. მე-2 შვეს. და შესწ. გამოც. თბ., 1941.

ტ. 1. ძველი მწერლობა.

ფორზაცზე: „შეუდარებელ მგოსანს და მასთან ჩინებულ მკვლევარს სოსო გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1946, III, 7“.

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიც ჩადებულია გაზეთიდან ამონაჭრები: „1. ტრ. რუხაძის წერილი კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ შესახებ მინაწერით: „კომუნისტი“, 1942, № 61, 13 მარტ“. 2. ამონაჭერი დასათაურებული ი. გრ. ხელით: „კორნელი კეკელიძე“. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ფიქრი“, 1914 წ. № 21, 19 მარტი“. 3. ალ. ბარამიძის წერილი „აკადემიკოსი კორნელ კეკელიძე“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1941 წ., № 10“.

ტ. 2.

ყდის მეორე გვერდზე: „მე-21-პოეტებშიც. იკვლევენო; 417-ოვ. თუმან.; 617 – მზეჭაბუკ ორბელიანი; 620, 621. 622, 624-ა. ჭ-ძეზე ჩემი წიგნი; საიათნოვა, 639; ა. ჭ-ძე მე ჩავუმატე. - სპილენძის ქალაქიანი, გვ. 395“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1942. 10/1“.

იქვე: „1. ოვანეს თუმანიანი და თიმსარიანი, 417. 2. შვიდვეზირიანი, გვ. 418. 3. შამიფარვანიანი, იხ. გვ. 505. აქვე საადის ბუსტანში, გვ. 106. 1935 წ. გამოც. 4. ამ წიგნის გამოცემისას, ავტორს მამასადაძე ხელთ ჰქონია ჩემი ა. ჭ-ძე, (გვ. 620), მამ რატომ არ გაუსწორებია აშკარა შეცდომები ა. ჭ-ძის პიესების აღწერის დროს (გვ. 639) რომ

შემთხვა ავტორს ამ წიგნის პირველ გამოცემაში? (შდრ ჩემი ა. ჭ-მე 341). ი. გრ. 5. მაჩაბელი-საიათნოვას თანამედრ., 633. 6. ყარამანიანის დამწერის გვარი 309 – (აბუ-ტაჰირ-მუჰამედ ბენ ტარუსს). 7. „პირზე გაქვს ხალი, შავი თვალი“ (დ. ორბ. 310). 8. ლეილა-მეჯნ, 258“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1942, 10/I“.

გვ. 153. სქოლიოში მოხაზულია: „გამანადგურებელი კრიტიკით უპასუხა პოეტმა ი. ჭავჭავაძემ“ და მიწერილია: „ეს სიტყვა უნდა შეერბილებინა ავტორს. ი. გრ“.

გვ. 417. სქოლიოში მოხაზულია: „თაფლის წვეთი“ ლექსად გადაუკეთებია ოვანეს თუმანიანს და ქართულად უთარგმნია ი. გრიშაშვილს“, მიწერილია: „იხ. ოვ. თუმანიანის რჩ. ნაწერები. 1924 წ. სახელგამი“.

გვ. 418. შენიშვნაში ხაზგასმულია ცნობები „შვიდვეზირიანის“ შესახებ და მიწერილია: „შვიდვეზირიანი“ გამოვიდა კიდეც 1904 წ. და 1916 წ. (მე მაქვს)“. იქვე შენიშვნაში ხაზგასმულია, რომ „შვიდვეზირიანი“ ორჯელაა გამოცემული და მიწერილია: „ორჯერაც არის გამოცემული და ათჯერაც“.

გვ. 505. ტექსტში ხაზგასმულია სიტყვა „დავალეზული“ და მიწერილია: „ავლად-ნაცრად“. სქოლიოში მოხაზულია: „შამისა და ფარვანას შესახებ აქვს თავის ბუსტანში პოეტ საადისაც (რუსული თარგმანი ვ. ჩ...სა)“, და მიწერილია: „К. Чайкин-ისა. ი. გრ“.

გვ. 597. სქოლიოში მოხაზულია კრიპტონიმი: „კ. ჩ-ნის“... გახსნილია: „კ. ჩაიკინის“.

გვ. 624. ტექსტში ხაზგასმულია ი. გრიშაშვილის წერილი საიათნოვას ლექსების შესახებ და მიწერილია: „რატომ არ არის დაყოფილი?“

გვ. 625. წინადადებას: „ასეთი ანზანთ ქება წინათაც გვხვდება. მას ხმარობენ, მაგალითად, თეიმურაზ პირველი და ბესიკი“... მიმატებული აქვს: „და ალექს. ჭ-მე, გვ. 620, ი. გრ“.

გვ. 633. სქოლიოში ხაზგასმულია: „აღა-მაჰმადხანის შემოსევისას დაღუპულა აგრეთვე მეორე მოღვაწე იმდროინდელი სცენისა... რომელსა სახელს-დებდნენ. მაჩაბელად“... და მიწერილია: „მაჩაბელი“.

გვ. 639. დანიშნულია ადგილი და მიწერილია: „აკლია „ფედრა.“ იქვე კორნელის ტრაგედია „სინა“-დან მოყვანილ ერთ ტაეჰში ხაზგასმულია სიტყვა „ფულკიავ“ და მიწერილია: „ფულვიავ. პირველ გამოცემაშიაც ასე აქვს კ. კეკელიძეს, რატომ არ შეასწორა ჩემი გამოცემულიდან, სადაც „სინა“ მთლიანად დავბეჭდე? გვ. 183, ჩემი გამოცემა რომ ხელთ ჰქონია, ეს ჩანს შემდეგი გვ. 62. ი. გრ“ იქვე მოხაზულია პიესა „სიდი“ და მიწერილია: „იხ. ჩემი ა. ჭ-მე, გვ. 341. „სიდი“ არ უთარგმნია, უნდა ამოეღო“. სქოლიოში პიესა „სინა“-ს შენიშვნას მიწერილი აქვს: „იხ. ჩემი ა. ჭ-მე, გვ. 341, სადაც მთლიანად დავბეჭდე. არ უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ სინას ამბავი?“.

7404. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი ლიტერატურა. ტ. 2. თბ., [1958].

ფორზაცზე: „მგოსან-აკადემიკოსს, დიდად პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს, სიყვარულით კ. კეკელიძე, 1958, XII, 25“.

7405. კეკელიძე კ. ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია. ტფ., 1933.

კანზე: „ი. გრ. 1933. 24/IV. ა. ჭ-მე, გვ. 53; ტფილისი, 59–60“.

გვ. 64. ტექსტში ხაზგასმულია კაპიტან იაზიკოვის სიტყვები და მიწერილია: „დელაპორტიც ამას ამბობს“.

7406. კეკელიძე კ. ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის. [თბ., 1942]. – ამონაჭერი: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 3, № 7, 1942, გვ. 739–742.

7407–7409. კეკელიძე კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. მე-3 გადამუშ. და შევსებ. გამოც. თბ., 1951–1952.

ტ. 1. 1952.

შმუცტიტულზე: „საამაყო მგოსანს. საინტერესო მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით ავტორისაგან. 1951, VII, 12“.

ფორზაცზე: „სადამოს ზარი“, 210“.

გვ. 210. პირველი აბზაცი მოხაზულია და მიწერილი: „მ. ჯანაშვილის თარგმანი“. წიგნის ბოლოს სუფთა ქაღალდზე: „ბავშვი თუ ბავში? 118“.

ტ. 2. 1952.

ფორზაცზე: „დიდ მგოსანს და სახელოვან მკვლევარს ი. გრიშაშვილს პატივისცემით და სიყვარულით ავტორისაგან“. მიწერილია: „[1952 წ. 3. XII]. ი. გრ“.

წიგნში ამონაჭერი გაზეთიდან „კაპიტალური ნაშრომი ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან“ მინაწერით: „11 ოქტ. „სახალხო განათლება“, 1952, № 42“.

7410–7411. კეკელიძე პ. აკაკი წერეთელი. ცხოვრება და მოღვაწეობა. [თბ.], 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954, 20/III. 1. ხარკოვი და აკაკი, 177. 2. მაჭახელაძე – ფსევდონიმი იყო ალექსანდრე ჭყონიასიო, 172“.

7412. კეკელიძე პ. აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფი. – ამონაბეჭდი: თბილ. უნ-ტის შრომები. 29 B, 1946. გვ. 100–186.

კანზე: „ავტორისაგან. ჩემი ვარიანტით! ი. გრ“.

გვ. 100. სათაურის ზემოთ: „ლექსმადლიან მგოსანს, ნიჭიერ მკვლევარსა და მეცნიერ-ტექსტოლოგს, პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს ყველასათვის ფრიად საყვარელ ქართველ პოეტს პროკლე კეკელიძისაგან. 18/IV 48 წ“.

7413. კელენჯერიძე მ. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი. ქუთაისი, 1909.

კანი შეკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ.

7414–7415. კენჭოშვილი ა. ალექსანდრე ჭავჭავაძე. (ცხოვრება და შემოქმედება). თბ., 1953.

თავფურცელზე: „პოეტ-აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ავტორისაგან. 9 X. 53 წ“.

გვ. 48. ლექსთან არშიაზე: „ი. დავითაშვილის ლექსი“. მე-3 აბზაცი მოხაზულია, არშიაზე: „ამას მეც ვამბობ“.

გვ. 50. ხაზგასმულია ადგილები, სადაც ლაპარაკია მუხამბაზური პოეზიის მიმდევართა და მათ შორის გრ. ორბელიანის შესახებ, მიწერილია: „კარგი ქნა თუ ცუდი?“

მეორე ცალის კანზე: „ნეტა ა. ჭ-ძეს ლექსები, რომ არ შემეკრიბა და აკადემიურად არ გამომეცა, რას დასწერდა ამ წიგნის ავტორი. არც ერთი ჩემი გამოცემა არა აქვს აღნიშნული! აი, როგორი ახალგაზრდები არიან! ი. გრ“.

7416–7417. კენჭოშვილი ა. ილია ჭავჭავაძე (კრიტ.-ბიოგრ. ნარკვევი). თბ., 1955.

თავფურცელზე: „ხალხის საყვარელ სახელოვან პოეტს, ძვირფას ადამიანსა და მოღვაწეს, პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით. აკ. კენჭოშვილი. 18. X. 55“.

- გვ. 45. სტრიქონში „მრწამს სახელები: თამარ, რუსუდან, ლაშა გიორგიმ ფრთა გადამაწვა“... გასწორებულია გადამაწვა-გადამიწვა“ და მიწერილია არშიაზე: „ეს დაბეჭდილია პრ. მწ. იქაც შეცდომა. ეს შეცდომა იყო“.
7608. რადიანი შ. თანამედროვე ქართული ლიტერატურა. მე-2 შევს. და შესწორ. გამოც. ტფ., 1932.  
კანზე: „ჩემზე, გვ-44-46. ი. გრ. 1933. 15/VII“.
7609. რადიანი შ. კონსტანტინე გამსახურდია. ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1958.  
კანზე: „ლაზური? 69. გვ. 65“.
- გვ. 66. ხაზგასმულია: „წამოეკოსებიანა ნაბდის შავი ქუდი“, მიწერილია: „თუშური“.
- გვ. 71. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია სიტყვები: „ფითრიან მსხალზე შოშიები შემომსხდარიყვნენ“, არშიაზე: „თუ მერცხლები?“
- გვ. 72. მოხაზულია: „შოშიების“, მიწერილია: „მერცხალი“. იმავე გვერდებზე ხაზგასმულია: „ურაცხენი“, მიწერილია: „ქურანი“.
7610. რადიანი შ. ლიტერატურის მეცნიერების პრობლემები. თბ., 1931.  
7611. რადიანი შ. ლიტერატურის საკითხები. წერილები თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ. ტფ., 1930.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1930, 5/IV“.
- კანის მესამე გვერდზე: „რეცენზია ამ წიგნზე იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930, 24 აპრილი. კ. მელაძის (ცოტა ჰვენწლავს)“.
7612. რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა. [თბ.], 1936.  
შმუცტიტულზე: „ი. გრიშაშვილს ნიჭიერ პოეტს და მკვლევარს პატივისცემით. ავტორისაგან. 7. X. 36 წ“.
- გაზეთიდან ამოჭრილი ა. ს-ს რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „კომ.“, 1936 წ., 6 ნოემბ., № 259“. რეცენზენტის ინიციალები გახსნილია: „ალ. სულავა“.

7613. რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა. მე-2 შევსებ. და შესწორ. გამოც. თბ., 1937.

ყდაზე: „ა. ჭ-ძე, 75“.

ფორზაცზე: „ცნობილ პოეტს და მკვლევარს – ი. გრიშაშვილს მეგობრული პატივისცემით შ. რადიანი“.

ყდის მე-3 გვ.: „რეც. – კომ“, 1938, № 17-III“.

გაზეთიდან ამოჭრილი ა. ლ-ის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომ“, 1938, № 61, 16 მარტი“.

7614. რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა [ნარკვევები. თბ.], 1939.

ფორზაცზე: „შესანიშნავ პოეტს და მკვლევარს ი. გრიშაშვილს მეგობრული გრძნობით. შ. რადიანი. 1940 5. I“.

ფორზაცის პირველ გვერდზე: „1. ზარე და ყანიმათი, 95. 2. ირმის ნამბობი, 169. 3. „ალავერდი“ მ. გურიელმა კი არ დასწერა, თარგმნა, გვ. 174. 4. დონდუკოვ-კორსაკოვი და ძველი ტფილისი, გვ. 89. 5. გრ. აბაშიძეს ბერანჟე არ უთარგმნია, 290. 6. ი. ევდოშვილის აუგი, 296. 7. თუ კ. აბაშიძე (კიტაა) მას ი. ევდოშვილზე წერილი არა აქვს, 197. 8. ილიას კერძო წერილი, გვ. 41“.

გვ. 75. ხაზგასმულია აკაკის ლექსი „ინტერნაციონალი“, მიწერილია: „როდის იყო რომ მოგწონდათ, და ეტრფოდით მუშა-ქალებს“ (აკაკი, 1893 გამოც. ტ. II, გვ. 266.)“.

გვ. 89. სქოლიო მოხაზულია, ხაზგასმულია სიტყვები: „გუდებიდან“, „სწორი სახურავი“, „რკინის“, არშიაზე მიწერილია მათი შესატყვისი სიტყვები: „ტიკები“, „ბანები“, „თუნუქის“.

გვ. 138. ლექსში „თვალეზი“ გადახაზულია სიტყვა: „ყოველგან“, მიწერილია: „ყოფილან“.

გვ. 169. სქოლიოში ცნობა მ. გურიელის „ირმის ნამბობი“-ს შესახებ მოხაზულია, მიწერილია: „ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა“.

გვ. 174. ხაზგასმულია სტრიქონი: „ლექსში „გრაფის სოლოგუბის ალავერდი“, რომელიც გურიელმა დასწერა... არშიაზე კითხვის ნიშანი. მოხაზულია: „მ. გურიელის ლექსი „გრაფის სოლოგუბის ალავერდი“, მიწერილია: („ნათარგმნი“).

გვ. 180. პირველი აბზაცის დასასრულს მიწერილია: „საიდან აიღეთ?“

გვ. 290. ცნობას გრ. აბაშიძემ თარგმნა ბერანჟეს ლექსები მიწერილი აქვს: „არ უთარგმნია“.

7615. რადიანი შ. ლიტერატურული პორტრეტები. წგ. 1. [თბ.], 1929.

კანსა და შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1929. 1. IV“.

7616. რადიანი შ. ლიტერატურული პორტრეტები. თბ., 1953.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 30. X. გვ. 137“.

გვ. 137. სათაურის ზემოთ: „1. დაჯილდოება? 2. იუბილე, 3. აკადემიკოსობა?“

წერილის ბოლოს მიწერილია: „ჩემი ენა, ნამდვილი ქართული ენაა, როგორც ილიასი, გოგებაშვილისა, აკაკისა და ივ. მაჩაბლისა, – შედარება არს მოგიხდენიათ, ამხანაგო შალვა, და კერძო ინტერესით აღჭურვილ ადამიანს ენდობით! არ გეკადრებათ! ი. გრ. 1953. I. XI“.

იქვე გაზეთიდან ამოჭრილი შალვა რადიანის წერილი „იოსებ გრიშაშვილი“ მინაწერით: „ლიტ. საქართ“. 1938 წ., № 32“.

7617. რადიანი შ. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა. ნარკვევები. თბ., 1945.

კანზე: „ი. გრ. 1946. 19. 1. მე, გვ. 187. ი. გრ“.



გვ. 252. ხაზგასმულია: „ჟურ. მერანი“, რომელსაც რედაქტორობდა ს. შანშიაშვილი, მიწერილია: „მერანი“ ერთი ნომერი გამოვიდა, იგი იყო ალმანახი და გაზ. „საქართველოს“ ხელის მომწერლებს დაურიგდა. ი. გრ“.

გვ. 271. არშიაზე ვ. გაფრინდაშვილის შესახებ: „პირველად „ზაკავკაზიეში“ ჩემი ლექსი თარგმნა და დაბეჭდა 1913“.

7618. რადიანი შ. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა. მე-2 შევს. გამოც. თბ., 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 3. VII“.

გვ. 309, 311, 313, ის ადგილები, სადაც გარჩეულია ი. გრიშაშვილის შემოქმედება ხაზგასმულია.

7619. რადიანი შ. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 1959.

ყდაზე: „ი. გრ. გვ. 253 – ჩემზე“.

7620. რადიანი შ. მიხეილ ჯავახიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. [თბ.], 1957.

7621. რადიანი შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი. თბ., 1946.

7622. რადიანი შ. რაფიელ ერისთავი. ტფ., 1933.

7623. რადიანი შ. შემოქმედება და კრიტიკა. ტფ., 1933.

7624–7625. რადიანი შ. და ირემადე ქ. ლიტერატურული სილუეტები. ტფ., 1932.

7626. რაზიკაშვილი ვ. მამაჩემი ვაჟა-ფშაველა. თბ., 1961.

7627. რამიშვილი დ. მიხეილ თუმანიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1957.

7628. რატიანი პ. ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი. თბ., 1949.

გაზეთიდან ამონაჭერი გ. ნატროშვილის წერილი „საყურადღებო მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე“ მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1950 წ., № 97, 17 მაისი“.

7629. რატიანი პ. ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. მე-2 გამოც. თბ., 1954.

ფორზაცზე: „ი. გრ. სათათბიროში ილიას არჩევა – 244“.

7630. რატიანი პ. ილია ჭავჭავაძე. პოლიტ-ეკონომ. შეხედულებანი. წ. 2. თბ., 1957.

7631. [რაჭველიშვილი ქ.] ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1937.

წიგნზე გადაკრულ ქაღალდზე: „1. გვ. 73. აკაკისადმი წერილი. 2. ნიკო ხიზანიშვილი, 122. 3. თვალს ავახელ, 123“.

გვ. 5. არშიაზე: „ჩემზე-57, 66; დ. ჯაში და ზაკავკაზიე, გვ. 125. ი. გრ. 1937. VI, 1“.

7632. რემონიძე ს. ეგნატე ნინოშვილი. ტფ., 1930.

გვ. 41. მოხაზულია ის ადგილი, სადაც მოხსენებულია ი. გრიშაშვილი.

კანის მე-4 გვერდზე მიწერილია: „მტრედს თავის გულკეთილობით ნისკარტსაც მოსჭრიანო“ (ხალხური – თ. სახოკიამ მით.)“.

7633–7636. რუსთაველის კრებული. 750. [რედ. პ. ინგოროყვა და კ. კეკელიძე, ტფ., 1938].

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილს დიდი სიყვარულით. პავლე ინგოროყვა. 7. V. 1938 წ. ქ. ტფილისი“. იქვე: „ეთერიანი“, 37“.

გვ. 38. სქოლიოში: „იხ. დონდუას წერილიც. ი. გრ“.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „თარგმანი ხშირად ორიგინალის ხასიათს ატარებს, გვ. 117“.

7637–7638. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის V-სამეცნიერო სესია 1946 წ. 23 და 24 დეკემბერს მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1946.

თავფურცელზე: „ა. ჭ-ძე“.

7639. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი (1947 წლის 22–23 დეკ.). [მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები]. თბ., 1947.

7640. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის VII სამეცნიერო სესია მიძღვნილი ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი (1948 წ. 20–21 სექტ.). [მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები]. თბ., 1948.

7641. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი [ს] XVI სამეცნიერო სესია. 1956 წლის 1–2 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1956.

წიგნში ჩადებულია მოწვევის ბარათი ი. გრ. სახელზე-XVI სამეც. სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

7642. [რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის] სამეცნიერო სესია XXII. მუშაობის გეგმა და თეზისები. თბ., 1963.

7643. რუხაძე ტ. გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“. – ამონაჭერი: ლიტ. ძიებანი, ტ. 2, 1944.

სათაურის ზემოთ წარწერა: „საყვარელ პოეტსა და მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს, ავტ“.

7644. რუხაძე ტ. „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისათვის. ამონაჭერი ა. ს. პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. სამსაწ. ინსტ. შრომებიდან. ტ. 3, 1943.

სათაურის ზემოთ წარწერა: „საყვარელ პოეტს და მკვლევარს სოსო გრიშაშვილს. მცირედი არმაღანი, დიდის პატივისცემით. ტფ. რუხაძე. 10-XII. 43“.

7645. რუხაძე ტ. ქართველები რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში (იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში). თბ., 1942.

კანზე: „ი. გრ. 1942. 15/XII“.

იქვე: „[მე] – გვ. 9; 21, 29 I, II, III“.

გვ. 9. სქოლიოში მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „იხ. ი. გრიშაშვილს. „ალ. ჭ-ძე“.

კანის ბოლო გვერდზე: „ფერშ. 46“.

წიგნში გაზეთ „კომუნისტის 1942, № 283-დან ამონაჭერი ტრ. რუხაძის წერილი „ქართველები 1812 წ. სამამულო ომში (გმირული წარსულიდან)“.

7646. რუხაძე ტ. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში – პროფ. კ. კეკელიძის რედ. თბ., 1939.

ფორზაცზე: „1. ვ.-ტყ. და „ილუსტრაცია“, 210. 2. ალ. ჭ-ძე, 211. 3. ს. ტაბიძე, 222. 4. ალღუზიანი, 195. 5. საიათნოვა, გვ. 93. 6. პეტრე ლარაძე, 134, 159. 7. ა. ჭ-ძე, 15“.

7647–7648. რუხაძე ტ. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. აკად. კ. კეკელიძის რედ. თბ., 1954.

ყდის მეორე გვერდზე: „1. სტეფანე ფერშანგიშვილი, ტრიფონ რუხაძე და მე – გვ. 208. 2. მე, ალ. ჭ-ძე და პეტრე ლარაძე, 277. 3. შამჩი-მელქო, 196“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954 წ. 1. ივლისი. მწერალთა ყრილობა. გრიშაშვილი – 208, 277, გვ. 38, 204, 238, 264“.

გვ. 141. დანიშნულია „მუხამბაზის“ ერთი სტროფი და მიწერილია: „იხ. ჩემი ა. ჭ-ძე“.

გვ. 143. მითითებულია „მუხამბაზის“ უკანასკნელი სტრიქონი და სქოლიოში მიწერილია: „იხ. ჩემი წერილი „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა“.

გვ. 180. ხაზგასმულია ლექსის სათაური „ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ნინას (იმენინკის დღეს)“ და მიწერილია: „რუსული“.

გვ. 200. „მუხამბაზი“-ს ბოლო სტრიქონში ჩამატების მიზნით მიწერილია: „აკლია ემზის“.

გვ. 202. ლექსის „მუხამბაზი“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია „ყარიბმან“ და მიწერილია: „ყარიბის ლექსი“.

გვ. 208. ლექსს „თბილისის აოხრებაზე თქმული 1795 წელს“ მიწერილი აქვს: „შემოკლებით“.

გვ. 211. ხაზგასმულია: „ქეშიმ დარდიმანდი“ ხუმარა მღვდელს ნიშნავს“, მიწერილია: „ქეშიმი მღვდელს ნიშნავს?“

გვ. 215. ლექსში „ვუგალობ“ ხაზგასმულია ორი სტრიქონი და მიწერილია: „იხ. გვ. 304“.

ყდის მე-4 გვ. მიწერილია: „შეც. დომანი: მასნათი – 205; უსული – 211; 1. კაწაწი – შეცდომით აუხსნია, 215. 2. მთიები, 305. 3. ქარქვეტა, 307. 4. ხარა, 91. აბრეშუმია და არა ტანსაცმელი, უნდა იყოს ძვირფასეული ტანისამოსი. 5. ჯერანი-180-ონავარი ფრინველიაო, არა! ჯეირანია“.

7649–7652. საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1895 წ. 22 ღვინობისთვის). [კრებული]. თბ., 1899.

გვ. 85. ლექსის „თ. რ. ერისთავს“ ბოლოში ხელმოწერა „სოსელო“ გახსნილია: „სტალინი. ი. გრ“.

გვ. 93. ლექსის „თ. რ. ერისთავს“ ბოლოს ხელმოწერა „ახალგაზრდა სომეხი“ გახსნილია: „ბ. ევანგულოვი ი. გრ“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. აკაკი და ილია. გვ. 36; გ. სუნდუკიანცი, 37; მზის საათი 16; (ა. ჭ-ძისათვის). მ. ცხაკაია, გვ. 45“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1917 წ. II/XII Гришашвили“.

გვ. 19. სადაც ლაპარაკია რაფ. ერისთავის დრამატულ ნაწარმოებებზე, წერია: „გადმოკ“.

გვ. 32. გრ. აბაშიძის მიერ ლექსის წაკითხვაზე, წერია: „მე მგვანებია“.

გვ. 39. ლექსის „სამადლობელი ლექსი“ ბოლოში „რ. ერისთავი“.

გვ. 85. ლექსს „თ. რ. ერისთავს“ მიწერილი აქვს: „იხ. „ივერია“, 1895 წ., № 234, 29 ოქტ“.

გვ. 93. სათაურის ქვეშ ი. გრ. მიერ მიწერილია ცენზურის მიერ აკრძალული შ. მღვიმელის ლექსის პირველი სტროფი:

„ვინ დაჰკრა გრძნობის სიმებსა  
ზედ ვინ დამღერა ტკბილათა,  
ვინ გააღვიძა ის ერი  
მთლად მივარდნილი ძილათა?“

გვ. 115. მოხაზულია სტრიქონები:

„მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო  
ორ ზღვას შუაა გადაჭიმული“

და მიწერილია: „ვისია ეს ლექსი? დუტუ მეგრელისა თუ იოსებ ბაქრაძისა?“

მესამე ცალის გვ. 93 ლექსის ავტორის ფსევდონიმთან „ახალგაზრდა სომეხი“ მიწერილია: „ეს ფსევდონიმია ბულდან ევანგულოვისა, თელაველისა, „ხენთის“ მთარგმნელისა. მისი ფსევდონიმია კიდევ ბ. დავითაშვილი. ი. გრ. 1948. 26/VIII“.

7653. სანდრო ეულის სამწერლო საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავი. ტფ., 1934.

7654. სარაჯიშვილი ა. „ვეფხვის ტყაოსნის“ ყალბი ადგილები. – ამონაჭრები „მომბე“-დან, 1895 წ. 11, 12; 1896 წ. 3, 5, 7, 8; 1897 წ. 2, 4, 5, 7, 9, 11; 1898 წ., 1, 2, 4, 5, 11; 1899 წ – 1. 10; 1900 წ. 3–5, 7, 8, 10; 1901 წ. 5, 6.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი 1917 წ. აპრ“. იქვე: „პროტოკოლური“ (თავი XIX, გვ. 9)“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ალ. ს-ზე ნეკროლოგი იხ. „ძველი საქართველო“, ტ. IV. ი. გრ“.

ხელნაკეთ თავფურცელზე: „ალ. სარაჯიშვილი (1851–1914). „ვეფხის ტყაოსნის“ ყალბი ადგილები „გაგრძელება, იხ. „ძველი საქართველო“, ტ. IV, გვ. 54“. იქვე დაკრულია ავტორის სურათი.

წიგნის ბოლოს: „ფსევდონიმები – ალ. ს-შვილი, რიმ-ბაბა“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ლურჯი ტანისამოსი სამგლოვიარო ფერიაო (გვ. 4. სულ ბოლოს წინ)“.

7655. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის პროფესორ კორნელი სამსონის ძე კვეციანი დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად – საიუბილეო კრებული. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ჩემი წერილი, გვ. 119. ი. გრ“.

გვ. 491. შინაარსში, ხაზგასმულია: „ი. გრიშაშვილი. თბილისის წარსულიდან. 119–128“.

7656. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი[ს] III სამეცნიერო სესია. 1961 წლის 10 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1961.

7657. საღარაძე მ. ჩვენი ახალი თაობა. კრიტ. მიმოხილვა. ქუთაისი, 1897.

7658. სახოკია თ. „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი. ამონაჭერი: ენიმკის მოამბე, III, 1938.

გვ. 275. წარწერა: „იროდიონ სონლულაშვილს სიყვარულის ნიშნად. თ. სახოკია. 1938. გიორგობისთვ. 2. დღ“.

7659. სახოკია თ. ორი ბიოგრაფია. 1. ეგ. ნინოშვილი. 2. სულხან ბარათაშვილი. – ამონაჭრები ჟურნ. „მომბე“-დან, 1895, № 12; 1896, № 7.

7660. სახსოვარი. მუშა-მწერლის გიგო ხეჭუაშვილის ოცდახუთი წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო გამართული მუშათა ზეიმი. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1924. 6/XI“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „გადააკვრინა“, არშიაზე: „რა? არაყი ალბად“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „ზაქარია კოტეტიშვილი“, მიწერილია: „ამან ააწყო ჩემი პირველი წიგნი „ვარდის კონა“.

7661–7662. [სვანიძე ა.] ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული. [თბ.], 1934.

თავფურცელზე ინიციალებს მიწერილი აქვს: „ალიოშა სვანიძე“.

7663. სოსელია გ. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. [სოხუმი], 1956.

7664–7665. სოსლანი დ. კრიტიკული განხილვა „ოთარანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა). ტფ., [1888].

კანზე: „ჩემს ერთგულს ძმობილს სილოვანს. ავტორისაგან“. მიწერილია: „თბილისში მხოლოდ საჯაროშია“. გამოც. ადგილზე „1888-ი. გრ“.

მეორე ცალის კანზე ავტორის ფსევდონიმის ქვეშ: „დავით კეხელი“.

7666–7671. სულავა ა. ლიტერატურული წერილები. [თბ.], 1940.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ქართული პოეზიის მშვენიერებას, შესანიშნავ ადამიანს იოსებ გრიშაშვილს ღრმა პატივისცემის ნიშნად. ალ. სულავა 30/X – 40. თბილისი“.

- ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილზე, გვ. 147“.
- 7672–7673. სულავა ა. ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი. [თბ], 1933.
- მეორე ცალის კანზე: „ამ წიგნის ბოლოში მინაწერებია – ასე ვიყიდე ი. გრ“.
- 7674–7675. სულავა ა. წერილები, თბ., 1957.
- კანზე „წერილი ჩემზე. ი. გრ“.
7676. სულხან-საბა ორბელიანი. 1658–1958, საიუბილეო კრებული. თბ., საქ. მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1959.
7677. სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებული. თბ., სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 1959.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ. 18/XII“.
7678. სუტნერი. უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე. [თბ, 1884]. – ამონაჭერი ჟურნ. „ივერია“-დან, 1884, № 11–12, გვ. 68–102.
- აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.
- ფორზაცზე: „1. უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. 2. ქართ. საეკ. ხელთნ... მხრივ. 3. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. ი. გრ“.
- გვ. 73. ხაზგასმულია: „თვით უკეთესი თარგმანი ლექსისა მშვენიერად ნაკერის მეორე პირს წარმოადგენს“, მიწერილია: „სარჩულს“.
- 7679–7680. ტატიშვილი ნ. და ხუციშვილი ს. ფრაგმენტები. სენატორი გიორგი იასეს-ძე ერისთავი. თბ., 1942–ამონაჭერი: ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის შრომები, 1942. ტ. 2. გვ. 165–173.
- გვ. 165. წარწერა ლექსად: „სოსო.  
 კარგ სახსოვარად გქონდეს ეს წიგნი,  
 ნიშნად პატივის, სიყვარულისა,  
 გაგახსენებდეს ჩვენს სახეს იგი,  
 ეს ამოსუნთქვა კარგი საქმისა.  
 ვინ იცის კიდევ სადღა შევხვდებით,  
 სადღა ვიყნოსავთ ამ ხელნაწერებს,  
 ვინ იცის საით წამოგვეწევა  
 სურვილი ხილვის წინაპრებისა.  
 ცხოვრების შვილდმა გაშალა ფრთები,  
 და ერთმანეთი ჩამოგვაცილა,  
 დე, სიყვარულით შენაერთები  
 ჩვენი გულები, გითხრას ამ წიგნმა.“
13. VI. 42. ს. ხუციშვილი“.
- გვ. 167. დევს ქალაღდის ნაჭერი მინაწერით: „ანეგდოტი გ. ევსევ-ძე. ერისთავზე, იხ. პ. იოსელიანის „იკორთის მონასტერი“, გვ. 82“.
- 7681–7684. [ტოროშელიძე მ.] მ. ტ-ძე. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი. სამტრედია, 1914.
- კანზე ავტორის ინიციალების ქვეშ: „მალაქია ტოროშელიძე“.
- მეოთხე ცალის თავფურცელზე: „ამ წიგნზე 1. იხ. ქარისტ. რაჭველიშვ. რეცენზ. 1912 წ. „დროებაში“ (სახალხოში წაიკითხა 1912). 2. იხ. ჩემი და ვ. გუნიას „მალა“, 1909, № 6, გვ. 12. აქ აკაკიზე წაიკითხა ი. გრ“.
7685. ტოროშელიძე მ. ქართული ლიტერატურა. მოხსენება საბჭ. მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე. 1934 წ. 20 აგვისტოს [თბ.], 1934.

კანზე: „ი. გრ. 1934. 20. X“. სათაურის ქვემოთ: „ჩემზე – გვ. 58 და 80“.

7686. ტოროშელიძე მ. ქართული ლიტერატურა. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1934.

გვ. 61. მოხაზულია აბზაცები, არშიაზე მიწერილია: „ზ. ანტ. , გ. სუნდ., ა. ცაგ“.

გვ. 62. მოხაზულია აბზაცები, მიწერილია: „სამშ“. „ღალ“.

გვ. 63. ბოლოდან მე-2 აბზაცზე მიწერილია: „ნ. შიუკაშვილი, ი. გედევანიშვილი და სხვა“.

7687. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა. თბ., 1939.

კანზე: „დუბ. ი. გრ. გვ. 11. მე“.

7688. ფანცხავა ი. „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის შესახებ. – ამონაჭერი. „საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“-დან, ტ. XI–ბ.

გვ. 185. წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს! გიძღვნი ამ მცირე ნაშრომს ნიშნად ჩემი შენდა უღრმესი მადლობისა იმ დიდი სიტკბოების გამო, რომელიც მე განმიცდია შენი ლექსებიდან ან რომელსაც დღემდე განვიცდი მოუყირჭებლად. დავშთები შენი მარადის პატივისცემით და მადლიერი. იაკობ ფანცხავა. 8/IX. 1941 წ.“.

7689–7690. ფერაძე ი. გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი. ისტ.-ლიტ. მონოგრაფია. ქუთაისი, 1919.

გვ. 75. ზ. ანტონოვზე მიწერილია: „ალბათ იმიტომ რომ დახეული ტანისამოსი ეცვა და ღარიბი იყო“.

7691–7694. ფიცხელაური რ. ქართული დრამატული მწერლობა. (კრიტიკული მიმოხილვა). ნაწ. 1. ტფ., 1928.

გვ. 5. ხაზგასმულია: „არაფერს არ წარმოადგენენ“, „იყვნენ“, (გ. ავალიშვილის მიერ ნათარგმნ პიესების შესახებ) არშიაზე: „რა იცი? წაგიკითხავს?“

გვ. 6. ხაზგასმულია: „სხვადასხვა ტრაგედიები“, მიწერილია: „რომელი?“

გვ. 11. ხაზგასმულია: „დატრიალდა ჯარა“ (ვოდვეილი)“, წერია არშიაზე: „თარგმანია?“

გვ. 58. ხაზგასმულია: „მეფე არლეკინი“ და არშიაზე მიწერილია: „რატომ აღარა წერს ვის უძღვნის ავტორი ამ პიესას?“

გვ. 60. ხაზგასმულია: „სახელგამის მიერ 1926 წ.“ საუბარი ეხება ნ. ნაკაშიძის დრამის „ვინ არის დამნაშავე?“ დაბეჭდვას, მიწერილია: „უფრო ადრე „გრდემლში“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „პატივც. პროფ. გ. ახვლედიანს სახსოვრად. რ. ფიცხელაური, 20/II – 32“;

კანზე: „ი. გრ. გვ. 49“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „ჰერეთის გმირები“ (მათრახის პანაშვიდი) – გადმოკეთებული დრამაა ოთხ მოქმედებად, მიწერილია: „ესეც გადმოკ“.

7695. [ფურცელადე ა]. ქერელი ბექა. ქართული ლიტერატურა. – ამონაჭერი „ცისკრი“-დან, 1863, № 7.

ხელნაკეთ კანზე: „ქერელი ბექა [ანტონ ფურცელადე]. ჩვენი მწერლობა. ილია ჭ-ძის „საქ. მოამბის“ საპასუხოდ. 1863 წ. „ცისკარი“, ივლისი, № 7, ივ. კერესელიძისა. სფირიდონ ჩიტორელიძე, გვ. 380“.

გვ. 380. ხაზგასმულია: „ჯიმშერიძისავით“, მიწერილია: „ილიას ფსევდ“.

გვ. 381. პირველ აბზაცზე მიწერილია: „გიორგი ერისთავი ხომ აქეს კარგი მოქართულეაო? „ცისკარი“, 1857, № 9 გვ. 47. ი. გრ“. აბზაცზე, სადაც „ამალათ ბეგის“ თარგმანზეა ლაპარაკი, მიწერილია: „ნაწილობრივად მართალია? „ამალათ-ბეგი“ ცუდათაა ნათარგმნი. ი. გრ“. ამის ქვემოთ ტექსტში ხაზგასმულია: „ამ ლოცვასთან ღმერთმა შეარცვინოს გელეთის დიაკვნის ლოცვა!“, მიწერილია: „P. S. რამდენად გ.

ერისთავი პიესებში მდაბიო ენით ლაპარაკობს, ისე იმის ნათარგმნები მოიკოჭლებენ.  
– ი. გრ“.

7696. ქარელიშვილი ე. ეკატერინე გაბაშვილი. თბ., 1955.

თავფურცელის მეორე გვერდზე: „ჩვენი დროის უშესანიშნავეს პოეტს, უკეთილშობილეს ადამიანს, მწერალთაგან ჩემთვის ყველაზე მახლობელს – იოსებ გრიშაშვილს უსაზღვრო პატივისცემით ერ. ქარელიშვილი. 16/III – 56 წ“.

7697. ქარელიშვილი ე. იროდიონ ევდოშვილი. თბ., 1951.

თავფურცელზე: „შესანიშნავ პოეტს, ლექსის ბრწყინვალე ოსტატს, უკეთილშობილეს ადამიანს-იოსებ გრიშაშვილს, ჩემი მისდამი ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად. ავტორი 25/I 51 წ“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: „1. მ. იმერლიშვილის წერილი „სასარგებლო წიგნი“ „სახალხო განათლება“-დან, 24. ოქტ. 1951. № 43. 2. გაზ. „სტალინელი“-დან (გორი), 1952 წ. № 3. 4. იანვ. დ. დავითაშვილის წერილი „მონოგრაფია იროდიონ ევდოშვილზე“. 3. ა. ბურთიკაშვილის წერილი „იროდიონ ევდოშვილი“, გაზ. – „კომ.“ 5 ივლისი, 1951 წ. № 156“. 4. ვლ. ტატიშვილის წერილი „На заре грузинской революционной поэзии, „Заря Востока“, 1951, № 218, 15 სექტ.“.

7698. ქარელიშვილი ე. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1959.

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „ჭეშმარიტად სახალხო მგოსანს, თავისი ერის სულის მესაიდუმლეს ცხოვრების შთამაგონებელ მომღერალს იოსებ გრიშაშვილს ე. ქარელიშვილისაგან. 30/V-59 წ“.

7699–7700. ქარელიშვილი ე. ნიკო ლომოური. ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1948.

თავფურცელზე: „იოსებ გრიშაშვილს – ჩვენი დროის უშესანიშნავეს პოეტს, ბრწყინვალე ადამიანს და ჩემთვის ყველაზე საყვარელ უფროს მეგობარს! ერ. ქარელიშვილი 25/V 49 წ“.

7701–7702. ქარელიშვილი ე. უკვდავი სიცოცხლე. შიო მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1960.

7703–7704. [ქარელიშვილი ე.] ასტვაცატუროვი ე. შიო მღვიმელი. ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი. თბ., 1947.

თავფურცელზე: „ლექსის ბრწყინვალე ოსტატს, მე-20 საუკუნის უთვალსაჩინოეს პოეტს, ხალხის საყვარელ ადამიანს – იოსებ გრიშაშვილს უზომო პატივისცემის გრძნობით უძღვნი ამ მცირე შრომას. ავტორი. 12/VI-47 წ“.

7705–7706. ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 5 ივლისი. გვ. 96. გვ. 60“.

გვ. 153. გვ. 181, 178, 179, 217, 154 ჩემი რეპლიკები – ი. გრ“.

უკანასკნელ გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი „მკითხველის“ წერილი „რა უნდა წავიკითხოთ. ქართველ მწერალთა ყრილობა. „მუშა“, 1926, № 1093, 13 ივლისი“.

კანის მე-4 გვ.: „49-71 – გამსახურდია; 58 – ბახტაძე; 89 – პ. ინგოროყვა; გვ. 151 – რიხტერი; 210. – ი. გედევანიშვილის პასუხი ტიცინისადმი; 191 – ლ. მეტრეველი; 132. ახნაზაროვი“.

7707–7710. ქართული ლიტერატურის ისტორია. ოთხ ტომად. თბ., 1954–1956.

ტ. 1. კეკელიძე კ. და ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურა (V–XVIII სს). თბ., 1954.

ფორზაცზე: „დიდი პატივისცემით პატ. აკადემიკოს ი. გრიშაშვილს ავტორები. 16–IX-54“.

ტ. 3. ქართული საბჭოთა ლიტერატურა. თბ., 1956.

- ფორზაცზე: „ი. გრ. 1956-8-VI. გვ. 130“.
7711. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. რედ. გ. ლეონიძე [და სხვ.] თბ., 1960.
- ტ. 1. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. 1960.
- ფორზაცზე: „დიდად პატივცემულს იოსებ გრიშაშვილს მეგობრული გრძნობით ავტორი. 1960-V. II“.
- 7712-7713. ქეთევან ირემაძე. კრებული. თბ., 1945.
- თავფურცელზე: „პოეტს და მკვლევარს ი. გრიშაშვილს მეგობრული გრძნობით შ. რადიანი. 1946 წ. 15/I“.
- 7714-7716. ქვარიანი ს. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. ქუთაისი, 1914.
- თავფურცელზე: „ჩვენს სახელოვან მგოსანს ი. გრიშაშვილს სახსოვრათ ავტორისაგან. 7/VII 1916 წ“.
- კანის მე-2 გვ.: „ეს მონოგრაფია პირველად დაიბეჭდა „მოამბე“-ში, 1903 წ., № VII და VIII. ი. გრ“.
- მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ძღვნად საყვარელ მგოსანს. გ. მსხილაძე. 5/III-56 წელი“.
7717. ქვლივიძე მ. ვეფხის ტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის. თბ., 1960.
- 7718-7719. ქიქოძე ბ. გაბასება ძველ ქართულ ლიტერატურაში. ბათუმი, 1952.
- ფორზაცზე: „საქართველოს სსრ სახალხო პოეტს, აკადემიკოს ი. გრიშაშვილს დიდი პატივისცემით ავტორი. 24 I 60“.
- მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 10 მაისი. ბათუმიდან“.
7720. ქიქოძე გ. ალექსანდრე ყაზბეგი. თბ., 1946.
7721. ქიქოძე გ. ეგნატე ნინოშვილი. – ამონაჭერი წიგნიდან: ეგ. ნინოშვილი თხზულებათა სრული კრებული. გ. ქიქოძის რედ. თბ., 1954.
7722. ქიქოძე გ. ეტიუდები და პორტრეტები. თბ., 1946.
- ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1946 წ. 1-IX“.
- ყდაზე სათაურის შემდეგ: „კრიტიკული წერილები ჩავაკარი“. გაზეთიდან ამოჭრილი წერილი „ლიტერატურული აზროვნების იდეურობისა და სიცხადისათვის“ მინაწერით: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., № 42, 31 ოქტ“.
- 7723-7724. ქიქოძე გ. ეტიუდები და პორტრეტები. მე-2 შევს. და შესწ. გამოც. თბ., 1958.
- ფორზაცზე: „ი. გრ. ა. ჭ-ძე, გვ. 94“.
- გვ. 95. ხაზგასმულია; „ფანჩატურში“, არშიაზე წერია: „თალარში. ი. გრ“. ხაზგასმულია: „ხარობ“, მინაწერი: „ხარობ. ი. გრ“.
7725. ქიქოძე გ. ვაჟა-ფშაველა. 1861-1915. თბ., 1946.
- 7726-7727. ქიქოძე გ. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1938.
- ფორზაცზე: „ა. ჭ. გვ. 111. P. S. შეცდომა. ა. ჭ-ძე 1804 წ. იბრძოდა რუსეთის სასარგებლოდ“.
- გვ. 111. პირველი აბზაცის რამდენიმე წინადადება ხაზგასმულია და არშიაზე წერია: „შეცდომა“. ამავე აბზაცში წინადადებაში: „საადისა და ვოლტერის თავყანისმცემელი ალექსანდრე ჭავჭავაძე“... ხაზგასმულია; „საადისა და ვოლტერის“ და გასწვრივ არშიაზე: „გაფიზის“.
7728. ქიქოძე გ. XIX საუკუნე. ნარკვევი ლიტერატურის ისტორიიდან. წ. 1. თბ., 1940.
- თავფურცელზე: იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით ავტორისაგან. 15. XI. 1941“.



კანზე: „იშვიათია – გასაყიდათ არ გამოსულა! ი. გრ. 1941. 15/XI“, იქვე: შეცდომა, 22“.

გვ. 9. მოხაზულია „ამირანდარეჯანიანი“, მიწერილია: „თუ „დილარიანი“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „არ მომკვდარა, არამედ ხანგრძლივ ძილშია“, მიწერილია: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძ“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „ამ წლის განცდებს“, მიწერილია არშიაზე: „1804 წელს ეკუთვნის და არა 1832 წელს. ი. გრ. იხ. ჩემი ა. ჭ-ძე“. გასწორებულია კორექტურული შეცდომები, მოხაზულია: „მკლავნი“, მიწერილია: „მკილავნი“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „მელტვი“, მიწერილია: „გიმოირბი“.

გვ. 26. მოხაზულია ლექსი და მიწერილია: „იხ. ჩემი წიგნი, დაწერილი ყაზალის ფორმით, გვ. 24“.

გვ. 27. მოხაზულია გრ. ორბელიანის დაბადების თარიღი „1800“, მიწერილია: „1804 წელი“.

გვ. 30. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ი. მეუნარ“.

გვ. 34. ხაზგასმულია: „ურითმო ლექსი“, მიწერილია: „სადაა ეს ურითმო ლექსი? მას მხოლოდ ერთი ლექსი აქვს ურითმო: „ფსალმუნი“.

გვ. 35. ხაზგასმულია: „მწვანილის დამტარებლებს“, მიწერილია: „მწვანილს არავინ არ ატარებს“.

7729. ქიქოძე გ. ნარკვევები. თბ., 1941.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 15/VII“.

7730. ქიქოძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბ., 1946.

7731. ქიქოძე გ. საბა სულხან ორბელიანი. 1658–1725. თბ., 1945.

7732. ქიქოძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე. თბ., 1947.

ყდის მეოთხე გვერდზე: „გვ. 158. ეს ლექსი („ნინო“) ბერანჟედან არის ნათარგმნი. ეს არც ავტორს აქვს აღნიშნული და არც რედაქტორს. გ. ქიქოძეს კი უნდა სცოდნოდა, რადგან იგი სახელმძღვანელოს ადგენს; გვ. 261 – „კონსტანტინე ბატონიშვილი“ დაბეჭდილია“.

ფორზაცზე: „ა. ჭ-ძე, 38; ა. ცაგარ., 235; ა. ყაზბ. 243; ჩემი გამოცემით“. ქვემოთ: „ი. გრ. 1947. 20. VI“.

გვ. 91. ხაზგასმულია: „სრულიად მიუღებელია პლატონ იოსელიანის აზრი... თითქო გ. დ. ერისთავმა დაბადა ენა ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვის. გიორგი ერისთავის ენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახალი ლიტერატურული ენის ნიმუშად ჩაითვალოს“, მიწერილია: „პლატონი ამბობდა დიალოგებზე“.

გვ. 158. პირველი აბზაცის სტრიქონები ხაზგასმულია და არშიაზე მიწერილია: „ეს ბერანჟედან არის ნათარგმნი“.

გვ. 184. ხაზგასმულია ავ. წერეთლის პირველად „შემოდებული“ სიტყვები: „გაიძვერა, ბობოლა, შეხმატკბილება, გასხივცისკრება“, მიწერილია: „ილია ზურაბიშვილმა აღნიშნა პირველად“.

7733. ქიქოძე გ. წერილები ხელოვნებაზე. [თბ.], 1936.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1936. 10. X“. იქვე: 1. ბარათაშვილის სურათი, 6“.

გვ. 6. ხაზგასმულია ადგილი, ლაპარაკია მიხ. თუმანიშვილის მიერ ფანქრით დახატულ ნ. ბარათაშვილის სურათზე, რომელიც 1916 წ. გაზ. „საქართველო“-ში დაიბეჭდა, მიწერილია: „სხვაგან არსად არ დაიბეჭდა? მის „თხზულებანში“ უფრო ადვილად არ მოძებნის მკითხველი? ი. გრ“.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ვ. სიდამონიძის წერილი „საჭიროა შეცდომათა გამოსწორება“ მინაწერით: „კომ. განათლება“, 1937, 18 დეკემბ., № 118“. 2. ბ. ჟღენტის

წერილი „რამდენიც პარადოქსია, იმდენი შეცდომა“, მიწერილია: „ლიტ. საქართველო“, 1936 წ., № 21“.

7734. ქიქოძე პ. ლიტერატურული საქართველო. წ. 2. კრიტიკული წერილების კრებული. 1927-33. თბ., 1934.

7735. ქორიძე დ. ხალხთა მეგობრობის ასახვა ქართულ ლიტერატურაში. თბ., 1957.

თავფურცელზე: „ქართული კულტურის მოამაგეს დიდად პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს უძღვნი ამ მცირე ნაშრომს. ავტორი. 13/III-57 წ“.

კანზე: „ჩემზედაც! ი. გრ“.

გვ. 47-48. მოხაზულია ადგილები, რომლებიც ი. გრ. შეეხება.

7736. ქუთელია ა. ვაჟა-ფშაველა – მოაზროვნე და ჰუმანისტი. თბ., 1947.

წიგნში დევს ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. პ. შარიას წერილი „მოკლე განმარტება“ მინაწერით: „კომ“. 1947 № 108, 31 მაისი“. 2. ბ. ჟღენტის წერილი „ახალი წიგნი ვაჟა-ფშაველაზე“ მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1947 წ., № 17, 27 აპრილი. ი. გრ“. 3. ბ. ნანიტაშვილის წერილი „შენიშვნები“ მინაწერით: „1947, № 86, 27 აპრილი. ეს წერილი და ბ. ჟღენტის წერილი გამოვიდა ერთსა და იმავე დროს“.

7737. ქუთელია ა. ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. კრიტიკული შენიშვნები. თბ., 1945.

თავფურცელზე: „გამოჩენილ პოეტს და შესანიშნავ ადამიანს – ძვირფას სოსოს სიყვარულით. 16. XI. 45 წ. თბილისი. ავტორისაგან“.

გაზეთიდან ამოჭრილი ალ. ბილანიშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „საბჭოთა მასწავლებელი“, 1945, № 2“.

7738. ღვინიაშვილი ა. ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა. 1883-1917 ტფ., 1934.

კანზე: „ნ. ლომოური, გვ. 81“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1934. XI/IX“.

გვ. 81. ტექსტში ხაზგასმულია: „ნ-რის ლექსის „პატიმარი“-ს დაბეჭდვას“... მიწერილია: „ნიკო ლომოური. ი. გრ.“

გვ. 95. ტექსტში ხაზგასმულია: „მიმქრალი“, მიწერილია: „ახოსპირ“.

გაზეთიდან „კომუნისტ. განათლება“, 1934, № 26, ამონაჭერი ლ. ჭიჭინაძის წერილი ამ წიგნზე.

7739. ღვინიაშვილი ა. ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა. თბ., 1966.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილზე, 15-18“.

7740. ღლონტი შ. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა. სოხუმი, 1961.

ფორზაცზე: „ჩემს საყვარელ მგოსანს ი. გრიშაშვილს ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით შ. ღლონტი, 1. X. 1961. სოხუმი, გოგოლის ქ. № 44 ტელ. 32-59“.

7741. ღლონტი შ. ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე. სოხუმი, 1955.

ფორზაცთან ჩაკრულია წერილი: „15. XI. 56. ქ. სოხუმი.

პატივცემული ბ-ნო იოსებ!

ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიგზავნით შ. ღლონტის წიგნს. რაც შეეხება ინსტიტუტის „შრომებს“, დირექტორმა თითონ ითავა „მე გაუფგზავნიო“! პატივისცემით და მოწიწებით გართმევთ ხელს ლეილა დადიანი. P. S. თქვენს ბარათს სასოებით შევინახავ, ერთი მაქვს კიდევ ამგვარივე. ლ. დ.“.

გვ. 88. ლექსი „რა ქარმა გზარდა“, მოხაზულია და მიწერილია: „ა. ახნაზაროვი“.

გვ. 89. ლექსში „მე მახსოვს დედის თავშალი“ ხაზგასმულია: „ეხატა, ვეფხვავდა“ და მიწერილია: „მეხადა(?)“.

გვ. 111. ლექსში – „აღარც ქარი“ ხაზგასმულია: „ცეცხლი გასჩენია“ და მიწერილია: „ჩემგან: სიმებს ცეცხლი გასჩენია. ჩემგან: სიმებს „ცეცხლი ეკიდება“.

ფორზაცის მე-4 გვ. წერია: „სოხუმი ლენინის ქ. № 8 აფსახელგამი, ლეილა დადიანი“.

7742. ღლონტი შ. ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი. სოხუმი, 1957.

ფორზაცზე: „საყვარელ მგოსანსა და ადამიანს ი. გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. 9. V. 1957“.

7743. ყიფშიძე გ. ვასილ ბარნოვის ბიოგრაფია. ამონაჭერი წიგნიდან: ვ. ბარნოვი თხზულებანი. ტ. 1, ტფ., 1920.

ხელნაკეთ კანზე: „გრ. ყიფშიძე. ვასილ ბარნოვი. 1920 წლის გამოცემის წინათქმა“.

7744. ყიფშიძე გ. თ-დი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა. – ამონაჭერი ჟურნ. „მომხბე“-დან, 1895, № 10 გვ. 80–98.

7745. ყიფშიძე გ. სალიტერატურო მიმოხილვა. – ამონაჭრები ჟურნ. „მომხბე“-დან, 1896, № 1, 2.

შეკრულია წიგნად ი. გრ. მიერ.

გვ. 96. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „სოლომონ ზურგიელიძესია „კაცი, რომელიც იზადვის, იგივე კვდება ბოლოს“.

7746. ყუბანეიშვილი ს. ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში. თბ., 1953.

7747. ყუბანეიშვილი ს. დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში. თბ., 1955.

7748–7749. ყუბანეიშვილი ს. ვაჟა ფშაველა. დოკუმენტები და მასალები. [თბ.], 1937.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „მეგველოვები, გვ. 349. ვაჟას თარგმანი დაიბეჭდა „ივერიაში“, გვ. 419. „სამკლავიანი“ კურიოზი, 452; აკლია 1. გორის სალამო“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1937. 10/II, ვაჟა და კულა გლდანელი, 170. 1. ფოთის ამბები, გვ. 340. 2. ქუთაისის ამბები, 334 არ არის სწორი. 3. გორის ამბები. არ არის!!! (სალამოები?). 4. აკლია შენიშვნები და ლექსიკონი. 5. მიხ. გაჩე-ძე, 255, 242, 244, 248. 6. ვაჟა და გიტარა, 132. 7. ვაჟას წერილი ზ. ჭ-ნაძეს, 170. 8. შიოს იუბილე და ვაჟა, 326. 9. შეცდომა – „ენას გიწუნებ“, (გვ. 329). 10. ვაჟა და ლადო მესხიშვილი, 330. 11. ვაჟას წერილი „ჯეჯილისადმი“. 12. ალ. აბაშელმა ჩემი ეგზემპლარიდან გაასწორა გვ. 307. 13. ოვ. თუმანიანი. 401“.

გვ. 176. მოხაზულია სქოლიო ს. მგალობლიშვილის მოგონებიდან, სადაც ლაპარაკია თევზის ჭერაზე, მიწერილია: „ოჩხი“.

გვ. 305. მოხაზულია ვაჟა ფშაველას „წერილი რედაქციასთან“ („ჯეჯილის“), რომელშიც იგი საყვედურობს „უკანასკნელს „ჯეჯილი“-ს ნომერში ხუთი თუ ექვსი შეცდომის კორექტურული“-ო, არშიაზე: „ეს ჯეჯილი სად არის?“

გვ. 307. მოხაზულია სქოლიო, რომელშიც ლაპარაკია „ალუდა ქეთელაურის“ ვაჟასეულ ეგზემპლარსა და ალ. აბაშელის მიერ ამ ეგზემპლარის გამოყენებაზე ვაჟას ნაწერების გამოცემისას, არშიაზე მიწერილია: „ჩემი ეგზემპლარიდან გაასწორა“.

გვ. 318. ხაზგასმულია: „მალ. ბოლ-ძის სიტყვებიდან“, არშიაზე: „მალ. ბოლქვაძე“.

გვ. 320. 1-2 აბზაცის გასწვრივ: „1892 წელს თვალი დაეცხო?“

გვ. 326. მოხაზულია შიო მღვიმელის ბარათი ვაჟასადმი, არშიაზე: „შიოს იუბილე გაიმართა 14 იანვარს“.

გვ. 329. მოხაზულია ლექსი „აკაკის საიუბილეოდ“, არშიაზე წერია: „გაიგეთ, რომ აკაკის ლექსი დაბეჭდილია 1913 წელს და იუბილე 1908 წ. მოხდა!“

გვ. 331. ლექსში „ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ“, ხაზგასმულია: „რუსეთში წასვლაზე“.

გვ. 334. მოხაზულია აბზაცი ვაჟას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში მიწვევის შესახებ და მიწერილია: „ეს ნაწილი არ არის სწორედ გადმოცემული. (იხ. ჩემი რვეულები)“.

გვ. 340. მოხაზულია აბზაცები ფოთში ჩატარებულ ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული საღამოს შესახებ და გასწვრივ მიწერილია: „იხ. ჩემი პროგრამა“.

გვ. 341. ხაზგასმულია: „ახალგაზრდა პოეტი“, არშიაზე: „რ. ქორქია?“

გვ. 419. მოხაზულია: „ვაჟამ პირველი თარგმანი „იმედში“ დაბეჭდა, მიწერილია: „ივერიაში, 1880 №“.

გვ. 423. ვაჟა ფშაველას მოთხრობების გარე ყდის ილუსტრაციაზე მიწერილია: „პატარა წიგნი“.

გვ. 448. სამსონ ფირცხალავას წერილში ვაჟასადმი ხაზგასმულია: „სასყიდელს თეატრიდანაც მიიღებ და ჩვენ „საზოგადოებასაც“ გამოვაცემინებთ“, არშიაზე: „ჯერ თეატრში უნდა დაედგათ და მერე უნდა გამოეცათ“.

გვ. 451. ხაზგასმულია: „ანტონ გოგიაშვილი“, არშიაზე: „მხატვარი“.

გვ. 454. მოხაზულია ბოლო აბზაცი და არშიაზე მიწერილია: „იმ პოემისა თუ სხვისა?“

გვ. 456. მოხაზულია: „დრამისა“ (ფული სრულად მივიღე)“, მიწერილია: „მოკვეთილი“.

გვ. 458. მოხაზულია აბზაცი, სადაც ლაპარაკია „გველის მჭამელის“ გამოცემის შესახებ, არშიაზე მიწერილია: „წ. ს. გამოსც“.

გვ. 478. ხაზგასმულია: „გამოსცეს წიგნაკი“, არშიაზე: „გამოვიდა“.

წიგნის ბოლოს ცარიელ გვერდზე: „მანგანა, 295; ტომბახი, ფახაწი, 244, 245; ბოჩულა, 456“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. სერგი ჭილაიას მიმოხილვა „სოლ. ყუბანეიშვილი „ვაჟა-ფშაველა“, „ლიტ.-საქართ.“, 1937, № 17“. 2. მიმოხილვა „სოლ. ყუბანეიშვილი – „ვაჟა ფშაველა“ „ე. ა.“-ს ხელმოწერით – „მუშა“, 1937, 21/III“. 3. საგაზეთო ცნობა სოლ. ყუბანეიშვილის წიგნის გამოცემის შესახებ მინაწერით არშიაზე: „მუშა, 19 თებ., 1937, № 11“, 4. სოლ. ცაიშვილის რეცენზია გაზეთიდან „კომ. განათლება“. 5. ვ. ბუქურაულის მოგონება „ერთი შემთხვევა ვაჟას „ცხოვრებიდან“ ჟურნალიდან „პიონერი“, 1936, № 7, ივლისი“. 6. პ. წერეთლის „მცირე ცნობა“ ვაჟა ფშაველას ვლ. მესხიშვილის იუბილეზე მონაწილეობის შესახებ მინაწერით: „ლიტ. და ხელ“, 1945, 41, 5 დეკ“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „შეცდომა, გვ. 335“.

გვ. 334. ვაჟას ქუთაისში ჩასვლის შესახებ მიწერილია: „შეცდომა, 1910-ში იყო“.

გვ. 340. ფოთში 1912 წელს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საღამოს შესახებ მიწერილია: „მე ვსუფლიორობდი პეპოს, მგონი პროგრამა მაქვს“.

გვ. 342. ცნობას გორში 1915 წლის 17 თებ. გამართულ ვოკალურ-მუსიკალურ სალიტერატურო მეჯლისის შესახებ მიწერილი აქვს: „მე გავმართე. ი. გრ“.

გვ. 351. ო. შლინგის ვაჟა ფშაველას კარიკატურას მიწერილი აქვს: „მეგობრული შარჟი „ემშაკის მათრახიდან“.

7750. ყუბანიეშვილი ს. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე. თბ., 1940.

ყდის მეორე გვერდზე „ვაჟას თარგმანები: ჰეინეიდან, გვ. 36; უიდა-დან, 60; პოლონურიდან, 18; ოსტროვსკი, 12; კრემლოვი, 67; შილერი, 67; ედგარ პო, 60; ლერმონტ. – 41; ქალის თმა, გვ. 159; საქართველოს ოცნება, გვ. 151“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1940. 15/IV“. ქვემოთ: „1. ჩემი ლექსი – გვ. 171, 204, 208 და სხ. 2. ოსტროვსკი თარგმნა, გვ. 12. 3. იცნობს კოლცოვს, 15. 4. „ჭინჭარი“ ჟურ., 75. 5. ქართ. კულტ. საზ., 77. 6. ოვ. თუმანიანი და ვაჟა, 85. 7. ა. ახნაზაროვის და ვაჟას ენა, 231. 8. ჟ. „ნიავი“, 66. 9. ილია ჭ-ძის საღამო ქუთაისში, 71, 72“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. შეცდომები: 1. გვ. 18. 1. ვაჟას კერძო წერილები მეღანას მოგონებაში. („საქართველო“, 1915, № 66, 92)“.

თავფურცელზე სათაურის ქვეშ: „ვაჟა გარდაიც. 1915, 27 ივლისს, გვ. 93“.

გვ. 7. ხაზგასმულია ლექსის სათაური „ყარსის ბოლო“ და მიწერილია: „ეს ლექსი „იმედშიც“ დაიბეჭდა“.

გვ. 8. ხაზგასმულია: „ლ. რ-ზ-კ-ლი“-ს ფსევდონიმით“ ქვეყნდება ლექსი „დროება“ ჟურნ. „იმედი“, № 5, გვ. 29, გასწვრივ მიწერილია: „რა ლექსი?“

გვ. 18. ხაზგასმულია: „ივნისის 15 ქვეყნდება „ვაჟ-კაცის“ ფსევდონიმით პოლონურიდან თარგმნილი ლექსი „ხელოვნური პოეზია“, ჟურნ. „თეატრი“, № 24, გვ. 243“, მიწერილია: „ხელოვნური პოეზია“ ვაჟას ლექსის სათაური კი არ არის, არამედ ის საერთო სათაურია რედაქციის მიერ გამოგონილი. ი. გრ“.

გვ. 38. ხაზგასმულია: „ნოემბრის 20. ქვეყნდება წერილი – „ივერია“, № 201 და „მეველე“ (წერილი რედაქციისაგან), ჟურნ. „კვალი“, გვ. 12–14“ და მიწერილია: „ეს წერილი ეხება სტუდენტურ ვალს. ი. გრ“.

გვ. 40. ხაზგასმულია: „ქვეყნდება წერილი „Pro domo, sua“, გაზ. „ივერია“, № 43. გვ. 3“ და არშიაზე: „ეს წერილი ეხება გავლენის საკითხს. ი. გრ“.

გვ. 58. ხაზგასმულია: „ივერიის ბიბლიოთეკა“, მიწერილია: „კრებული“.

გვ. 66. მოხაზულია აბზაცი ვაჟას პოემის „ღილა და კვირისა“, კრებულ „ნიავესა“ და „ცრემლებში“ გამოქვეყნების შესახებ, არშიებზე: „1. „ნიავი“ მე მაქვს. 2. ეს ჩემი ნაამბობიდანაა. ი. გრ“.

გვ. 67. ხაზგასმულია: „ქვეყნდება თარგმანი „გამოთხოვება“, მიწერილია: „შილერი“.

გვ. 71. მოხაზულია აბზაცები, რომლებიც 1910 წელს ქუთაისში გამართულ ილია ჭავჭავაძის საღამოზე ვაჟას მონაწილეობას და მის ლექსს „ილიას საღამო“ შეეხება და არშიაზე მიწერილია: „მეც ვიყავი თბილისიდან მიწვეული ქუთაისში ვაჟასთან ერთად. ი. გრ“.

გვ. 72. ხაზგასმულია: „ნოემბრის 6-ს ქვეყნდება ვ. „ქურდის თავზე ქუდი იწვის“ (ილ. ჭავჭავაძის საღამოს გამო ქ. ქუთაისში). გაზ. „სახალხო გაზეთი“, № 151, გვ. 3“, არშიაზე მიწერილია: „აქ მეც ვიყავი. ი. გრ“.

გვ. 75. ხაზგასმულია სქოლიოში: „ჭინჭარი“ ვერსად ვიპოვეთ. თ. სახოკიას ცნობით ეს ლექსი [„სიმღერა“] საადღგომო №-ში ყოფილა მოთავსებული“, არშიაზე: „მგონი მე მაქვს“.

გვ. 84. ხაზგასმულია: „სტუმრად იმყოფება ნ. ნათიძესთან... არშიაზე: „იხ. „საქართველო“, 1915, № 66, 92. ი. გრ“.

გვ. 98. ვაჟას ფსევდონიმებში ხაზგასმულია: „7. ლ. კათაკმეველი“ და მიწერილია: „კორესპ. ხაზმატიდან“. იქვე მიწერილია: „18. ვაჟა-ფშაველა, იხ. „თეატრი“, 1885 წ.“

გვ. 114. მოხაზულია: „ლერმონტოვისა [„ქაჯი“] და არშიაზე მიწერილია: „ქალის თმა. იხ. „ცრემლები“, 1909, 31. ი. გრ“.

გვ. 124. ხაზგასმულია „Свадьба соек“ და „Рассказ детеныша козули-пер. М. Цицишвили“ და მთარგმნელის გვარის წინ ჩამატებულია: „მარო“.

გვ. 148. ხაზგასმულია: „8. წარწერა ბიძინას ხანჯალზე“, მიწერილია გასწვრივ: „მერკვილაძე“.

გვ. 152. თავში: „ვაჟას არქივი“, ხაზგასმულია: „ლიხის მთას გადავებეტე“, არშიაზე: „1910 წ. იყო! (?) ი. გრ“.

გვ. 154. ხაზგასმულია ქვესათაური: „II. ვაჟას ნაწერები“ და მიწერილია: „აქამდის რაც იყო ის ვაჟას ნაწერები არ იყო?“

გვ. 155. მოხაზულია ვაჟას თარგმანები და მიწერილია: „4 სიზმარი ვნახე. იხ. გვ. 151“.

გვ. 156. ხაზგასმულია: „საქ. მწერალთა კავშირის სამგლოვიარო აფიშა“, იქვე მინაწერი: „როდის?“

გვ. 161. მოხაზულია დასათაურება: „როდის რა დაიწერა ვაჟა ფშაველაზე“, მიწერილია: „აკვლია ბევრი!“ ტექსტში: „კავთელი ი.“, მიწერილია: „ჯაჯანაშვილი, ივ“.

გვ. 163. ხაზგასმულია „ივერიის“ ცნობა, რომ ი. იმედაშვილი ბეჭდავს ვაჟას პოემას „ჰაოს და ქართლოს“, გაზ. „ივერია“, № 116“, მიწერილია: „1899“. ხაზგასმულია: „გაზ. „Тифлисский листок“, № 1, სადაც დაბეჭდილია: „Иван-да Мария [ტხორჟევსკი] из стихотвор. Важа-Пшавела“, გასწვრივ მიწერილია: „დამატება თუ გაზეთი? ის დამატებაა და არა გაზეთი. „Тиф. лист.“-ის სურათებიან დამატებაშია დაბეჭდილი ვაჟას ლექსი. მთარგ. შენიშვნით. ი. გრ“.

გვ. 164. ხაზგასმულია: „ისტორიკოსი“, ქვეშ მიწერილია: „ირეთელი?“ ხაზგასმულია: „შ-ლი, „ა“. არშიაზე „ა. შანშიაშვილი“. ხაზგასმულია: „სან-ინ-ვინ“, არშიაზე მიწერილია: „სანდრო შანშ. ი. მჭედლიშ. ვალიკო გუნია“.

გვ. 166. მიწერილია: „1910. ვაჟაზე. ილიას სადამოზე გამოსვლის გამო ქუთაისში“.

გვ. 167. ხაზგასმულია: „გ-რი, ი.“ არშიაზე: „ივ. გომელაური“. ხაზგასმულია: „აბაშისპირელი, კ.“, არშიაზე: „კ. გამსახურდია“. ხაზგასმულია: „ახალციხელი, გ“. არშიაზე: „გ. სალარიძე“. ხაზგასმულია: „განდეგილი“, მიწერილია: „დომინიკა ერისთავი“.

გვ. 168. ხაზგასმულია: „ისო“, არშიაზე: „ის. კვიციანიძე“. ხაზგასმულია: „აბულაძე, ს.“, არშიაზე: „აბულაძე სავლე“.

გვ. 169. ხაზგასმულია: „ანაშვილი, მ“, არშიაზე: „მიხ. ღვამიჩავა“.

გვ. 179. ხაზგასმულია: „მოსაშვილი“, მიწერილია: „ილო“.

გვ. 180. ხაზგასმულია: „პატარა კაცი“ (ავტორი: სამგლოვიარო წერილი, გაზ. „სამშობლო“, № 146, 1915), გასწვრივ მინაწერი: „გოგი“. ხაზგასმულია: „სანგანიძე“, არშიაზე: „სანდრო გძელიშვილი“.

გვ. 187. ხაზგასმულია: „ქნარი“, არშიაზე: „იოს. გვანცალაძე“. ხაზგასმულია: „ღვანკითელი, ვ“, არშიაზე: „ვარდენ ყიფიანი“.

გვ. 199. ხაზგასმულია: „ვარამ გაგელი“, მიწერილია: „ტ. ტ-ძე“.

გვ. 206. ხაზგასმულია: „ფარსადანი“, არშიაზე: „ს. ფშალიშვილი“.

გვ. 231. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „ნაბოლარას“, არშიაზე: „შ. დავითაშვილი. ი. გრ“.

გვ. 252. პოემის სათაურის „ჰაოს და ქართლოს“, გასწვრივ: „იხ. გვ. 163“.

გვ. 263. მოხაზულია სქოლიო, სადაც ნათქვამია, რომ პოემა „ჰაოს და ქართლოს“ ვაჟას ცალკე წიგნად გამოსაცემად გადაუცია იოსებ იმედაშვილისათვის, არშიაზე:

ერთი წიგნის გარეკანზე ი. იმედაშვილი აცხადებდა: „მალე გამოვა „ჰაოს და ქართლოს“.

ბოლო ფორზაცზე: „1. „ვაჟას თარგმანები, გვ. 155. 2. ვაჟას ფსევდონიმები, 99“.

წიგნში ქალაქის ნაჭრები მინაწერებით: „1. კიტა ვაჟას სიმბოლოელს უწოდებს, იხ. „ივერია“, 1896 წ., № 13. 2. 1883 წლის დასაწყისში დავწერე „შვლის ნუკრის ნამბობიო“ – ჩემი ფსევდონიმებია ლ. რ-ზ. ლ. ზ-რ. კათაკმეველი; (კორესპონდ. „დროება“. 1880, № 189. ხახმატი.). იხ. ვაჟას წერილი „პრო დომო სუა“ „ივ“, 1896, № 43. 3. ვაჟა მომრიგებელი შუამავალი, გვ. 69. პოეტ ვაჟა ფშაველამ პირადი თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნატორს, რათა მან დანიშნოს ის მომრიგებელ შუამავლათ თიანეთის მაზრაში, სადაც ის აღიზარდა და ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას დაახლოებით იცნობს, იხ. გაზ. „მომავალი“ [სოც. დემოკ. ორგანო] 1909 წ., № 94, 18 დეკემბ. მე-II გვ. ი. გრ“.

გვ. 20-21 შორის ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ნობათში“ დაბეჭდილ ვაჟა ფშაველას... [აქ ერთი სიტყვა გაურკვეველია] (ლ. რაზიკაშვილს) აუგად იხსენებს „თეატრი“, 1886, № 2, გვ. 16. (ივ. კავთელის წერილია)“.

ყდის მესამე გვერდზე სოლ. ცაიშვილის რეცენზია ამ წიგნის შესახებ მინაწერით: „კომ“, 1941, № 5, 7 იანვარი“.

წიგნში ფურცელი მინაწერით: „ორლეანელი ქალი“. ვაჟას „ორლეანელი ქალის“ თარგმანის გამოცემის გარშემო. იხ. ს. ყუბანიშივ. „ვაჟა-ფშაველა“, 1937 წ. გვ. 446“.

7751. ყუბანიშივილი ს. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა. თბ., 1959.

7752. ყუბანიშივილი ს. ნინოშვილის ათეიზმი. ტფ., 1934.

7753. ყუბანიშივილი ს. სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში. (V–XII სს.) თბ., 1942.

თავფურცელზე: „პატ. ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 15. IX. 42. წ“.

7754. ყუბანიშივილი ს. ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი. (მასალები). თბ., 1961.

7755–7756. შალვა დადიანი. (1874–1923). [ტფ., 1923].

კანზე: „უცნაურ, ჩემი გულის ახლო მგოსანს, საყვარელ სოსო გრიშაშვილს. შალვა. II–3.23 წ“. იქვე: „შეადგინა შ. აფხაიძემ“.

თავფურცელზე: „ბოლოში სურათია. ი. გრ“.

გვ. 63. შენიშვნაში ხაზგასმულია: „კეთროვნებით“... და მიწერილია: „ამ სიტყვის ვითარება ვერ გაუგია ჩვენს ცენზორს. ი. გრ“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „იხ. კურიოზი ბოლოში. ი. გრ. 1923 (?)“.

7757. შალვა დადიანი. 1893–XLV–1938. კრებული თბ., 1939.

7758. შარაშენიძე ე. ქართული მწერლობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. თბ., 1959.

კანზე: „გორკი ქართულად, გვ. 58; ს-ა-სამსონ ფირცხალ(ავა) გვ. 31; ჩემგან „აკაკი და ხუმარა“, გვ. 9“.

გვ. 31. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „ს-ა („ნიშადური“, 1907 წ. № 2)“, არშიაზე წერია: „სამსონ ფირცხ [ალავა]“.

გვ. 39. ხაზგასმულია: „შალვა შარაშენიძე“, მიწერილია: „თაგუნა“.

გვ. 49. ბოლოს ხაზგასმულია ცნობა თუ სად დაიბეჭდა ლექსი („მიწა“, 1907, № 9)“. „მიწა“-სთან კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ნიშადური?“

7759–7762. შარაშენიძე ე. მებრძოლი ფიქრის პოეტი ნ. ბარათაშვილი. (მოწაფეთათვის). [თბ., 1920].

7763. შარია პ. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები. თბ., 1947.

7764. შატბერაშვილი გ. ნაფიქრი. [ლიტ. წერილები. მხატვრ. ნარკვევები]. თბ., 1959.

7765. შოთა რუსთაველი სკოლაში. კრებული. თბ., 1937.

წიგნში დევს დეპეშის შავი, ი. გრ. ავტოგრაფი, გაგზავნილი აკაკი ფაღავას სახელზე. „თბილისი ძნელადის 32. ჩემო აკაკი, ვწუხვარ რომ ვერ დავესწარი შენს ზეიმს ავადმყოფობის გამო; გულით და სულით შენთან ვიყავი, შენი მოღვაწეობა დაუფასებელია. იცოცხლე დიდხანს და დიდხანს ჩემო საყვარელო და დაუვიწყარო კარგო აკაკი. სოსო გრიშაშვილი. ლენინის ქ. № 20“.

7766. შოთა რუსთაველის გარშემო. კრებული. თბ., 1927.

ი. გრ. მიერ აკინძულია წიგნად 4 წერილი: 1. კ. კეკელიძე „რუსთაველიანა“; 2-3. პ. ინგოროყვა „რუსთაველიანაზე“. 4. კ. კეკელიძე „კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო“.

ხელნაკეთ თავფურცელზე: „შოთა რუსთაველის“ გარშემო.

1. კ. კეკელიძე („მნათობი“, 1927, № 2). 2. პ. ინგოროყვა („მნათობი“, 1927, № 3, 4). 3. კ. კეკელიძე („მნათობი“, 1927 წ. № 5-6)“.

7767. შუმანია ე. გალაკტიონ ტაბიძე. [ცხოვრება და შემოქმედება]. თბ., 1956.

7768. ჩავლეიშვილი ა. ილია ჭავჭავაძე – ლიტერატურის თეორეტიკოსი. ბათუმი, 1939.

7769–7770. ჩავლეიშვილი ა. ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ბათუმი, 1960.

ფორზაცზე: „ქართველი ერის სასახელო სახალხო პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს გულითადი პატივისცემით ავტორი. 1960 წ. 29 აპრილი. ქ. ბათუმი“.

იქვე: „განთიადი. მე-გვ. 194; „ქართვ. დედა“, 131. ი. გრ“.

7771. ჩავლეიშვილი ა. ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები. ბათუმი, 1962.

ფორზაცზე: „პოეტ აკადემიკოს ი. გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით. ავტორი. 6/1 63 წ. ქ. ბათუმი“.

წიგნში დევს მადლობის დეპეშა გამოგზავნილი ავტორისაგან ქ. ბათუმიდან ი. გრიშაშვილის სახელზე.

7772–7773. ჩავლეიშვილი ა. ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ბათუმი, 1949.

შმუცტიტულზე: „გულითადი პატივისცემით პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 15. V-49 წ. ქ. ბათუმი“.

ყდის მეორე გვერდზე წერილი: „პატივცემულო ალექსანდრე! მივიღე თქვენი წიგნი. მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. ის უკვე შევიტანე ჩემი წიგნების ნუსხაში, ერთი კორექტურული შეცდომა შევამჩნიე. გვ. 42. მითითებულია „აკაკის თხზულებანი ტ. IV, პ. ინგოროყვას რედაქტორობით“ ხოლო გვ. 62-ზე მითითებულია „აკაკის თხზულებანი ტ. III“. ისე გამოდის, რომ თითქოს III ტომს რედაქტორი არ ჰყავდეს: უნდა მეთქვა, რომ მესამე ტომს რედაქტორი ჰყავს. ეს რედაქტორი მე ვარ... და არც თუ ისე იოლი ჯაფა გამიწევია ამ მასალების აღმოჩენაზე, ტექსტის დადგენაზე, არხივში ნაპოვნ სხვადასხვა თარიღებზე და ერთი (მაგ. „თორნიკე ერისთავის“ სრული რედაქცია აღდგენილია ცენზურის მიერ დაკავებულ სტრიქონების მიხედვით) მე მგონი ამ III ტომის რედაქტორი ღირსი იყო, რომ არ გამოგპაროდათ. ახალგაზრდობამ უნდა აიღოს ივანე ჯავახიშვილის მაგალითი, ის მეკარესაც არ გამოსტოვებდა ხოლმე, თუ ის რომელიმე სიტყვის ფუძეს მიაგნებინებდა. ეს საყვედური მართო შენად არ მიიჩნო ამ საკითხზე საზოგადოთ



გაბრაზებული ვარ და შენზე ვიყარე ბოდმა. 1949-29-V ი. გრ“. ეტყობა ი. გრიშაშვილს წერილი არ გაუგზავნია ადრესატისათვის.

ფორზაცზე: „შრომა, 62“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „მეგობარ პოეტს, ი. გრიშაშვილს. პ. რურუა. 10/XI 49 წ. ბათუმი“.

7774. ჩანტლაძე ვ. სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები. თბ., 1959.

თავფურცელზე: „გამოჩენილ ქართველ პოეტს, ჩვენ საყვარელ პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. II XII 59.“

7775–7776. ჩიქოვანი მ. აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება. თბ., 1958.

კანზე: „გვ. 44. ი. გრ“. და გვ. 44 სქოლიოში ხაზგასმული და მოხაზულია: „შემოკლებული თარგმანი. იხ. ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტ. ბოჰემა“, გვ. 7, 1928“.

გვ. 14. მოხაზულია ლექსი „ხომალდში ჩავჯექ“ და მიწერილი არშიაზე: „ია კარგ“.

გვ. 15. მოხაზულია ლექსი „შენს ლოყას ვარდი ჰყვავდა“... და მიწერილი: „ია კარგარეთელი“.

7777–7778. ჩიქოვანი მ. დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია. თბ., 1955.

კანზე: „ი. გრ. საინტერესოა!“

7779. ჩიქოვანი მ. ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია. თბ., 1956.

7780. ჩიხლაძე ნ. დომინიკა ერისთავი. (განდეგილი). მონოგრაფია. თბ., 1960.

ფორზაცზე: „საყვარელ მგოსანს ჩემს დიდ მასწავლებელს სოსო გრიშაშვილს! ავტორისაგან 17, I, 61 წ.“

გვ. 29. მოხაზულია შ. მღვიმელის ლექსის სტროფი და მიწერილია: „აკლია“.

7781–7782. ჩიხლაძე ნ. ვაჟა მოგონებებში. [თბ.], 1957.

კანზე: „ომახიანად? დაგვიხვდა-გვ. 25“.

7783. ჩხეიძე ნ. ლიტერატურული წერილები. თბ., 1961.

7784. ჩხეიძე ო. ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. თბ., 1950.

კანზე: „რეცენზიით“. იქვე: „ი. გრ. ჩემი ლექსი, გვ. 67“.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამონაჭერი ვ. ბაიადის რეცენზია სათაურით „დიდმნიშვნელოვანი თემა“. ტექსტში ხაზგასმულია: „ი. გრიშაშვილის „ციტრუსები უკრაინაში“, არშიაზე მიწერილია: „ახალგ. კომ“; 1950, № 111, 21 სექტ“.

7785. ჩხეტია შ. ისტორიული საბუთები იროდიონ ევდომვილის შესახებ. [ნარკვევი]. ტფ., 1939.

თავფურცელზე: „სოსოს, მეგობრული სალამით. შალვა ჩხეტია. 29. 1. 40“.

7786–7787. ჩხეტია შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნაწ. 1. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. თბ., 1945.

თავფურცელზე: „სოსოს, მეგობრული სალამით ავტორისაგან. 7. III. 46“.

ამონაჭრები: 1. გაზეთიდან ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ მინაწერით: „ახალგაზრდა კომ“, 1946, 9 მარტი“. 2. ჟურნალიდან შ. გოზალიშვილის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ მინაწერით: „მნათობი“, 1946, № 4“. 3. გაზეთიდან ლ. ასათიანის წერილი „ახალი მასალები ნ. ბარათაშვილზე“ მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1946, № 22, 25 მაისი“.

7788. ცაიშვილი სარგ. ბესიკი. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. თბ., 1962.

7789. ცაიშვილი სარგ. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. თბ., 1957.

7790. ცაიშვილი სოლ. კოწია ერისთავი. მონოგრაფია., თბ., 1958.

7791. ცაიშვილი სოლ. ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. თბ., 1947. – ამონაჭერი. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1.

თავფურცელზე: „სოსო გრიშაშვილს – ლამაზ პოეტს და არქივებისაც პოეტურად გამქიქებელს. – მეგობრობისათვის. ავტორი 10–IX-47“.

ფორზაცის პირველ გვერდზე: „ვასო აბაშიძე და ვასო თუმანოვი და მისი ცოლი, გვ. 216; ვახტანგ ორბ. ლექსები, 225; მაჭახელაძე – გ. წერეთლის ფსევდონიმი, 285; ივ. მაჩაბელი და ე. ჭ-ძე, 222; სარა მეიფარიანი, 216. „სირინოზის ხმანი“.

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „203 „ტყუილი“, 205; „თამარ ცბიერი“, 215; ხეკაცი, 224. 285 გვ. შეცდომაა, უნდა იყოს სერგი გორგაძე; ყასიდად 244; ჰამმა-გვ. 240; პაჟარნი-155; ზაჰლა, 146; ქოჩაკიძის „დედის დარიგება“ და სტ. ძიმისტარაშვი. 246 და 286; ბარნოვის ენა, 161; ნინო ჟორდანია, გვ. 239“.

გვ. 167. ხაზგასმულია შენიშვნა: „1933 წ. გამოვიდა ი. გრიშაშვილის მიერ შეკრებული „აკაკის მოსწრებული სიტყვები“, არშიაზე მიწერილია: „ორხელ“.

გვ. 170. შენიშვნაში მოხაზულია: „გაზ.“, მიწერილია: „ჟურნ. ი. გრ“.

გვ. 216. დავით ერისთავის წერილში იონა მეუნარგიასადმი ხაზგასმულია: „სარა“, არშიაზე წერია: „სარა მავო ხომ არ არი?“ გადახაზულია „მავო“ და ქვეშ მიწერილია, „სარა, მეიფარიანი ხომ არ არის? ამავე გვერდის პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „მოისმის ხმა სირინოზის ჩვენის სარასი“, არშიაზე მიწერილია: „მავო? სქოლიოში ფანქრით: „P. S. სარა (მეიფარიანი) ულამაზესი ქალი იყო. საზოგადო მოღვაწე. ეშმაკი და ჭკვიანი. ი. გრ“.

გვ. 238. ხაზგასმულია: „კაკაბაძე, სერგი, დავითა“, სერგის ქვეშ მიწერილია: „გორგაძე“.

გვ. 239. მე-2 აბზაცში ხაზგასმულია: „ჩემმა გიგომ უმზითვო ქალი შეერთო“, მიწერილია: „ნინო ჟორდანია“.

გვ. 240. ალ. სარაჯიშვილის ბარათში ი. მეუნარგიასადმი ხაზგასმულია სიტყვა: „ჰამმა“, მიწერილია: „მაგრამ (სომხ.)“.

გვ. 278. ხაზგასმულია: „მარკოვი-მწერალი, „ოჩერკი კავკაზას“ ავტორი“, არშიაზე: „ეს მარკოვი, სხვა მარკოვია. ი. გრ“.

გვ. 285. შენიშვნაში მოხაზულია: „კაკაბაძე“, მიწერილია: „გორგაძე“. ე. ი. უნდა იყოს სერგი გორგაძე.

გვ. 286. ხაზგასმულია: „ივანე ელიზბარის-ძე მოსიძე – დედით ბიძა ჭალადიდელისა“, არშიაზე მიწერილია: „ეს წერილიდანაც ჩანს (შენ რას დაუმატებდი?)“.

ბოლო ფორზაცზე: „ნინო ჟორდანია (...) გვ. 239; მარკოვი, 210, 242“.

გვ. 170–71 შორის დევს გაზეთ „ბრძოლის“, 1947 წ. 18 სექტ. ნომერი. აღნიშნულია წერილი „ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“.

7792. ცაიშვილი სოლ. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1962.

7793. ცაიშვილი სოლ. ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა. თბ., 1948.

7794. ცაიშვილი სოლ. სემინარიელის დღიურები. [ი. მეუნარგიას დღიურების პუბლიკაცია] – ამონაჭერი: ლიტერატურის მატთანე, 1942, № 3-4.

7795. ცანავა ა. ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია 1905–1907 წლებში. თბ., 1956.

გვ. 191. ე. ბარატინსკი ლექსის „გოეთეს სიკვდილზე“. პირველი სტრიქონი გადაშლილია და მიწერილია: „უკვე აღსრულდა! დიად მოხუცს არწივის თვალნი“. მე-4 სტრიქონში შესწორებულია: „ბიწიერი – მიწიერი“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. შ. აფხაიძის რეცენზია „Антология русской поэзии на грузинском языке“ მინაწერით: „Заря Востока“. 1948 წ., № 130, 1 ივლისი“. 2. ვ. გაბესკირიას მიერ თარგმნილი თანამედროვე რუსი პოეტების ლექსები, ამოჭრილი გაზ. „საბჭ. აჭარის“ 1948 წ. № 144-დან.

9160. სალტიკოვ-შჩედრინი მ. ბატონი გოლოვლიოვები. [რომანი]. მთარგმ. ც. ჩხეიძე და თ. კოპლატაძე. თბ., 1956.

ფორზაცზე: „ი. გრ. გვ. 112. სჯობია „სეფისკვერის ნაწილებს“; გვ. 144. როცა ილია ამბობს სუტკნენინაო, (ე. ი. ცრუკნენინაო) გასაგებია, აქ კი „სუტწმინდანი“ ისე არა ჟღერს... არც ლაყაფი ვარგა. ლაყაფი ნიშნავს „ცუდათ მოუბარს“. ცუდი ლაყაფი აქვს. ე. ი. ცუდი ლაპარაკი იცის“; გვ. 334, სახეებში?“.

გვ. 112. ხაზგასმულია: „პაწია ნაჭერს“, მიწერილია: „ნაწილებს“.

9161. სალტიკოვ-შჩედრინი მ. ზღაპრები. თარგმ. ი. ზურაბიშვილისა. თბ., 1950.

9162. სალტიკოვ-შჩედრინი მ. ზღაპრები. თარგმ. ი. ზურაბიშვილისა. თბ., 1954.

კანზე: „ჩემი შენიშვნები იხ. პირველ გვერდზე. ი. გრ. კისერი თუ ყელი, გვ. 14“.

თავფურცელზე: „გვ. 21 (შეცდომა ხომ არ არის). 1. კისერი თუ ყელი, გვ. 14. 2. „მოკვლა“ თუ „დაკლა“, გვ. 6. 3. თავჩაქინდური, თავი-ჩაქინდრა. 4. თხლაშოი, გვ. 14. 5. წრუპი, 17; გვარიანი, 19; აგდებით, 20“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „ყვაუკებსაც თითო ცალი ანბანი უყიდეს“, მიწერილია: „ყვავის ბახალებს“.

9163–9164. სალტიკოვ-შჩედრინი მ. პომპადურები. [რომანი]. თარგმ. არ. ჭუმბაძისა. თბ., 1937.

9165–9167. საოცარი სასტუმრო ანუ უცნაური სიზმარი. [მოთხრობა]. ახალ-სენაკი, 1898.

9168. საუბედურო დებიუტი. ვოდევილი 1 მოქმ. თარგმ. ბ. ახოსპირელისა. ქუთაისი, 1916.

9169. სერაფიმოვიჩი ა. რკინის ნიაღვარი. [რომანი]. მთარგმ. დ. კასრაძე. ტფ., 1929.

9170–9171. სიდოროვი ა. სტეფანე ხალტურინი (ვიატკელი დურგალი). [მოთხრობა]. თარგმ. ს. თავაძის. ტფ., 1932.

9172–9173. სიმონოვი ვ. ლექსები და პოემები. თბ., 1959.

9174. სიმონოვი პ. ზღვის არწივები. [მოთხრობები]. თარგმ. პ. აბრამიასი. თბ., 1942.

9175. სიომუშკინი ტ. ალიტეტი მთებში მიდის. რომანი. თარგმ. შ. გვინჩიძის. თბ., 1953.

9176. სკოლა და ოჯახი და ამხანაგები. გადმოკეთ. გ. ბ-ძის მიერ. ოზურგეთი, 1890.

9177. სოფლისთვის თავდადებული. ამბავი ციმბირის ცხოვრებიდან. – ამონაჭერი: „ივერია“, 1884, № 2.

9178. სტავსკი ვ. გაქანება. [რომანი]. თარგმ. დ. კასრაძისა. [თბ.]. 1933.

9179–9180. სუმბათაშვილი ა. ბორკილი. [დრამა 4 მოქმ]. თარგმ. ა. მ. ახნაზაროვისა. ტფ., 1889.

კანზე: „აქ წინათქმაა. ი. გრ. იბეჭდებოდა 1889 წ. „ივერიაში“. რეცენზია იხ. „თეატრი“, 1890, № 4“.

თავფურცელზე: „კორექტურული შეცდომა, გვ. 174. ი. გრ“. და გვ. 174. ელენეს სიტყვებში სიტყვა „ელენე“ გადახაზულია და არშიაზე მიწერილია: „ნიხო. ი. გრ“.

კანის ბოლოს გვერდზე: „დამში, 172, ბოლთა, 190; ოტროველა, 97; მიიკუნჭა 128; სინამარა, 211; კორექტურებია 174; რიკრიკა, 109“.

გვ. 109. ხაზგასმულია: „რიკრიკაზედ“, მიწერილია: „თარგზე. რიკრიკი – დამახინჯებული სიტყვაა: ვიკროიკიდან“.

9181–9182. სუმბათაშვილი ა. ღალატი. ხუთ მოქმ. დრამატ. ლეგენდა საქართველოს წარსულიდან. თარგმ. კ. მესხისა. ტფ., 1904.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან, იბეჭდებოდა „მოამბე“-ში.

მეორე ცალის კანზე წარწერა: „ალექ. იმედაშვილს კ. მესხისაგან“. იქვე: „P. S. პირველ ხანებში ღალატს ორივე თარგმნით თამაშობდნენ. ბეგლარას მიერ გაკეთებული სუფლიორის ეგზემპლარი ორი თარგმნისაგან შედგება. კ. მესხისა და გ. ყიფშიძის. ი. გრ“.

9183–9191. სუმბათაშვილი ა. ღალატი. დრამა-ლეგენდა. 5 მოქმ. თარგმ. გრ. ყიფშიძისა. ტფ., 1904.

ხელნაკეთ კანზე: „თ-დი ალ. სუმბათაშვილი. ღალატი. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თარგმანი გრ. ყიფშიძისა. გამოცემა „ივერიის“ რედაქციისა. თბილისი, სტამბა გ. დიასამიძისა. 1904 წ. ი. გრ. შესადარებლად ყიფშიძემ თავის თარგმანი გაუგზავნა ალ. სუმბათაშვილს. 1904. 12 თებ“. იქვე: „იციინის ოთარ-ბეგი, გვ. 23; თანამოსაგრე, გვ. 28; თარი, გვ. 32“.

ფრონტისპისზე წარწერა: „ამ წიგნს უძღვნის „ივერიის“ რედაქცია ალ. სუმბათაშვილს, 12 თებერვალს, 1904 წ.“

ფრონტისპისის მე-2 გვ.: „1. იბეჭდებოდა „მოამბე“-ში. 2. ეს დაცენზორებულია 13 დეკემბერს 1903 წ. გამოვიდა 1904 წ. თებერ. იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“. 3. აკაკის ხელთ. დაიწყო თარგმ. 1905 წ. აპრილს. 4. ნიკო ავალიშვილის გამოვიდა ცალკე წიგნად 1906 წ.“

გვ. 18. ხაზგასმულია: „გუდით მოგართმევ სარდლის თავსა“, მიწერილია: „აკაკის აქვს „თხის ტყავში გამოხვეულს მოგართმევთ“.

გვ. 34. დევის შესახებ წერია: „აკაკის სიტყვა „დევი“ არა აქვს ნახმარი (გვ. აკაკის ავტოგრ. 19, – ჩემი 24)“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „სამი საპანის მოგროვება მაინც ძნელი იქნება“, არშიაზე მიწერილია: „ეს ადგილი აკაკის ასე აქვს ნათარგმნი: „სამი რჯულისათვის მაინც არ იკმარებს. – იხ. ჩემი ეგზემპლ. გვ. 27“.

გვ. 45. ხაზგასმულია სიტყვა „წყალს“, მიწერილია: „აკაკის აქვს „ღვინო“.

გვ. 54. ხაზგასმულია: „შენ შემოგველე“, მიწერილია: „ჩემო თეთრო იასამანო“ (აკაკის თარგმანში)“.

გვ. 59. ხაზგასმულია: „მის ძარღვებში ჩქევს მეფური სისხლი ჩვიდმეტის თაობისა“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „მის ძარღვებში ჩვიდმეტი მუხლის მეფური სისხლი სჩქევს“. „პირველ ნახვაზე შეატყობ, რომ ჩვიდმეტი მეფის საჯინიბოს მოდგმისაა. იმის ძარღვებში წმინდა სისხლი სჩქევს და ტრიალებს“. კ. მესხის თარგმანიდან, გვ. 34. „ჩვიდმეტი თაობის მეფის სისხლი უდენს ძარღვებში. (ნ. ავალიშვილი).“

გვ. 62. ხაზგასმულია: „გუფთასავით აგვეპავენ“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „ხახვივით დაგჭრიან“.

გვ. 63. ხაზგასმულია: „ისევ ქვიშა შეაყარო“, მიწერილია: „არა, ბდღვირი შეაყარე (აკაკი)“.

გვ. 64. ხაზგასმულია: „იბრძოლე“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „იჩხუბე“.

გვ. 65. ხაზგასმულია: „უფლის ციხის“ მიწერილია: „აკაკის თარგმანშია: „ღვთის ციხე“; ხაზგასმულია: „ყველგან ქრისტეანე სული ან სხეულს ისხავს, ან შორდება“, მიწერილია: „სულ ერთია სადაც უნდა იყო ყველგან ხორცში ჩადის და გამოდის სული“. (აკაკის თარგმანი)“; ხაზგასმულია: „მოწამე! მოწამე“, მიწერილია: „წამებულა, წამებული! (აკაკი)“.

გვ. 68. ხაზგასმულია: „ნავში“, მიწერილია: „ფილუკაში (აკაკი)“.

გვ. 70. ხაზგასმულია: „ხმის მიმოქცევა აქვს“, მიწერილია: „იმას ერთი ხმა აქვს. (აკაკი)“.

გვ. 80. ხაზგასმულია: „მეტეხის ციხეში“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „მცხეთის ციხეში“.

გვ. 82. ხაზგასმულია: „გასაღები“, მიწერილია: „აკაკისა აქვს „კლიტე“; ხაზგასმულია: „შესწივლა“, მიწერილია: „დაიწივლა. (აკაკი)“.

გვ. 84. ხაზგასმულია: „აღიღე“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „ამაღლე“; ხაზგასმულია: „გამიძელ, მიწინამძღვრე“, მიწერილია: „წამიყვანე მიმითითე. (აკაკი)“.

გვ. 85. ხაზგასმულია: „თონის პურები“, მიწერილია: „ლავაშები. (აკაკი)“.

გვ. 86. ხაზგასმულია: „ძალსა და მამაძალს“, მიწერილია: „და ყოველგვარ სალახანებს (აკაკი)“.

გვ. 87. ხაზგასმულია: „გადაყრუებულო!“, მიწერილია: „გაჭადარავებულო სულელო. (აკაკი)“; ხაზგასმულია: „გამობრუქული“, მიწერილია: „ლოთო“, (აკაკი); ხაზგასმულია: „დალიოს“, მიწერილია: „მოაწრუპვიე, (აკაკი)“.

გვ. 87. ლექს „ყოველი მხრიდან ჩვენი ხალხი ჰარიალალე, აქეთ მოდის, როგორც ჯანლი თარიალალე“ მიწერილი აქვს: „ტყე და ველით ჩვენი ჯარი ჰარიალალე, მიისწრაფვის ვით ფუტკარი, თარიალალე“. (აკაკის თარგმ.).

გვ. 88. ლექს: „ორბელიანს მალე ველით, ჰარიალალე. სუმბატ გვიძხერს ტაბახმელით თარიალალე“. მიწერილი აქვს:

„სამხრეთით ორბელიანი  
სოღანლულით მოდის სუმბათ. (აკაკი)“.

გვ. 88. სტროფს: „იმედს მეფე მოსკოველი, ჰარიალალე, გვაძლევს დიდსა, მტერთა მსვრელი, თარიალალე“...

მიწერილი აქვს: „ზღვის იქიდან მოსკოველი  
მეფე მზაა მოსახმარათ. (აკაკი)“.

გვ. 90. ხაზგასმულია: „ვისია ის სისხლი, რომელმაც ასე გაუწითლა ლოყები?“, მიწერილია: „ვისი სისხლი მიენტხა ლოყებზე, ვისმა ცეცხლმა აუნთო თვალები? (აკაკი)“.

გვ. 91. ხაზგასმულია: „უზომოა მათი გაცეცხლება“, მიწერილია: „უზომოა მათი მრისხანების აღმური (აკაკი)“.

გვ. 94. ხაზგასმულია: „ლამის ჭკუაზე შევიშალო!“ მიწერილია: „ღმერთო ნუ გამაგიჟებ. (აკაკი)“.

გვ. 95. ხაზგასმულია: „ამხედრდით! ერთი მუქარა გზა-ღაა!“, მიწერილია: „შესხედით ცხენზე, ეს გზა უკანასკნელია. (აკაკი)“.

გვ. 96. ხაზგასმულია: „ხმალს ისე შემოატარებს, თითქოს წრე შემოავლოვო“, მიწერილია: „ხმალს იქნევს და კალოს აკეთებს. (აკაკი)“.

გვ. 97. ხაზგასმულია: „გამეცალე აქედან“, მიწერილია: „წათერი იქით. (აკაკი)“; ხაზგასმულია: „შეგხვდებით, როცა თამაშა დაიწყება“, მიწერილია: „შეგხვდებით ერთმანეთს სეირის დროს. (აკაკი)“.

გვ. 100. ხაზგასმულია: „ისე ვიცი სირბილი და ხტომა, როგორც ქურციკმა“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „მე ირემივით დავრბივარ“.

გვ. 108. ხაზგასმულია: „სამკაულო... ნათელო ქვეყნიერებისაო“... მიწერილია: „მშვენებავ მსოფლიო მნათობო! (აკაკი)“. ხაზგასმულია: „დაიჭექებს“, მიწერილია: „მეხი გავარდება (აკაკი)“. თუ ჩამოვარდება? ი. გრ“.

გვ. 108. ხაზგასმულია: „საუკუნოება“, მიწერილია: „აკაკის აქვს: „საუკუნო (მარადისობა)“.

გვ. 110. ხაზგასმულია: „არარას?“, მიწერილია: „აკაკის აქვს „არაფერს“? ხაზგასმულია: „ვშიშობდი მათთვის“, მიწერილია: „მეშინოდა იმათი (აკაკი)“.

გვ. 112. არშიაზე: „მათი დრო არ წავა! (აკაკი)“.

გვ. 113. ხაზგასმულია: „კარისა“, მიწერილია: „ბჭის (აკაკი)“.

გვ. 116. ხაზგასმულია: „ქორი“, მიწერილია: „აკაკის აქვს მიმინო“.

გვ. 121. აღდგენილია ი. გრ. მიერ.

მეორე ცალში დევს ქალაქი მინაწერით: „ჩემს ბიბლიოთეკას ი. გრ. ლალატი. P. S. აკაკი ხორავამ გადმომცა გრიგოლ ყიფშიძის ეგზემპლარი „ლალატისა“. – ჩვენს მსახიობს აკაკის მიუღია ყიფშიძის ვაჟისაგან გოგი ფრონისპირელისაგან. ჩვენ ვნახეთ ეს ეგზემპლიარი და... რაც მთარგმნელს ჩაუსწორებია, ჩვენ ეს ამ ეგზემპლიარში გადმოვიტანეთ. ზოგ „ნასწორებს“ შეიძლება დაეთანხმოს მკვლევარი, ზოგი ისევ პირვანდელი სჯობია. ერთი კი ცხადია: სადაც „ვადიშაჰია“, ყველგან უნდა იყოს „შაინშა“. სამწუხაროდ, წიგნის არშიები ჩამოჭრილია მისი ყდაში მიცემის გამო... და ბევრი ბუნდოვანი, გასწორებული ადგილი ჩვენ აღვადგინეთ. იმ ეგზემპლიარს, რომელიც ამჟამად აკაკი ხორავას ეკუთვნის, გრ. ყიფშიძის მიერ ზევიდან ფანქრით აწერია: „ჩემის ხელით გასწორებული. ი. გრ. 1943. 23/XI“.

მესამე ცალის გვ. გვ. 16, 18, 19, 27, 33 მოქმედ პირებთან მიწერილია შემსრულებლები:

სამივე კარისკაცნი – (გრ. ცეცხლაძე, ი. მოსაშვილი, კ. კალაძე).

ოთარბეგი – ილ. ზურაბიშვილი, პ. იაშვილი, ს. ერთაწმინდელი.

ყარა-იუსუფი – მ. ჯავახიშვილი, კ. ლორთქიფანიძე.

ალრაზაკ – დ. შენგელაია.

ზეინაბი – ნინო ყიფიანი, მარი ციციშვილი, ნ. თარიშვილი.

ისახარ – მარიამ გარიყული, დარია ახვლედიანი.

რუქაია – მარიჯანი, ნ. თარიშვილი“.

კანის მე-4 გვერდზე: „საქო – გრიშაშვილი; გიგო – მოსაშვილი; ვანო – კოტეტიშვილი, მიხა – ფაშალიშვილი; მამასახლისი – ლევ. მეტრეველი; დედა – ... [?]. ნატო – მ. გარიყული; შაქრო – მარიჯანი, გაბო – ია ეკალაძე... [?] უნდა გვეთამაშა“.

მეოთხე ცალის თავფურცელზე ავტოგრაფი: „გრ. ყიფშიძე. ჩემი ხელით შესწორებული“.

ფორზაცზე: „მთარგმნელის გრ. ყიფშიძის ხელით შესწორებული ეგზემპლარი. ზოგგან გაუფუჭებია ახალი ჩამატებებით. ი. გრ. P. S. გ. ფრონისპირელს მიუცია აკ. ხორავასთვის, აკაკიმ მე გადმომცა. ი. გრ. 1943 წ. 10. XI. ამას ჩემს მეტი ვერავინ ვერ გამოსცემს, რა დაიტოვოს და რა არა. ი. გრ“.

გვ. 39. არშიაზე მიწერილია: „ფანქრით გრ. ყიფშიძის წაშლილი არ არის. ი. გრიშაშვილს რუსულ დედანში არის წაშლილი ადგილი. ი. გრ.“.

გვ. 60. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ი. გრ. 1943. 24. XI. აკაკი ხორავამ მათხოვა“.

მეხუთე ცალის კანზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ.“. იქვე ბეჭედი: „Суфлиор: Иосип Г. Мамулов“.

გვ. 33. ხაზგასმულია აფორიზმი: „ოქროს სიწმინდეს სინჯავენ ქვით“... და მიწერილია: „ეს აფორიზმი ეკუთვნის ხილონს. ი. გრ.“.

გვ. 48. მოხაზულია ანანias დიალოგი: „განსვენებულს მამა-შენს რა პირით შევხვდე იმ სოფელში?“ და მიწერილია: „ეს ადგილი ავალიშვილს კარგად აქვს. ი. გრ.“.

გვ. 54. ხაზგასმულია დათოს სიტყვები: „ნუ გემინიან ნურაფრისა“... და მიწერილია: „ეს ადგილი კოტეს კარგად აქვს“.

მეშვიდე ცალის თავფურცელზე ადრინდელი პატრონის ხელით: „ქ. თბილისი. 1. თებერვალი. 1904 წ. დ. ნახუცრიშვილი“.

კანზე: „დ. ნახუცრიშვილის წიგნია. ვიყიდე ბუკინისტებში. (იხ. ბოლო). ი. გრ. 1942. 24. I“.

მეცხრე ცალის ფორზაცზე: „ეს პიესა აღმოჩნდა ვლ. შავიშვილთან (ფედერაციის ბუკინისტურ მაღაზიაში). ვიყიდე 40 მანეთად. სახალხო სახლის ეგზემპლდარი ყოფილა. ი. გრ. 1939. 10/IX“.

ფორზაცა და თავფურცელზე ბეჭედი: „კ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ქართ. წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა“.

9192–9200. სუმბათაშვილი ა. ღალატი, დრამატიული ლეგენდა საქართველოს წარსული ცხოვრებიდან. ხუთ მოქმ. თ-დი ა. სუმბათაშვილისა. თარგმ. ნ. ავალიშვილისა. ტფ., 1906.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. ჩემს ბიბლიოთეკას!“.

ფორზაცზე: „იშვიათია. სახლში არ გაიცემა. კორექტურა?“ გვ. 107. ი. გრ“.

გვ. 3. „შეცდომათა გასწორება ბოლოში. ი. გრ“.

გვ. 107. ხაზი აქვს გასმული „ისახარს“ და მიწერილია: „ზეინაბი? ი. გრ“.

გვ. გვ. 78 და 79 შორის დევს ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ნ. ავალიშვილის თარგმანში გამოტოვებულია ბესოს კუპლეტები“.

მესამე ცალის თავფურცელზე: „ეს გამოცემა იშვიათია!!! დუბლ. შევად. ი. გრ“.

მეხუთე ცალის თავფურცელზე: „ოსკარ შმერლინგის ნახატებით. ი. გრ“.

9201–9202. სუმბათაშვილი ა. ღალატი. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თარგმ. გრ. ყიფშიძისა. თბ., 1948.

თავფურცელზე: „ღალატის“ თარგმანისათვის, გვ. XV. აკაკიმაც თარგმნა. იხ. ჩემი „ძველ თეატრში“. ი. გრ. 1948 წ. 24/VIII“.

წიგნში ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ალ სუმბათაშვილის წერილი „ვეცდები ქართულადაც დავწერო“. „დროება“, 1880 წ., № 189, ეს საინტერესო წერილია“.

გვ. XVI. გ. ბუხნიკაშვილის შესავალ წერილში ხაზგასმულია ადგილები, რომლებიც გრ. ყიფშიძის თარგმანის ღირსებებს ეხება, მიწერილია: „სწორედ ამით აიხსნება“.

მეორე ცალის გვ. XIII, მოხაზულია: „აუარება“, მიწერილია: „იხ. გვ. 146“.

გვ. 146. მოხაზულია: „აუარებელი“ და მიწერილია: „გვ. XIII“.

ყდაზე და ფორზაცზე: „ი. გრ. 1948. 26/VIII“.

9203. სუმბათაშვილი ა. ღალატი. [დრამა]. თარგმ. ა. წერეთლისა. პუბლიკაცია და შენიშვ. ი. გრიშაშვილისა. – ამოდებულია ავ. წერეთლის აკადემიური გამოცემიდან. ტ. V. 1949.

9204. სურკოვი ა. რჩეული ლექსები. თბ., 1956.
9205. ტარნოვსკი. გაბატონებული მსახური. კომედია 1 მოქმ. გად. ვ. აბაშიძის მიერ. [თბ., წ. ა.]. 176–211 გვ. – ამონაჭერი.
9206. ტვარდოვსკი ა. ვასილ ტიორკინი. [რომანი ლექსად]. თარგმ. ო. ჭელიძემ. თბ., 1953.
- 9207–9208. ტინიანოვი ი. დეკაბრისტები საქართველოში. ვ. კიუხელბეკერი და ა. გრიბოედოვი. რომანიდან „კიუხლია“. თარგმ. ტ. ტაბიძისა. [თბ.], 1929.
9209. ტინიანოვი ი. კუხლია. რომანი. თარგ. ქ. ირემადისა. თბ., 1937.
- ფორზაცზე ამონაჭერი გაზეთიდან გ. ნ-ლის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომუნისტი, 2 ნოემბ., 1937“.
9210. ტინიანოვი ი. კუხლია. ისტორიული რომანი. თარგ. ქ. ირემადისა. თბ., 1939.
9211. ტინიანოვი ი. კუხლია. რომანი. თარგ. ქ. ირემადისა. თბ., 1946.
- 9212–9213. ტიხონოვი ნ. რჩეული. თბ., 1959.
- 9214–9216. ტიხონოვი ნ. ვამბერი. [მოთხრობა]. ილუსტრაციები ჩუპიატოვის. თბ., 1931.
- კანზე: „აშულ-ღარიბი, 32“.
9217. ტიხონოვი ნ. [ლექსები. რედ. შ. აფხაიძე], თბ. 1962.
9218. ტიხონოვი ნ. სერგო მთებში. [პოემა]. თარგმ. კ. კალაძემ. [თბ., 1959].
- 9219–9220. ტოლსტოი ა. რუსული ხასიათი. [მოთხრობა]. თარგმ. თ. სულიაშვილისა. თბ., 1956.
- 9221–9222. ტოლსტოი ა. პეტრე პირველი. რომანი. თარგმ. ივ. მაჭავარიანის. წ. 1. ტფ., 1935.
- შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1935. 4/IX“.
- ფორზაცზე გაზეთიდან ამონაჭერი გ. ლიადის რეცენზია ამ წიგნზე სათაურით: „Отсеятина и трюки,“ არშიაზე: „Лит. Газета“, № 26., 15 мая, 1937 г. ძლივს მოვნახე. კარგი, რომ მახსოვდა გვერდი“.
- წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „ოდრიკალი (Дуга?), 3; ბარტყული, 13 ქურდების საამურიო, მათრახი და პანდურიო 17; ბაგვები ფეხსამოსი 20; საშო-უძღები, 39; ღვეძილი და კუპატი, 39, კუპატით სავსე ტაბაკი“.
- გვ. 5. ხაზგასმულია: „ქარსიან“, მიწერილია: „ქარსი“.
- გვ. 7. ხაზგასმულია: „საროს“, მიწერილია: „ხეა“. ხაზგასმულია: „კარხანა“, მიწერილია: „კარხანა თევზია“.
- გვ. 16. ხაზგასმულია: „სირჩა“, მიწერილია: „სირჩა – Рюмка“.
- გვ. 18. ხაზგასმულია: „სკორე“, მიწერილია: „სკორა“.
- გვ. 21. ხაზგასმულია: „კოჭათი“, მიწერილია: „კოჭა“; ხაზგასმულია: „ეჩინჩებიან“, მიწერილია: „ეჩინჩება“.
- გვ. 24. ხაზგასმულია: „ზიპი“, მიწერილია: „თევზის ქონი“.
- გვ. 25. ხაზგასმულია: „საკომურთან“, მიწერილია: „Труна“.
- გვ. 29. ხაზგასმულია: „არდაგი“, მიწერილია: „ფართუკ“.
9223. ტოლსტოი ა. პური. (ცარიცინის დაცვა). მოთხრობა. თარგ. რ. ქორქიასი. თბ., 1946.
9224. ტოლსტოი ლ. მკვდარ-ცოცხალი. მოთხრობა. ყვირილა, 1906.
- გვ. 3. დასაწყისში: „იხ. „მწყემსი“, 1884, № 18, 19. იქ აწერია თარგ. თეოფ. ხუსკ-სა. ი. გრ“.
- 9225–9226. ტოლსტოი ლ. ანა კარენინა. რომანი 8 ნაწილად. თარგ. ლ. ტიტვინიძისა და თ. საყვარელიძისა. თბ., 1955–1959.



- ტ. 1, ნაწ. 1–4. 1955.
- ტ. 2. ნაწ. 5–8. 1958.
- სუპერზე: „ი. გრ. 1959. 1/VI“.
9227. ტოლსტოი ლ. აღდგომა. რომანი. სამ ნაწილად. თარგმ. პოლ. კალანდაძისა. გრ. ყიფშიძის რედ. ტფ., 1904.
- ფორზაცის მეორე გვერდზე: „აღდგომა; 1. 1904 წ. გამოვიდა. 2. 1911 წ. 3. 1927 (პ. ირეთელი). 4. 1937 (იოსებ მაჭავარიანი)“.
- თავფურცელზე მთარგმნელის გვარს მიწერილი აქვს ფსევდონიმი: „ირეთელი“.
- იქვე: „გამოვიდა სამ გამოცემად. მესამე გამოცემა 1937 წ. თარგმნა იოსებ მაჭავარიანმა“.
- წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „ფასი 1 მ. 20 კ. „ივერიის“ პრემია“.
- 9228–9229. ტოლსტოი ლ. აღდგომა. რომანი. თარგმ. პ. კალანდაძისა. თფ., 1911.
9230. ტოლსტოი ლ. აღდგომა. რომანი სამ ნაწილად. თარგმ. პ. ირეთელის. ტფ., [1928].
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1928“, მთარგმნელის ფსევდონიმი გახსნილია: „პოლიო კალანდაძის“. იქვე: „მესამე გამოცემა. პირველ გამოცემაზე ეწერა გრ. ყიფშიძის რედაქციით“.
9231. ტოლსტოი ლ. აღდგომა. [რომანი. თბ.], 1937.
- ფორზაცზე: „ი. გრ., 1937, 31 X“.
- 9232–9233. ტოლსტოი ლ. აღდგომა. თარგმ. რუს. მე-2 გამოც. გ. ქიქოძის რედ. თბ., 1951.
9234. ტოლსტოი ლ. ბავშვობა და სიყრმე. მოთხრობები. ლევ ტოლსტოის ბიოგრაფია ი. ნაკაშიძისა. თბ., 1912.
- კანზე: „სოსო გრიშაშვილს მარიჯანისაგან. 19 5/X 21“.
- 9235–9236. ტოლსტოი ლ. ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე. თარგმ. ა. ჭუმბაძისა. ტფ., 1935.
9237. ტოლსტოი ლ. ბავშვობა და ყრმობა. [თარგმნა ნ. ნაკაშიძემ]. თბ., 1958.
- 9238–9239. ტოლსტოი ლ. ზღაპარი ივანე სულელისა და მისი ორი ძმისა: სიმონ მეომრისა და ტარასი – ღიპიანის. და მუნჯი დის მეღანისა და ბებერი ეშმაკისა და სამი პატარა ეშმაკუნასი. თარგმნ. ი. ნ-ლისა. ტფ., 1922.
- კანზე მთარგმნელის კრიპტონიმთან მიწერილია: „იასონ ნიკოლაიშვილი“.
- გვ. 44. ხაზგასმულია: „აბედი“, მიწერილია: „კორძები“.
9240. ტოლსტოი ლ. თესლი კეთილ-მოქმედებისა. აფორიზმები და რჩეული აზრები. თარგმ. ნ. ლოტოიანის მიერ. ყვირილა. 1912.
- თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „Н. Лотоян. М. Сурам. 24. VII, 1912 r“.
- 9241–9243. ტოლსტოი. დები. [მოთხრობა]. ტოლსტოის (მოპასანით). თარგმ. ვალენტინასი. თბ., გამოც. გ. შიხიანცისა № 7. [1905].
- თავფურცელზე მთარგმნელის ფსევდონიმთან: „თარგმ. ს. ჯულელისა. ი. გრ. ასე მოთხრა გ. შიხიანცმა“.
- 9244–9245. ტოლსტოი ლ. კავკასიის ტყვე – [მოთხრობა. თარგმ. ქ. კლიმიაშვილისა]. თბ., 1946.
- კანზე სათაურის ქვეშ: „უხეირო თარგმანია“.
- წიგნის ბოლოს, საგამომცემლო ცნობებში ხაზგასმულია მთარგმნელის სახელი და გვარი და ჩამატებულია: „მხატვარი“

მეორე ცალის გვ. 7. ხაზგასმულია: „ლავიწი სტეხდა“, მიწერილია: „ხელები და ლავიწი?“

გვ. 9. ხაზგასმულია: „ცხვრის მაღალი ქუდი“, მიწერილია: „ცხვარს ქუდი აქვს? სხვანაირად უნდა“.

გვ. 10. ხაზგასმულია: „მოშავო“, მიწერილია: „შავგვრემანი“. ხაზგასმულია: „ცვრის ტყავისაგან შეკერილი“ და მიწერილია: „გვ. 9“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „ყურთუკები ეწყო“, მიწერილია: „ბალიში?“  
9246–9249. ტოლსტოი ლ. მეუფება წყვილია. (Власть тьмы). დრამა. თარგმ. მეველესი. ქუთაისი, 1908.

კანზე მთარგმნელის ფსევდონიმთან წერია: „დ. მიქელაძე“. სათაურის გასწვრივ: „იმერული ენა. ი. გრ“. იქვე: „ფემტემალი, 53“. 53-ე გვერდზე ხაზგასმულია: „ფემტემალს ქვეშ“ და მიწერილი არშიაზე: „Фартук“. „ელეგი, 49. „Гаитан“. 49-ე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვა „ელეგში“ და მიწერილი: „На гаитане?“ „ალაღად, 57“ და მითითებულ გვერდზე აღნიშნული სიტყვა ხაზგასმულია და მიწერილი: „ალა-ღად“.

გვ. 28. ხაზგასმულია: „მარინე (შემოდის). რას მიპირობ, ბიჭო?“ მიწერილია „ოლოლო“.

გვ. 31. სიტყვებს „როგორც თაფლი“ მიწერილი აქვს: „რუსულშია – Как сахар“. ი. გრ“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „სახლში შედის“, მიწერილია: „აკულინა შედის ქობში (Акулина идёт в избу)“.

გვ. 35. ხაზგასმულია: „იატაკს ქვეშ“, მიწერილია: „მიწურში“.

გვ. 36. ხაზგასმულია: „შენს დღეში“, მიწერილია: „მის“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „აჯა“, მიწერილია: „Уморилас, ног не слышу“.

გვ. 38. ხაზგასმულია: „შემოდენე“, მიწერილია: „Загони“.

გვ. 41. ხაზგასმულია: „მერე უყარე კაკალი“, მიწერილია: „А ты оставайся“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „დააბუჯურე“, მიწერილია: „Везде ошарь“

გვ. 46. ხაზგასმულია: „შოლტი მიწა“, მიწერილია: „За мостом полоску похал?“

გვ. 47. ხაზგასმულია: „დარგვის“, მიწერილია: „დათესვის“.

გვ. 50. ხაზგასმულია: „მიწის ვაშლი“, მიწერილია: „Картошки“.

გვ. 57. ხაზგასმულია: „შილიფად“, ზემოთ წერია: „Не нарядная“, ამ სიტყვის გასწვრივ გვ. 56: „შილიფი – იხ. საბა“.

გვ. 59. ხაზგასმულია: „ბურდღულობს“, არშიაზე: „Рычит“.

გვ. 61. ხაზგასმულია: „გალახულ ძაღლსავით“, მიწერილია: „Как куренок мокрый“.

გვ. 62. ხაზგასმულია: „ქორივით გავგლეჯ“, მიწერილია: „ქორივით არ არის დედანში. ი. გრ“.

გვ. 71. სიტყვასთან „ხსოვნა“ მიწერილია: „მეხსიერება ი. გრ“.

გვ. 78. სიტყვას „იასართ“ მიწერილი აქვს: „Шлюха“. ხაზგასმულია: „ჯინჯგილათ“, მიწერილია: „კინწისკვრით (Выталкивает)“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ამ როსკიპს“, მიწერილია: „Подлая“. ხაზგასმულია: „დავუჭრი მთლათ ე-მის ჩასაცმელს. მოუხდება!“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „Я ей безрукавку изрежу“.

გვ. 80. ხაზგასმულია: „ჭაკი“, მიწერილია: „Сука“. სიტყვებს – „თვალეებს ამოვპოტნი“ მიწერილი აქვს: „Я Бельмы то ее повыдрала“. ხაზგასმულია: „გულპიწობა“ და მიწერილია: „გულფიცხობა (серчать)“.

გვ. 81. ხაზგასმულია: „შოთები“, მიწერილია: „Калачи“. ხაზგასმულია: „კორკოტი“, მიწერილია: „Каша“. ხაზგასმულია: „[სამოვარმა] გადიარა“, მიწერილია: „Самовар уходит хочет“. ხაზგასმულია: „ლაფარში“, მიწერილია: „Сенцах (დერეფანი?) ტალანი“.

გვ. 86. ხაზგასმულია: „სკამლოგინზე“, მიწერილია: „Лавка“. ხაზგასმულია: „მუზიკა“, აწერია: „Гармошка“.

გვ. 90. ხაზგასმულია: „გაღალულია“. მიწერილია: „გათვალული“.

გვ. 120. მოხაზულია: „ჩიგორგალით“, მიწერილია: „ტორტმანით? Шатаюсь ი. გრ“.

გვ. 128. ხაზგასმულია: „მიდის ეზოთი“, მიწერილია: „ეზო წამოიკიდა? (იკ. გრ). Идет ко двору“.

გვ. 129. მოხაზულია სიტყვა „მმადე“, მიწერილია: „Дружно“.

გვ. 131. ხაზგასმულია: „რას ბრანდავ“, მიწერილია: „Разлопушился“. ხაზგასმულია: „გამიღალა“, წერია: „ჯადო გაუკეთეს, თვალნაკრავი, გათვალეს“. ხაზგასმულია: „ვინ გამომისვა კისერში დანა“, მიწერილია: „ეს კისერი სულ არ არის დედანში. კისერში თუ ყელში?“

გვ. 133. ხაზგასმულია: „სულკატანმა“, მიწერილია არშიაზე: „ძაღლმა – Пес“.

წიგნში დევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიმართვა ი. გრიშაშვილისადმი, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ლ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავი სესიის მუშაობაში 1953 წ. 13 მაისს.

მეორე ცალში ჟურნალიდან ამოჭრილი Ф. Раскольников-ის რეცენზია „Цензурные мытарства Л. Н. Толстого-драматурга“, მიწერილია: „Красная новь“, 1928 წ. ნოემბ. № XI. ი. გრ“.

9250–9252. ტოლსტოი ლ. მოთხრობები, [ტფ., 1910].

მეორე ცალის შინაარსში – „მშვიდობის მაყურებელი“, გადახაზულია ბოლო სიტყვა და მის მაგიერ დაწერილია: „მოყვარულნი“.

9253. ტოლსტოი ლ. მოთხრობები. თბ., 1954.

9254–9255. ტოლსტოი ლ. ომი და მშვიდობა. თარგმ. ი. აგლაძისა. [ა. გაწერელისა წინასიტყვ.]. თბ., 1940–1947.

ტ. 1, 1940.

ყდაზე და ფორზაცზე: „ი. გრ. 1940. 2. XII“.

გვ. 1. ხაზგასმულია: „არ შემფოთებულმა“, მიწერილია: „შეუშფოთელმა. ი. გრიშ“. ტ. 2. 1947.

9256. ტოლსტოი ლ. ორი მოთხრობა. თარგმ. ვ. ლ. ბარამიძისა. ქუთაისი, 1910. კანზე: „თბილისში არ არის“.

გვ. 23. ქაღალდის ნაჭერი მინაწერით: „ლევ ტოლსტოი „ღმერთი სიმართლეს ხედავს, მაგრამ გვიან იტყვის“. ლევ ტოლსტოი „კავკასიის ტყვე“, თარგმ. ვ. ლ. ბარამიძისა. იხ. „ორი მოთხრობა“, 1910 წ. ქუთაისი. იხ. II გვ.“.

9257. ტოლსტოი ლ. რისთვის ითვრება ხალხი. [ნარკვევი]. თარგმ. განდეგილისა. თბ., 1898.

კანზე: „არის საჯაროში“.

9258. ტოლსტოი ლ. რისთვის ითვრება ხალხი. [ნარკვევი]. თარგმ. განდეგილისა. თბ., 1906.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი. 1906. III. 20“.

გვ. 19. ხაზგასმულია: „ზიან“, მიწერილია: „იმყოფებიან. ი. გრ“.

9259–9261. ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს. [მოთხრობა. მთარგმნ.]. მ. ბოლქვაძე, ქუთაისი, 1893.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ. არც საჯაროშია“.

9262. ტოლსტოი ლ. სევასტოპოლის მოთხრობები. თარგმ. ი. ქავჭავაძისა. თბ., 1946.

თავფურცელზე: „ჩვენს სოსო გრიშაშვილს მეგობრულად იროდიონისაგან. 12. IV – 46“.

გაზეთიდან ამონაჭერი ბ. გვასალიას წერილი „ლ. ნ. ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობები“ ქართულ ენაზე“ მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1946, № 101, 23 მასი“.

9263–9264. ტოლსტოი ლ. სურატის ყავახანა. მოთხრობა. ყვირილა, 1912.

კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ“.

თავფურცლის მე-2 გვერდზე და ტექსტის ბოლოს ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

9265–9270. ტოლსტოი ლ. სურატის ყავახანა. მოთხრობა. ქუთაისი, 1914.

კანზე: „ეს მოთხრობა ეკუთვნის ბერნარდენ დე სენ-პიერს. ლ. ტოლსტოიმ აქედან თარგმნა, იხ. „პოლი და ვირჟინი“ – ირ. ქავჭავაძის თარგმანია, წინათქმა გ. ქიქოძისა. გვ. 8“.

9271. ტოლსტოი ლ. ყაზახები. [რომანი]. თარგმ. დ. კასრაძის მიერ. თბ., [1928].

კანზე და თავფურცელზე: „ი. გრ. 2 სექტ. 1928. მურაზი, 180“.

გვ. 11. მოხაზულია: „მხოლოდ ერთ“, მიწერილია: „მარტოოდენ“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „რავექნა?“ მიწერილია: „რავექნა ქა! ქალური გამოთქმაა“.

გვ. 23. მოხაზულია მთელი გვერდი, მიწერილია: „კარგად არის ნათქვამი“.

9272. ტოლსტოი ლ. ცეცხლი თუ გამლიერდა, ველარ გააქრობ, (მოთხრობა). ნათარგმნი სტ. ხოჯივანიშვილისა. ქუთაისი, 1887.

კანზე: „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“.

9273. [ტოლსტოი ლ.] ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. [მოთხრობა]. თარგმ. სტ. ხოჯივანაშვილის მიერ. ახალსენაკი, 1896.

9274. ტოლსტოი ლ. ძვირათ დაჯდა. [მოთხრობა]. გადმოთარგმნ. და გამოც. ზ. არჯევანიძის მიერ. თფ., 1906.

9275. ტოლსტოი ლ. ძირს ლოთობა ! ძირს მათრობელი სასმელები! თარგმ. ბ. ახოსპირელისა. თბ., 1907.

თავფურცელზე ქაღალდი მინაწერით: „ბეგლარამ თარგმნა ეს წიგნი, თვითონ კი ლოთობით მოკვდა. ი. გრ“.

9276–9278. ტოლსტოი ლ. ჰაჯი-მურატი. [ისტ. მოთხრობა, ტფ.], 1929.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1929. 17/VI“, იქვე: „როდი ეცვათ, გვ. 39; კოჭაკი, 51, 53; რომელიც, 191; ბოლთა, 159; წამოდგა თავის ფეხებზედა, გვ. 16, 59? აღტკინება, გვ. 29; სულელი თავადი, 127, 8; თავის თავზე გადააქნია თავი, გვ. 314; მანანა ორბ., 119“.

წიგნში ამონაჭერი გაზეთიდან: „როგორ იქმნებოდა „ჰაჯი მურატი“, არშიაზე მიწერილია: „მუშა“, 1938, 10 ოქტ.“.

გვ. 16. „ძველი აპრიალეზული ახალოხი ეცვა“, მოხაზულია სიტყვა „აპრიალეზული“ და მიწერილია: „ჯობდა: გაზიპული. პრიალა, გაზიპული. პრიალეზს ცეცხლი“.

გვ. 20. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე: „ვის? ვინ“.

გვ. 26. ხაზგასმულია: „კუმგანი“, მიწერილია: „ლულეინი(?)“.

გვ. 34. მოხაზულია „მახორკა“, მიწერილია: „ქართულად Махорка – წეკო“.

გვ. 88. ხაზგასმულია: „ბულკას ეძახდა“, არშიაზე: „ფუნთუმას უწოდებდა“.

გვ. 356. არშიაზე: „სიტყვების გადატანა არ არის წესიერად. – ამ ზომაზე უნდა აიწყოს კორპუსით. მთარგმნელი არ ერკვევა წარსულში (ზმნაში), გვ. 57“.

9279–9282. ტოლსტოი ლ. ჰაჯი-მურატი. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა. თბ., 1938.

9283. ტრეტიაკოვი ს. გესმის მოსკოვო!? პიესა 4 მოქმ. თარგმ. ს. ეულისა. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1924. 6/XI“.

9284–9285. ტრეტიაკოვი ს. იღრიალე, ჩინეთო! ამბავი 9 რგოლად. თარგმ. ა. კოლხისა. [ტფ.], 1927.

თავფურცელზე მთარგმნელის ფსევდონიმთან: „აკაკი ფაღავასი“.

9286. ტურგენევი ი. აზნაურთა ბუდე. რომანი. თარგმ. ნ. ხატისკაცისა. თბ., 1948.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1949. 12. I“.

9287–9288. ტურგენევი ი. გაზაფხულის ნიაღვრები. [რომანი]. თარგმ. ი. მჭედლიშვილისა. [თბ.], 1955.

9289–9290. ტურგენევი ი. მამები და შვილები. [რომანი]. თარგმ. გ. დოლიძისა. თბ., 1949.

ფორზაცზე: „აცხა, 99“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „შემოირბინა“, მიწერილია: „დაირბინა?“.

გვ. 41. ხაზგასმულია: „პაწია“, წერია: „პატარა?“

გვ. 46. ხაზგასმულია: „იმრიზებიო“, მიწერილია: „აიმრიზა“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „შემოეჭდობა“, მიწერილია: „შემოეჭდებოდა“.

გვ. 145. ხაზგასმულია: „ბაბუაჩემს“, მიწერილია: „პაპა“; ხაზგასმულია: „მაგარი“, მიწერილია: „მსგავსი“.

გვ. 148. ხაზგასმულია: „მე კი ბევრი“, მიწერილია: „ზმნა?“

გვ. 211. ხაზგასმულია: „კაწახი“, მიწერილია: „მმარი“.

გვ. 98. ხაზგასმულია: „აცხა! აცხაო!“, მიწერილია: „აცხა“ კატაზე ითქმის. ი. გრ“.

9291–9293. ტურგენევი ი. მოთხრობები. ტ. 1–2. თბ., 1955.

9294. ტურგენევი ი. მოთხრობები. თარგმ. ნ. ქუჩუკაშვილმა. თბ., 1956.

ყდაზე: „ი. გრ. 1956. 24. X“.

9295–9297. ტურგენევი ი. მუმუ. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა. ტფ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1938. 17/IV“.

გვ. 9. მოხაზულია: „ჯიხურში“, მიწერილია: „ხის კოშკია“.

გვ. 10. სქოლიოში შენიშვნის ქვემოთ მიწერილია: „ეს შენიშვნა ვის ეკუთვნის?“

გვ. 15. ხაზგასმულია: „სახლთხუცესმა“, მიწერილია: „სახლის მოურავმა ან მეურვემ“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „ბაკალეა“... მიწერილია: „ბაყალი“.

გვ. 23. მოხაზულია: „შემოედვა დონიჯი“... მიწერილია: „გვ. 19. სად არის დონიჯი“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „ხატაური“, მიწერილია: „ჭრელი კატა“.

გვ. 26. ხაზგასმულია ადგილი, სადაც მუმუს დახრჩობის სურათია აღწერილი, ილუსტრაციასთან მიწერილია: „ნავი რომ წავიდა, ქვები მერე შეება? სურათში კი“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „საოფლეში“. მიწერილია: „ჩულში“.

9298. ტურგენევი ი. მუმუ. თარგმ. შ. თაბუკაშვილმა. თბ., 1951.

9299. ტურგენევი ი. მუმუ. [მოთხრობა. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა]. თბ., 1962.

9300–9301. ტურგენევი ი. რუდინი. რომანი. თარგმ. ს. თავაძის. თბ., 1946.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 29/XI“. იქვე: „გვ. 160“.

გვ. 6. აზნაცხ: „გაცემულ იქნას სასტიკი განკარგულება“... მიწერილი აქვს: „გააძევეს?“

გვ. 10. მოხაზულია უკანასკნელი აზნაცი და მიწერილია: „გვ. 49“.

გვ. 17. მოხაზულია: „მიაშურა მას“ და მიწერილია: „გაეშურა მისკენ“.

გვ. 19. ხაზგასმულია: „მის რგვალ ოდნავ ჩაკუჭულ ლოყებზე“, მიწერილია: „Ямочки“. ამავე გვერდზე სქოლიოში მიწერილია: „ვისი შენიშვნაა?“.

გვ. 30. მოხაზულია: „სქელები“, მიწერილია: „მსუქნები?“.

გვ. 47. მოხაზულია: „ოწინარია“, მიწერილია: „აზარმაცია“. ხაზგასმულია: „მლემი ერეალამის თამაშში“, მიწერილია: „იარალაში“.

გვ. 49. ხაზგასმულია ბოლო აზნაცი და მიწერილია: „გვ. 10“.

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე მიწერილია: „გაკიცხვის და ლანძღვის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც უყვარს“, გვ. 54“.

გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზიები: 1. ეპ. ვარძელაშვილის „მცირე შენიშვნები ი. ტურგენევის „რუდინი“-ს გამოცემის გამო“, არშიაზე მიწერილია: „ახ. კომუნისტი“, 1947 წ., № 50, 26 აპრილი“. 2. ს. დანელიას „რუდინის“ გამოცემის გამო, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერთ: „ლიტ. და ხელ“, 1947, № 14“.

9302. ულიანინსკი ა. ბედნიერი. 1 მოქმ. პიესა. [თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა. თბ.]. 1938.

9303–9304. ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები. [მოთხრობა]. თარგმ. ა. ნიკიტინისა. ტფ., 1896.

თავფურცელზე, კანზე და მე-3 გვერდზე ბეჭედი: „Тифлисской публичной библиотеки“.

9305. ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები. თარგმ. ა. ნიკიტინისა. მე-2 გამოც. ტფ., 1899.

9306. ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები. თარგმ. ა. ნიკიტინისა. მე-3 გამოც. ტფ., 1902.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ“.

9307. ფადეევი ა. ახალგაზრდა გვარდია. რომანი. თარგმ. პ. აბრამიამ. თბ., 1949.

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „ქართული პოეზიის სიამაყეს, ჩემს ძვირფას სოსოს სახსოვრად. პოლიო, 30. V. 49 წ“.

9308. ფადეევი ა. ახალგაზრდა გვარდია. რომანი. [თარგმ. პ. აბრამიასი]. თბ., 1960.

9309. ფადეევი ა. განადგურება [მოთხრობა]. თარგმ. ა. ჭუმბაძისა. [ტფ., 1928].

თავფურცელზე: „Милому Сосо Гришашвили с любовью. Ал. Фадеев. 27/IX. 39. Тбилиси, квартира Гришашвили“.

9310. ფედოროვი ვ. ლექსები. თბ., 1962.

9311. ფეიგინი ე. მზეონა. [მოთხრობა. თარგმ. თ. ჯავახიშვილისა]. თბ., 1958.

9312. ფურმანოვი დ. ბრძოლები უფასა და ურალსკთან. მოთხრობა. თბ. [1929].

9313. ფურმანოვი დ. ჩაპაევის აღსასრული. მოთხრობა. [თბ.], 1929.

თავფურცელთან გაზეთის ამონაჭერი: „დ. ა. ფურმანოვი (გარდაცვალებიდან 12 წელი)“ მინაწერთ: „კომ“. 1938, 15. III“.

9314–9316. ფურმანოვი დ. წითელი დესანტი. მოთხრობა. თარგმ. შ. დადიანის. [თბ.], 1927.

კანზე: „ი. გრ. 1937. 20/IV“.

9317–9319. ყაზიბეგი ი. სამშობლოსათვის თავდადება. ჩერქეზული გარდმოცემა. გადმოკეთ. ნ. ავალიშვილის მიერ. ტფ., 1896.

სათაურთან: „სურამის ციხის“ ლეგენდა“ და ქალაქის ნაჭრები წარწერით: „1. ჩერქეზული მოთხრობა იური ყაზიბეგისა. ბიბლიოგრაფია ამ წიგნზე იხ. „Новое издание“, 1897, № 45122. იხ. „საქართველო“, № 1. 1908 წ. (სურამის ციხე)“.

9320. შაგინიანი მ. ჭიათურა. [ნარკვევი]. თბ., 1926.

კანზე: „ი. გრ. შორაპანი. 1926 წ. 14. IV“.

თავფურცელზე: „პავლე დადვადის თარგმანი“.

გვ. 13. ხაზგასმულია: „ხარიმანის“, მიწერილია: „ჰ(?)“.

გვ. 30. ხაზგასმულია „ფეჩი“, მიწერილია: „ღუმელი“.

9321. შესანიშნავი სასტუმრო. (მოთხრობა). ქუთაისი, 1900.

9322–9324. შკლოვსკი ვ. სენტიმენტალური მოგზაურობა. თარგმ. კ. გამსახურდიას და ვ. კოტეტიშვილის. [თბ.], 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 2/V“.

თავფურცელზე: „პირველი ნახევარი თარგმნილია ვ. კ-ს მიერ, მეორე კ. გ-სი“.

გვ. 68. ხაზგასმულია: „დავდიოდი, განვაგრძობდი“ და ა. შ. და მიწერილია: „თუ წერას განაგრძობდი“, მაშინ უნდა იყოს „დავდივარ“ და არა „დავდიოდი“ და ასე შემდეგ“.

9325. შოლოხოვი მ. ბედი კაცისა. [მოთხრობა]. თბ., 1959.

9326–9327. შოლოხოვი მ. გატეხილი ყამირი. [რომანი]. თარგმ. ა. ჭუმბაძის, ტფ., 1934.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1935. 15 იანვ“.

წიგნის ბოლოს: „ავტორს ჯერ გაგრძელება არ დაუწერია“.

9328. შოლოხოვი მ. სიძულვილის მეცნიერება. [ნარკვევი]. თბ., 1942.

9329–9335. შოლოხოვი მ. წყნარი დონი. რომანი ოთხ წიგნად. თარგმ. თ. ჯავახიშვილისა. წ. 1–4. თბ., 1955–1959.

წ. 1. 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1956. 10/II“.

წ. 2. 1958.

წ. 3. 1959.

წ. 4. 1959.

თვითთელი წიგნის ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის ვარსკვლავს იოსებ გრიშაშვილს. თინათინ ჯავახიშვილი. 1960“.

9336. ჩერნიშევსკი ნ. რა ვაკეთოთ? მოთხრობებიდან ახალ ადამიანებზე. რომანი. თარგმ. ქ. ბაქრაძე-ინგოროყვასი. თბ., 1955.

9337–9342. ჩეხოვი ა. თხზულებანი სამ ტომად. თბ., 1961.

ტ. 1. მოთხრობები. 1880–1885.

ტ. 2. მოთხრობები. 1886–1891.

ტ. 3. მოთხრობები. 1892–1903.

9343. ჩეხოვი ა. ალუბლის ბაღი. კომედია 4 მოქმ. თარგმ. ს. ციციშვილისა. – ამონაჭერი 1905 წ. „ივერიის ბიბლიოთეკიდან“.

9344–8345. ჩეხოვი ა. ალუბლის ბაღი. კომედია 4 მოქმ. თარგმ. შ. დადიანისა. [თბ.], 1954.

9346–8348. ჩეხოვი ა. გამომძიებელი. – პაშა (Хористка). ძლიერი განცდები – ზინა. თარგმ. ს. ბ. თბ. 1927. – კანზე სათაური: მოთხრობები.

კანზე: „ი. გრ. 1927. 16/I“. იქვე სიტყვებთან „თარგმანი რუსულით“ მიწერილია: „ჩეხოვი მაშ საიდან უნდა ეთარგმნათ“.

თავფურცელზე მთარგმნელის ინიციალებს მიწერილი აქვს: „სარა ბარნოვი. ვასილის ქალიშვილი. ი. გრ“.

9349. ჩეხოვი ა. დათვი. კომ.-ვოდვეილი ერთ მოქმ. რუსულიდან გადმოკ. გრ. ვოლსკის მიერ. – ამონაჭერი: „ცხოვრების სარკე“, წიგ. II [1908].

9350–9351. ჩეხოვი ა. დათვი. ხუმრობა ერთ მოქმ. თარგმ. ა. ბელიაშვილისა. თბ., 1941.

კანზე: „ი. გრ. 1941. 17. IV.“

9352. ჩეხოვი. დათვი. – ხელის თხოვნა. – ქირურგია. [პიესები]. თარგმ. აკ. ბელიაშვილისა. თბ., 1941.

კანზე: „დავაქარი, 25; აქოთებს, გვ. 33“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „არ უხდიდნენ“, მიწერილია: „რას?“

გვ. 27. ხაზგასმულია: „მოსხლეტილი“, მიწერილია: „მოტეხილი?“

9353–9354. ჩეხოვი ა. თეთრშუბლა. [მოთხრობა]. თარგმ. ნ. ბორცვაძისა. [თბ.], 1928.

9355. ჩეხოვი ა. ინსცენირებული მოთხრობები. თბ., 1957.

9356. ჩეხოვი ა. კაცი ფუტლიარში. [მოთხრობა]. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა. ტფ., 1937.

9357–9359. ჩეხოვი ა. მოთხრობები. თარგმ. ივ. პოლუმორდვინოვისა. თბ., 1944.

ყდის მეორე გვერდზე: „I. „კაცი ფუტლიარში“. 1. ემახდა – უნდა იყოს უწოდებდა, 49. 2. კოჭები კი არა – კოჭაკები უნდა, 52. 3. „ვინმე“ და „ჩემი ამხანაგი?“ – 50. 4. კორექტურაა? 57. 5. სადაც „ორთავა“, ყველგან უნდა „ორივე“, 6. სცრუი (?) – 64“. II. „უნტერი პრიშიბევი“: 1. სოტსკისაც – ასისთავს(?) 44. III. „შემთხვევა პრაქტიკიდან“: 1. გვ. 24 „კისერზე მედლით? თუ გულზე, მკერდზე, ყელზე. 2. გვ. 29. თამარა თუ თამარი?“

ფორზაცზე: „ი. გრ“. 1944 წ. 15 ივლისი. სადამო ჩეხოვის გარდაცვალებიდან 40 წლ. ოპერის თეატრი“.

წიგნში დევს 1. „მოსაწვევი ბარათი დიდი რუსი მწერლის ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე, 1944 წლის 15 ივლისს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრში. 2. მოსაწვევი ბარათი რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის მიერ მოწყობილ საზეიმო სხდომაზე, ჩეხოვის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო“.

მეორე ცალის გვ. გვ. 80–81 გაზეთიდან ამონაჭერი დონის მიერ შესრულებული ჩეხოვის მოთხრობების ილუსტრაციებით.

9360–9361. ჩეხოვი ა. მოთხრობები. თარგმ. პ. ბახტურიძისა. [თბ.], 1947.

გაზეთიდან ამონაჭერი ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1947, № 122, 11 ოქტ. ი. გრ“.

9362. ჩეხოვი ა. მოთხრობები დ. შენგელაიას წინასიტყვ. და რედ. თბ., 1953.

ყდაზე: „ი. გრ. 1953. 14. IX“.

გვ. 15. ხაზგასმულია: „მშვიდობით“, მიწერილია: „ნახვამდის“ 1883 წ“.

გვ. 60. სათაური გასწორებულია, მიწერილია: „არ არის გუნებაზე. ი. გრ“.

გვ. 63. ზემოდან მე-3 სტრიქონში ჩამატებულია სიტყვა: „თევზი“.

გვ. 179. სათაურს ზემოთ მიწერილია: „წავიკითხე 1953. III. 18“.

გვ. 412. მოთხრობა „მოხელის სიკვდილთან“, მიწერილია: „აქ იბეჭდება დ. შენგელაიას თარგმანი“.

გვ. 425. მოთხრობა „სულიკოს“ შესახებ მიწერილია: „ქართ. გ. მუმლაძემ თარგმნა, იხ. ქუთ. გაზ“.



9363. ჩეხოვი ა. მოთხრობები. თარგმ. ი. ევლოშვილისა. თბ., 1957.  
გვ. 84. ხაზგასმულია ფსევდონიმი: „ლა-სი ლადო აღნიაშვილისა“ და მიწერილია: „ლადო ახოზაძისა(?)“.
- 9364–9365. ჩეხოვი ა. ტრამალი. ერთი მგზავრობის ისტორია. [მოთხრობა]. თარგმ. პ. ბახტურიძისა. თბ., 1956.
9366. ცინოვსკი ლ. და პეტრაშევიჩი ნ. ნილაბი ჩამოიხსენი. 1 მოქმ. პიესა. [თბ.], 1938.
9367. ცელქები. ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმ. კუპლეტებით. თარგმ. ე. ნიკოლაძე-ჭიჭინაძისა. – ამონაჭერი წიგნიდან.
9368. ცხოვრების გზა. (თარგმანი) [ალ. ჭირაქაძე]. ქუთაისი, 1911.  
კანზე: „იშვიათია. ი. გრ“.
9369. წითელი გენერალი. 1 სურათათ. (დიდი კომუნარიდან). თარგმ. მათე წითელისა. თელავი, 1922.
9370. წითელ მხედარს შეფისაგან [ლექსები. თბ.], 1922.

### რუსული საბავშვო ლიტერატურა

- 9371–9373. ავენარიუსი. ბანჯგვლიანი ფუტკრის ამბავი. ნათარგმნი ალ. აბაზაძისაგან. თბ., 1879.  
გვ. 32. ხაზგასმულია: „ყაზარა“, მიწერილია: „კრაზანა?“  
მესამე ცალის თავფურცელზე მთარგმნელის გვართან მიწერილია: „ი. ჟივიძის სიმამრი. ი. გრ“. იქვე ბეჭედი: „Григорий Тимофеевич Полумордвинов“
9374. ავენარიუსი. რას გვიამბობს ოთახი. საბავშვო მოთხრობა. თარგმ. გ. ჯაფარიძის - მიერ. სურათებით. ტფ., 1909.
9375. ავენარიუსი. რას გვიამბობს ოთახი. თარგმ. გ. ჯაფარიძისა. ტფ., 1923.  
კანზე: „ი. გრ. 13. II. 24 წ.“
9376. არაყიშვილი ი. თამრიკოს ბაქანი. საბავშვო პოემა. თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა. თბ., 1941.
9377. არაყიშვილი ი. მზარეული ნეფედი. [ლექსი]. თბ., 1942.
9378. არაყიშვილი ი. ტრინდი-ბრინდი – ბრანდ-მაიორი. [ლექსი. თარგმ. მარიჯანისა. თბ., 1940].  
კანზე: „ი. გრ. 1941. 10/1“.  
კანის მე-4 გვ.: „სურათები: „ვისია?“
9379. ანდრე მარტი. [მოთხრობა. ბავშვებისათვის]. ტფ., 1932.
9380. ასანოვი ნ. ბრძმედი. [მოთხრობა]. ტფ., 1932.
9381. ასანოვი ნ. რადიოსადგურები ყინულმჭრელები. [პოემა]. თბ., 1931.  
კანზე: „1931. 26/XII. ი. გრ“.
9382. ბალაზანი ბ. მწვანე ველი. კომედია 4 მოქმ. თბ., 1941.
- 9383–9384. ბარტო ა. ომი. [ლექსი. ტფ.], 1932.
9385. ბარტო ა. შენი დღესასწაული. [ლექსები. მარიჯანის წინასიტყვაობით]. თბ., 1958.
9386. ბიანკი ვ. ბანჯგვლია. ტფ., 1929.  
კანზე: „ნელისთვის. 1930 5/IV. ი. გრ“.
9387. ბიანკი ვ. პირველი ნადირობა. [ლექსი, ტფ.], 1933.

- თავფურცელზე: „ი. გრ. 1934. 25/III“.
- წიგნის ბოლოს ხაზგასმულია: „შეუდგენ“ და მიწერილია: „მე მას წიგნს შევუდგენ. ი. გრ“.
9388. ბოლშინცოვი მ. ბიჭუნა ნარვის სადარაჯოდან. [მოთხრობა. თარგმნა ე. სიბაშვილმა]. თბ., 1958.
9389. გაიდარი ა. თემური და მისი რაზმი. თარგმ. ნ. ჩაჩავასი. თბ., 1944.
- თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს. მეგობრული მადლობის ნიშნად... ეს ჩემი პატარა ნაშრომი ჩემივე წარწერით დე, შენს კარგ წიგნთსაცავში ინახებოდეს. ნ. ჩაჩავა. 27. VII“.
9390. გაიდარი ა. თემური და მისი რაზმი. თარგმ. ნ. ჩაჩავასი. [თბ.], 1947.
9391. გაიდარი ა. თემური და მისი რაზმი. [მოთხრობა]. თარგმ. ნ. ჩაჩავასი. თბ., 1955.
9392. გაიდარი ა. მოთხრობები. თარგმნა ბ. შელიამ. თბ., 1952.
- 9393–9394. გაიდარი ა. სკოლა. [მოთხრობა]. თარგმ. რ. ქორქიასი. ტფ., 1936.
9395. გაიდარი ა. სკოლა. [მოთხრობა. თარგმნა რ. ქორქიამ]. თბ., 1958.
9396. გელინა ა. არაბი ჰასანა. [თარგმ. ი. გრიშაშვილის]. – ამონაჭერი: „ოქტომბრელი“, 1932, №№ 3–4, 5–6.
- 9397–9400. გელინა ა. არაბი ჰასანა. [მოთხრობა]. თარგმ. ი. გრიშაშვილის. ტფ., 1932.
9401. გორგალა. საყმაწვილო მოთხრობა. ნათარგმნი ი. ლაზრაშვილისაგან. თბ., [1887].
9402. გრიგოროვიჩი დ. გუტაფისის ბიჭი. [მოთხრობა]. თარგმ. ბ. ვ. წერეთელისა. თბ., 1951.
- 9403–9404. დიმიტრიევი მ. პაწია და ბუნგლია. მოთხრობა. თარგმ. დ. ავალიანისა. ქუთაისი, 1902.
- კანზე: „ი. გრ. 1941/V. აკადემიაში არ არის“.
9405. დიმიტრიევი მ. პაწია და ბუნგლია ნათარგმნი. გადმოკეთებული დ. ავალიანის მიერ. ქუთაისი. 1926.
- 9406–9407. ელჩანინოვა ა. ნანას სიხარული. [ლექსი. თარგმ. ნ. მალაზონიასი. ბათუმი, 1944].
9408. ერშოვი პ. კუზიანი ცხენი. (პოემა). თარგმ. არ. ახნაზაროვისა. თბ., 1939.
- გვ. 20. ხაზგასმულია: „ძლივს მოკუმა ღია ხახა“. მიწერილია: „დაალო ხახა“.
- 9409–9410. ერშოვი პ. კუზიანი კვიცი. [ზღაპარი]. თარგმ. გრ. ცეცხლაძისა. [თბ., 1952].
- კანზე: „ი. გრ. „ივანიკა“, 59“.
- 9411–9412. ვალდე ვ. პავლიკ სემიონოვის სადარაჯო. [მოთხრობა]. თარგმ. თ. ჩერქეზიშვილისა. თბ., 1940.
9413. ვასილენკო ი. ვარსკვლავა. [მოთხრობა]. თარგმ. ფ. მელითაურმა. თბ., 1953.
9414. ვასილენკო ი. ორი მოთხრობა. თარგმ. ა. ზარაფიშვილმა. თბ., 1954.
- 9415–9416. ვასილენკო ი. ჩეხოვის მერხი. მოთხრობა. თარგმ. ვ. ნ. სიხარულიძის. თბ., 1948.
- 9417–9418. ვასილიევი ს. [ლექსები. თბ., 1962].
9419. ვიგდოროვა ფ. ჩემი კლასი. [მოთხრობა]. თარგმ. ნ. ქუჩუკაშვილისა. თბ., 1953.
9420. იგავ-არაკები. [გადმოთარგმნილი რუსულიდან]. 104, III გვ. – აკინძულია წიგნთან: ცახელი. უკვდავი სარდალი.

9421. ივანტერ ბ. რკინის მოგზაურები. [მოთხრობა]. თბ., 1931.
9422. ივიჩი ა. არც ერთი წუთი ზედმეტი. [მოთხრობა. თბ.], 1931.
- 9423–9424. კასილი ლ. გემრიელი ფაბრიკა. ტფ., 1932.
- ფორზაცზე ბოლოში: „ეს ფურცელი წინ უნდა ყოფილიყო“.
9425. კონონენკო ე. ჩვენ და ბავშვები. [მოთხრობები]. თარგმნა ე. რაზიკაშვილმა. თბ., 1952.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1953“.
9426. კონონოვი ა. ნაძვის ხე სოკოლნიკში. [მოთხრობა]. ნახატები ნ. ჟუკოვის. თბ., 1954.
9427. კონჩალოვსკაია ნ. ამბავი ჭიანჭველისა და გოლიათისა [პოემა. თარგმ. გ. გოგიაშვილისა]. თბ., 1961.
- 9428–9429. კოსმოდემიანსკაია ლ. ზოიას და შურას ამბავი. თარგმნა თ. გელიაშვილმა. თბ., 1954.
- 9430–9431. კოშევაია ე. ჩემი ვაჟიშვილის ამბავი. თარგმ. თ. გელიაშვილისა. თბ., 1949.
9432. კრავჩენკო ა. მაღალი მთის და პაწია ნაკადულის ამბავი. საპირველმანისო ზღაპარი. თარგმ. დ. ანთაძისა. ტფ., 1926.
- კანზე: „ი. გრ. 1926. 1/V“.
- კანის მე-3 გვერდთან გაზ. „მუშის“ 1926 წ. 29 აპრილის ნომრიდან ამოჭრილი რეცენზია ამ წიგნზე.
9433. ლოპატინი პ. ქვანახშირის პატარა ნატეხის ამბავი. [მოთხრობა]. თარგმნ. ივ. ჩაჩანიძის მიერ. ტფ., 1928.
9434. მაიაკოვსკი ვ. ვინ მინდა ვიყო? [ლექსი]. თარგმ. ა. ონელისა. თბ., 1935.
- კანზე: „ი. გრ. ილლიაში, 8; მოვუსვი. 21“.
9435. მაიაკოვსკი ვ. ვინ მინდა ვიყო? თავისუფალი თარგმ. მ. პატარიძისა. თბ., 1937.
9436. მაიაკოვსკი ვ. ვინ მინდა ვიყო. თავისუფალი თარგმ. ა. შენგელიასი. თბ., 1950.
- კანზე და თავფურცელზე: „ი. გრ. 1951. 2. VII“.
- გვ. 7. ხაზგასმულია: „ნუჟრები“, მიწერილია: „ნუჟრების გაცლა არ შეიძლება“. სტრიქონთან „მე დღე და ღამ ვიმუშავებ“ მიწერილია: „დღეღამე ვიმუშავებ“. სტრიქონთან „როგორც მე მსურს, როგორც მინდა“ მიწერილია: „სწორედ ისე, როგორც მინდა“.
- გვ. 11. სტრიქონებთან „აი, პეტრეს მივაკითხავ, პავლეს ვკითხავ დინჯად, წყნარად“  
წერია: „აი მივალ მე პეტრესთან, პავლესთანაც – საკითხავად!“ ხაზგასმულია: „თქვენ მაჩვენეთ ენა კიდევ“, წერია: „გამოყავით ენა კიდევ“.
- გვ. 13. ხაზგასმულია: „ყოველგვარი სამუშაო, საჭიროა გავახურო“. მიწერილია: „რატომ ყოველგვარი?“
- გვ. 15. ხაზგასმულია: „რომ ჩვენც და თქვენც გაგვაქროლოს“, მიწერილია: „რომ ყველანი გაგვაქროლოს“. ხაზგასმულია: „თუ მასწავლეთ მისი წესი“, წერია: „რომ ვიცოდეთ მისი წესი“.
- გვ. 17. ხაზგასმულია: „გადირბინე ყველა გზა და...“ მიწერილია: „გადირბინე შარა გზები“.
- გვ. 19. ხაზგასმულია: „მანც აღარ დაცხრა გული“, მიწერილია: „არა ცხრება მანც გული“.

9437. მაიაკოვსკი ვ. რა არის კარგი, რა არის ცუდი. [ლექსი, თბ.], 1940.
9438. მაიაკოვსკი ვ. წაიკითხავ. გაგამგზავრებს – პარიზს, ჩინეთს, მოგატარებს. [ლექსები]. თარგმ. ვ. ლაფერაშვილისა. თბ., 1950.
- კანზე: „რეცენზია ბოლოში ი. გრ“. და გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ს. ზურაბიშვილის რეცენზია: „Стихи детям“, В. Маяковского на грузинском языке“, არშიაზე: „Заря“. 2. ვ. თოდუას და შ. შენგელის რეცენზია: – „დიდი პოეტის საბავშვო ლექსები“. არშიაზე: „კომ“, 1950, № 225, 8 ოქტ“.
9439. მალინინა ა. მარინას ცხოვრების გზა. [მოთხრობა]. თარგმ. თ. თეთრაძემ, თბ., 1956.
9440. მამინ-სიბირიაკი დ. ზღაპრები და მოთხრობები. თარგმნა ე. არჯევანიძემ. თბ., 1957.
9441. მამინ-სიბირიაკი დ. ტყის ზღაპარი. თარგმ. ლ. იმნაძისა. თბ., 1922.
- 9442–9443. მამინ-სიბირიაკი დ. ყელნაცარა. [მოთხრობები]. თბ., 1952.
9444. მარშაკი ს. ლექსები. ზღაპრები. თბ., 1951.
- კანზე: „გომბეშოჯან, გვ. 69“.
- გვ. 5. ხაზგასმულია ლექსის სათაური „კარუსელი“ და მიწერილია: „საქანელა“.
9445. მარშაკი ს. მისტერ ტვისტერ. [პოემა]. თარგმ. მ. მიქელაძისა. [თბ.], 1936.
9446. მიხალკოვი ს. ლექვი. [ლექსი. თბ.], 1940.
9447. მიხალკოვი ს. ვემსახურები საბჭოთა კავშირს! [ლექსები]. გადმოქართ. რ. მარგიანის მიერ. თბ., 1948.
9448. მიხალკოვი ს. კურდღლის თავგადასავალი. [ლექსი]. თავისუფალი თარგმ. მარიჯანისა. თბ., 1939.
- კანის მე-4 გვ.: „წალვერი. 1939. 26/VIII“.
9449. მიხალკოვი ს. სამი გოჭი. [ზღაპარი]. თავისუფალი თარგმ. მარიჯანისა. თბ., 1939.
9451. ნიკოლა ცრინი. [მოთხრობა]. თარგმ. ა. წერეთელის მიერ. თბ., 1894.
9452. ორლოვეც პ. ტაიგის საუნჯენი [საბავშვო მოთხრობა]. ტფ., 1925.
- კანზე: „ი. გრ. 1925–2–III“.
9453. ოსეევა ვ. ჯადოსნური სიტყვა. [მოთხრობები. თარგმ. ნ. ჭავჭავანიძისა]. თბ., 1958.
9454. პატარა მურიას ერთი დღე. [მოთხრობა]. [გადმოაკეთა შ. გვინჩიძემ]. თბ., 1949.
9455. პერფილიევა ა. დარტანიანის დაშნა. [მოთხრობა. თარგმ. რ. ბეროდისა]. თბ., 1961.
9456. პიონერი სოფლად. [მოთხრობა]. თარგმ. დ. ან-სა. ტფ., 1925.
9457. ჟიტკოვი ბ. გრიგალი. [მოთხრობა]. თარგმ. თ. ჩერქეზიშვილისა. ტფ., 1927.
9458. ჟიტკოვი ბ. თეთრი სახლი. [მოთხრობები]. თარგმ. პ. ჭანიშვილისა. ტფ., 1937.
9459. ჟუკოვი ი. „წითელი ვარსკვლავების“ მოგზაურობა საოცარ ქვეყანაში. [მოთხრობა]. ტფ., 1926.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1926. 15/VI“.
9460. ჟურავსკი. ჩვენი მეგობრები. [მოთხრობები]. ბავშვების საკითხავი დასურათებული წიგნი. ტფ., 1910.
9461. როზანოვი ს. მოლის თავგადასავალი. [მოთხრობა]. თარგმ. ზ. გრძელიშვილისა. ტფ., 1934.

9462. საბჭოთა ბავშვებს. [თარგმ. ტ. ტყემალაძისა. ლექსები კ. ჭანტურიშვილისა]. თბ., 1943.  
კანზე: „ი. გრ. 1943. 15/IV. აქ ლექსებია კ. ჭანტურიშვილისა. გამოვიდა 1943. 15/IV“.
9463. რიკლინი გ. მამაცი მესაზღვრე კარაცუპას და მისი ჭკვიანი ძაღლის ინდუსის შესახებ. [მოთხრობა]. თარგმ. ლ. დარჩიასი. [თბ.], 1940.
9464. რომანჩენკო ო. ირინე. [მოთხრობები. თარგმ. ე. ჭილაშვილისა]. თბ., 1961.
9465. სკვორცოვი ო. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი. [მოთხრობა]. თარგმ. კაკისა თბ., 1922.
- 9466–9469. სკრიპნიკი მ. გაკვეთილი [ლექსი]. თარგმ. ი. გრიშაშვილისა. [თბ.], 1943.
- 9470–9471. სმირნოვი ე. სახელოვანი პიონერი გენა შჩუკინი. [მოთხრობა]. თარგმ. თ. ჩერქეზიშვილისა. [თბ.], 1940.
9472. სოტნიკი ი. მოთხრობები. [თარგმ. ვ. ძიმიგურმა]. თბ., 1958.
9473. სტანიუკოვიჩი. კ. მაქსიმკა-გადია. [მოთხრობები]. თარგმნა ფ. ნიშნიანძემ. თბ., 1954.
9474. სურსკაია ვ. დათვის ბელები. [ლექსი]. თბ., 1940.
9475. ტარასოვ-როდიონოვი პ. შოკოლადი. (ფანტასტიკური ამბავი). თარგმ. ჟ. ლოღობერიძისა. ტფ., 1927.
9476. ტვარდოვსკი ა. ლენინი და მეღუმელე. [პოემა]. თარგმ. ვ. გორგაძისა. თბ., 1957.
9477. ტიუნეევა მ. საბავშვო რკინიგზა. [ლექსები]. თარგმ. ა. ონელისა. თბ., 1956.
9478. ტოლსტოი ა. ნიკიტას ბავშვობა. [მოთხრობა. თარგმ. ე. როსტომაშვილისა]. თბ., 1961.
9479. ტოლსტოი ა. ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი. თბ., 1941. ყდასა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1941. 15/IV. თარგმანი თ. ოქროშიძისა“.
9480. ტოლსტოი ლ. ბავშვებისათვის. ზღაპრები და მოთხრობები. თარგმ. ნ. აგიაშვილმა. [თბ.], 1947.
9481. ტოლსტოი ლ. ლომი და გომია. [მოთხრობები]. თბ., 1960.
- 9482–9484. ტოლსტოი ლ. პატარა ბავშვებს. [მოთხრობა]. თარგმ. ვ. კავკასიძისა. [თბ.], 1939.
9485. ტოლსტოი ლ. სამი დათვი. [მოთხრობა. თარგმ. ვ. კავკასიძისა]. თბ., 1939. კანზე: „ი. გრ. 1939. 18/V“.
9486. ტოლსტოი ლ. სამი დათვი. [თარგმნა თ. ბებურიშვილმა]. თბ., 1957.
- 9487–9488. უშინსკი კ. მოთხრობები პატარა ბავშვებისთვის. თარგმ. თ. საყვარელიძემ. თბ., 1948.  
გვ. 9. ხაზგასმულია: „სიღრმეს“ და მიწერილია: „დარანს“.  
გვ. 24. ხაზგასმულია: „ვანო“ და მიწერილია: „ივანე“.  
გვ. 31. ხაზგასმულია: „ყირა“, მიწერილია: „ყირამალა“.
9489. ფადეევი ა. მეტელიცა [მოთხრობა]. თარგმ. თ. ბაქრაძისა. თბ., 1941. კანზე: „ი. გრ. 1941. წ. 10/VII“.
9490. შარტი ს. სასვენნი ნიშნების ბალეტი. [პიესა]. თარგმანი მარიჯანისა. ტფ., 1936.
9491. შახოვი ა. საშიში ხეობა. [მოთხრობები]. თარგმ. მ. ჭილაშვილისა. თბ., 1959.
9492. შვარცი ე. პირველკლასელი გოგონა. [მოთხრობა]. თარგმ. ს. ხუციშვილისა. თბ., 1951.

- წიგნის ბოლოს ყდაზე: „ი. გრ. 1953. 10/VI“.
9493. შვარცი ე. რა უფრო სწრაფია [მოთხრობა. თბ.], 1931.
- კანზე: „ი. გრ. 1932. 1/II“.
9494. შჩიპაჩევი ს. პავლიკ მოროზოვი. პოემა. თარგმ. გ. სალუქვაძისა. ბათუმი, 1953.
- 9495–9496. ჩარუშინი ე. დიდებსა და პატარებს. [მოთხრობები. თარგმ. თ. სულაქველიძემ]. თბ., 1957.
9497. ჩერეკოვი ვ. როგორ გახდა ედისონი პატარა ალვა. [მოთხრობა]. თარგმ. და გამოც. მ. მიქელაძისა. ტფ., 1929.
- 9498–9499. ჩეხოვი ა. კაშტანკა [მოთხრობა]. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა. თბ., 1937.
- თავფურცელზე სათაურთან: „წაბლა“.
- გვ. 3. მოხაზულია: „ეზოს ძაღლი“, იქვე: „მოშინაურებული ან შინაური“.
- გვ. 5. მოხაზულია: „ა. შ.“ მიწერილია: „და ასე შემდეგ? ეს ხომ ახალი ტერმინია? სხვადასხვა“.
- გვ. 10. ხაზგასმულია: „შეჭამა ცოტაოდენი წებო“, მიწერილია: „წებო?“
- გვ. 21. ხაზგასმულია: „დრუნჩი“, მინაწერი: „კატასაც და ძაღლსაც დრუნჩი“.
- გვ. 23. ხაზგასმულია: „მკედები“, მიწერილია: „Беверуха. მკედი ძალიან წვრილი ძაფია, ზარს არ შეაბამენ“.
- გვ. 25. მოხაზულია: „ბაწარი“, მიწერილია: „თოკი?“
- გვ. 47. მოხაზულია ბოლო აბზაცი და მიწერილია: „პირველად არიან ცირკში?“
- გვ. 56. მოხაზულია: „ორთავეს“ და მიწერილია: „ორივეს“.
- წიგნში ამონაჭერი ჟურნალიდან. ა. ჩეხოვის მოთხრობა „უნტერ პრიშიბეევი“. თარგმ. შ. თაბუკაშვილისა მინაწერით: „პიონერი“, 1938, № 2“.
9500. ჩეხოვი ა. კაშტანკა. [საბავშვო მოთხრობა. თარგმ. პ. ბახტურიძემ]. თბ., 1956.
9501. ჩუკოვსკი ვ. ექიმი აიბოლიტი. [ზღაპარი]. თარგმ. ნ. აგიაშვილისა. თბ., 1951.
9502. ჩუკოვსკი ვ. აიბოლიტი. [ლექსების კრებული]. თბ., 1959.
9503. ჩუკოვსკი ვ. მზიანა. [მოთხრობა]. თარგმ. მარიჯანისა. ტფ., 1935.
- კანზე: „არაჟანი თუ დარაჯი“. გვ. 121; კოჯორში, გვ. 30“.
- გვ. 12. ხაზგასმულია: „ორივე მასტირკა გადიხლართა, და ბავშვი თავისაკენ ეწეოდა“, მიწერილია: „თითქოს იმიტომ გადიხლართა, რომ ბავშვს მოეწია“.
- გვ. 13. ხაზგასმულია: „ქაფქაფა წყალი სახეში შეასხა ჭიქით და კინაღამ გაუფუფქა კისერი“, წერია არშიაზე: „თუ სახეში შეასხა, კისერი რატომ უნდა გაუფუფქოდა, სად კისერი, სად სახე“.
- გვ. 23. ხაზგასმულია: „მკვდარი საათი იყო“, წერია: „არა სჯობია გარინდების საათი. ი. გრ“.
- გვ. 127. ხაზგასმულია: „სანუკვარი სასახლე“ მიწერილია: „ხილზე ითქმის, სანატრელი სჯობია“.
- 9504–9505. ჩუკოვსკი ნ. მარტოდმარტო კაცის-ჭამიებს შორის. [მოთხრობა]. ტფ., 1933.
9506. ციხე. (საყმაწვილო სურათებიანი წიგნი). თარგმ. თამარ და ელენესი. ახალ-სენაკი, 1896.
- 9507–9509. ხატაური. საყმაწვილო მოთხრობა, რუსულიდან გადმოღებული ა. თუმანიშვილისაგან. თბ., 1881.
9510. ხუბოვა მ. ჩელუსკინელები. პოემა ბავშვებისათვის. თარგმ. კ. ნადირაძის. ტფ., 1935.